

ნაგზე გებუა  
უკაგერინე გეგურელიქე

---

საქართველო  
საბჭოთავო  
საგვარამუდეო

K 257140  
3

# Lingua Latina



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი

პროგრამა «ლოგოსი»

ბუბლიკაცია და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის სფეროში

იამზე ვაგუა, ეკატერინე ვამყრელიძე

# Lingua Latina

§ 2 LECTIO SECUNDA

I კატეგორია (პრესენტის და მედრ. სქემის შესახებ) ..... 21

Præsentis indicativi და imperativi activi მშენება ..... 22

Præsentis indicativi და imperativi activi I და II უღლებების მშენება ..... 22

წინადადებათა ..... 23

სადასრულებლობისა და მომავლის შესახებ ..... 23

მეოთხე შესწორებული გამოცემა

ქართული საწილად ..... 24

სახელწოდების წარმოშობა ..... 24

De lingua Latina et lingua Graeca ..... 26

Distingue ..... 27

§ 3 LECTIO TERTIA

II კატეგორია. -us და -um დაბოლოებისა და არსებითი და მედრ. სქემის სახელები ..... 28

Prænomina interrogativa et relativa და მათი მშენება ..... 29

Præsentis ind. act. და imperat. III და IV უღლებების მშენება ..... 29

კავშირები et, que, atque ..... 30

წინადადებათა a (ab), ad, ex, de, per ..... 31

სადასრულებლობის მშენების რეგულაციები? que? ut? ..... 32

Ablativus separationis ..... 33

Populi ..... 34

ქ. თბილისი, 2008 წელი  
ქ. თბილისი, 2008 წელი  
ი. ჯ. ვაგუა  
ე. ვამყრელიძე



Lingua Latina

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

K257.140  
3

რედაქტორი რისმაგ გორდეზიანი

© პროგრამა „ლოგოსი“, 2007

ISBN 978-99940-31-41-2

პროგრამა „ლოგოსი“  
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13 (თბუ VIII კორპ.), ოთ. 14, 380079 თბილისი  
ტელ. 25-02-58, ელ.ფოსტა [logos@caucasus.net](mailto:logos@caucasus.net)

# სარჩევი

წინასიტყვაობა .....	9
ლათინური შემოკლებები.....	10
შესავალი .....	12
<b>§ 1 LECTIO PRIMA</b> .....	16
ლათინური ანბანი .....	16
კითხვის წესები .....	17
ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე .....	17
როგორ გავიგოთ, გრძელია მარცვალი, თუ მოკლე .....	18
მახელის წესები .....	18
როგორ გავიგოთ სახელის ფუძე .....	18
ბრუნვები და მათი ფუნქციები .....	19
ზმნების ჯგუფები .....	19
როგორ გავიგოთ ზმნის ფუძე .....	19
ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება .....	19
<b>§ 2 LECTIO SECUNDA</b> .....	20
I კანკლედობა (არსებითი და მდებრ. სქესის ზედს. სახელები) ...	22
Praesens indicativi და imperativi activi ზმნისა esse.....	22
Praesens indicativi და imperativi activi I და II უღლების ზმნებისა ..	22
წინდებული in .....	23
ქალაქებისა და კუნძულების სახელები ადგილისა და მიმარ- თულების აღნიშვნისას .....	23
კითხვითი ნაწილაკი -ne .....	24
წინადადების წყობა .....	24
De lingua Latina et lingua Graeca .....	20
Dialogus .....	21
<b>§ 3 LECTIO TERTIA</b> .....	27
II კანკლედობა. -us და -um დაბოლოებიანი არსებითი და ზედ- სართავი სახელები .....	28
Pronomina interrogativa et relativa და მათი ბრუნება .....	28
Praesens ind. act. და imperat. III და IV უღლების ზმნებისა .....	29
კავშირები et, que, atque .....	29
წინდებულები a (ab), ad, ex, de, per .....	30
ნაცვალსახელური ზმნიმდლები unde? quo? hic .....	30
Ablativus separationis .....	31
Populus Romanus .....	27

<b>§ 4 LECTIO QUARTA</b> .....	<b>34</b>
II კანკლედობის -er და -ir დაბოლოებიანი არსებითი და -er დაბოლოებიანი ზედსართავი სახელები .....	35
Imperfectum indicativi activi ზმნისა esse .....	36
Imperfectum indicativi activi .....	36
Ablativus instrumenti .....	37
უკუთქმითი ბრძანებითი .....	37
Familia Romana .....	34
Facetia .....	34
<b>§ 5 LECTIO QUINTA</b> .....	<b>39</b>
IV კანკლედობა .....	42
Ablativus loci .....	42
Pronomen demonstrativum hic, haec, hoc .....	43
Domus Romanorum .....	39
Dialogus .....	40
Facetia .....	41
<b>§ 6 LECTIO SEXTA</b> .....	<b>46</b>
Pronomina personalia et reflexiva .....	48
Cum წინდებული პირისა და უკუქცევით ნაცვალსახელების abl.-თან .....	48
Pronomina demonstrativa is, ea, id .....	49
წინდებულები inter, ante, apud, adversus, prope, post, contra, trans, cum, sine, pro, praec, sub .....	49
Ablativus pretii .....	49
De exercitu Romano .....	46
De deis antiquis .....	46
<b>§ 7 LECTIO SEPTIMA</b> .....	<b>53</b>
V კანკლედობა .....	54
Dativus duplex .....	54
Pronomina possessiva .....	55
De re publica .....	53
<b>§ 8 LECTIO OCTAVA</b> .....	<b>58</b>
Praesens indicativi passivi .....	61
Imperfectum indicativi passivi .....	61
Ablativus auctoris .....	62
Accusativus duplex, nominativus duplex .....	62
Genetivus partitivus .....	62

Ablativus limitationis .....	62
De bello Gallico (Iulius Caesar-ის მიხედვით) .....	58
De theatro antiquo .....	59
De erinaceo et vipera .....	59
Dialogus .....	60
<b>§ 9 LECTIO NONA</b> .....	66
Futurum I activi .....	67
Futurum I passivi; Imperat. futuri .....	68
Pronomen demonstrativum ille, illa, illud .....	69
Pronomen determinativum ipse, ipsa, ipsum .....	69
De perfidia Falisci .....	66
De tauro et musca (Fabula) .....	67
<b>§ 10 LECTIO DECIMA</b> .....	71
III კანკლედობა, სახელობითი ბრუნვის წარმოება .....	73
III კანკლედობის არსებით სახელთა სუფიქსები .....	74
III კანკლედობა, თანხმოვანფუძიანი ბრუნება .....	74
Perfectum indicativi activi ზმნისა esse .....	75
Perfectum-ის პირის დაბოლოებები .....	75
Perfectum-ის ფუძის სუფიქსიანი წარმოება .....	75
III ულლების ზმნების perfectum-ის ფუძე .....	76
Perfectum-ის ფუძის უსუფიქსო წარმოება .....	76
Corvus et vulpes .....	71
Vulpes et uvae .....	72
Facetia .....	72
<b>§ 11 LECTIO UNDECIMA</b> .....	81
III კანკლედობა, ხმოვანფუძიანი ბრუნება .....	83
III კანკლედობა, შერეული ბრუნება .....	85
III კანკლედობის თავისებური სახელები Iuppiter, vis .....	86
Perfectum-ის ფუძის გაორმაგებული წარმოება .....	86
Ablativus modi .....	86
De Daedalo et Icaro .....	81
Ranae et Iuppiter .....	81
De vestibus Romanorum .....	82
<b>§ 12 LECTIO DUODECIMA</b> .....	91
Participium praesentis activi და მისი ბრუნება .....	94
III კანკლედობის ზედსართავი სახელები .....	95
Plusquamperfectum indicativi activi .....	95

Futurum II activi .....	96
Pronomen demonstrativum idem, eadem, idem .....	96
Dativus possessivus .....	96
ღროთა თანამიმდევრობა წინადადებაში (imperfectum და plusquamperfectum; futurum II და futurum I) .....	97
De Prometheo .....	91
De viro avaro .....	92
De gallina et vulpe .....	93
De Lacedaemoniis .....	93
<b>§ 13 LECTIO TERTIA DECIMA</b> .....	103
შედართავი სახელების ხარისხები და მათი ბრუნება .....	105
ხარისხთა სუპლეტური წარმოება .....	105
Quam კავშირი შედარებით ხარისხთან .....	106
Ablativus comparationis .....	106
Supinum I .....	106
შმნის 4 ძირითადი ფორმა .....	106
Participium perfecti passivi .....	107
De Solone et Croeso .....	103
De varietate morum (Tacitus-ის მიხედვით) .....	103
Ad Ciceronem (Catullus) .....	104
<b>§ 14 LECTIO QUARTA DECIMA</b> .....	111
Supinum II .....	113
Participium futuri activi .....	113
Pf. ind. pass., inf. pf. pass., inf. fut. act. ....	113
Accusativus cum infinitivo (AcI) .....	114
Nominativus cum infinitivo (NcI) .....	114
De Alexandro (Paride) Priami filio .....	111
De Ennio poëta et de Nasica .....	111
De Roma, ab anseribus servata .....	111
De Demosthene, Graecorum celeberrimo, et fure .....	111
<b>§ 15 LECTIO QUINTA DECIMA</b> .....	119
Plusquamperfectum indicativi passivi .....	121
Futurum II passivi .....	121
Ablativus causae .....	122
De causa belli Troiani .....	119
De praeceptis imperatoris .....	120
Facetia .....	120



<b>§ 16 LECTIO SEXTA DECIMA</b> .....	126
Numeralia .....	128
Accusativus temporis .....	130
Ablativus temporis .....	130
De diebus et mensibus .....	126
Summarium historiae Romanae .....	126
<b>§ 17 LECTIO SEPTIMA DECIMA</b> .....	134
Praesens coniunctivi activi .....	137
Praesens coniunctivi passivi .....	137
ირიბი კითხვა .....	138
De Argonautis .....	134
Carmina Burana .....	135
Facetiae .....	135
<b>§ 18 LECTIO DUODEVICESIMA</b> .....	142
Adverbium .....	146
Ablativus absolutus .....	146
De Spartanis .....	142
De Romulo et Remo .....	143
Dialogus .....	144
ევროპის ქალაქებისა და სახელმწიფოების სახელები ლათინურად .....	144
<b>§ 19 LECTIO UNDEVICESIMA</b> .....	151
Imperfectum coniunctivi activi და passivi .....	154
უწესო მზნები: possum .....	154
Ut (ne) finale .....	155
Ut (ne) obiectivum .....	155
Si realis, si potentialis, si irrealis .....	155
Pronomina negativa nemo, nihil .....	155
De maligna crudelitate Darei .....	151
De Lacedaemoniis .....	151
De Proserpina .....	152
Facetia .....	152
<b>§ 20 LECTIO VICESIMA</b> .....	159
Verba deponentia .....	162
Verba semideponentia .....	163
Verba anomalia .....	163
Cum temporale .....	164





De Tantalō .....	159
Phaëton .....	159
Gaudeamus .....	160
<b>§ 21 LECTIO VICESIMA PRIMA</b> .....	170
Gerundivum -ი და Gerundium-ი .....	172
De decemviris .....	170
De Archimedis morte .....	170
Pater noster .....	171
<b>§ 22 LECTIO VICESIMA SECUNDA</b> .....	175
Genetivus qualitatis .....	178
Perfectum coniunctivi activi .....	179
Perfectum coniunctivi passivi .....	179
Plusquamperfectum coniunctivi activi და passivi .....	179
Cum causale .....	179
Cum historicum, cum concessivum .....	180
De Alexandro Magno, rege Macedonum .....	175
De Codro, ultimo Atheniensium rege .....	176
De Biante philosopho .....	177
Facetia .....	177
<b>§ 23 LECTIO VICESIMA TERTIA</b> .....	184
თავისებური მშენებები cō, edō, volō, nōlō, mālō, ferō .....	187
De Alexandro Magno et Diogene .....	184
Aesopus et viator .....	185
De Theseo et Ariadna .....	185
Facetia .....	186
რომაული კალენდარი .....	194
რომაული მეტრიკა .....	197
რომაული საკუთარი სახელები .....	200
სიგრიძისა და წონის ერთეულები .....	201
ფულის ერთეულები .....	201
Abbreviaturae (ყველაზე ხშირად ხმარებული ლათინური შემოკლებები) .....	202
ილუსტრაციები .....	203
ლათინურ-ქართული ლექსიკონი .....	221
ქართულ-ლათინური ლექსიკონი .....	276
რუკები .....	279



## წინასიტყვაობა

**ლ**ათინური ენის წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, რომლებიც იწყებენ ლათინური ენის შესწავლას. იგი 23 პარაგრაფს მოიცავს. ცალკეული პარაგრაფი შედგება გექსტების, სასაუბრო დიალოგების, სენტენციების, მოკლე სახუმარო ამბების, კროსვორდების, გამოცანებისა და სავარჯიშოებისაგან, რომლებიც, ჩვენი აზრით, უფრო სახალისოს გახდის ლათინურის სწავლების პროცესს. აქვე წარმოდგენილია გრამატიკული მასალა (რომელმდეაც აგებულია გექსტები და სავარჯიშოები) სქემატურად, პარადიგმების სახით. გექსტები შეიცავს ინფორმაციას ანტიკურ მითოლოგიაზე, რომის ისტორიასა და ყოფაზე. მათ ხშირად თან ახლავს შენიშვნები და სათანადო განმარტებები, რაც მოსწავლეს დაეხმარება გექსტების თარგმნაში. გექსტებისა და სავარჯიშოების სიმრავლე მასწავლებელს საშუალებას მისცემს, სურვილისამებრ დაეყოს თითოეული პარაგრაფი 3-4 გაკვეთილად. მერვე პარაგრაფიდან მოცემულია ნაწყვეტები რომაელი ავტორების პოეტური და პროზაული თხზულებებიდან. სახელმძღვანელოს თან ერთვის ლათინურ-ქართული და მოკლე ქართულ-ლათინური ლექსიკონი, რომელიც შედგენილია მხოლოდ პარაგრაფებში გამოყენებული ლექსიკის საფუძველზე.

ივარაუდება, რომ ამ წიგნში წარმოდგენილი მასალის დაუფლების შემდეგ სტუდენტი აითვისებს ლათინური ენის ლექსიკას და გრამატიკის ელემენტებს იმ მოცულობით, რომ მას შეეძლება სამუალო სირთულის ლათინური გექსტების წაკითხვა.

იმედი გვაქვს, რომ ამ წიგნის გაცნობის შემდეგ ახალგაზრდებს გაუჩნდებათ ინტერესი ლათინური ენისა და ანტიკური კულტურისადმი, რაც წარმოადგენს წინამდებარე სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ძირითად მიზანს.

შეოთხე გადაამუშავებულ გამოცემაში შეტანილი დამატებები და შესწორებები გაკეთდა როგორც სტუდენტებთან უშუალო შეყადინეობის შედეგად, ასევე ჩვენი კოლეგების სურვილებისა და შენიშვნების საფუძველზე. გვინდა დიდი მადლობა გადაუხადოთ მათ თანამშრომლობისათვის.

ავტორები

## ლათინური შემოკლებები

- abl. – ablativus – მოქმედებითი ბრუნვა
- (+abl.) – იხმარება წინდებულთან ან ზმნასთან; მიუთითებს, რომ ეს წინდებული ან ზმნა მოითხოვს abl.-ს.
- abl. instr. – ablativus instrumenti – იარაღობითი აბლატივისი
- abl. separ. – ablativus separationis – გამოყოფითი აბლატივისი
- acc. – accusativus – ბრალდებითი ბრუნვა – აკუზატივისი
- (+acc.) – იხმარება წინდებულთან ან ზმნასთან; მიუთითებს, რომ ეს წინდებული ან ზმნა მოითხოვს acc.-ს.
- AcI – Accusativus cum infinitivo – აკუზატივისი ინფინიტივსთან
- act. – activum – მოქმედებითი გვარი
- adi. – adiectivum – შედარებითი სახელი
- adv. – adverbium – ზმნიშვლა
- ci. – coniunctio – კავშირი
- compar. – comparativus – შედარებითი ხარისხი
- coni. – coniunctivus – კავშირებითი კილო
- dat. – dativus – მიცემითი ბრუნვა
- (+dat.) – იხმარება წინდებულთან ან ზმნასთან; მიუთითებს, რომ ეს წინდებული ან ზმნა მოითხოვს dat.-ს.
- defect. – defectivum – დეფექტური ზმნა
- depon. – deponens – დეპონენსი (გადადებული ზმნა)
- f – femininum – მდედრობითი სქესი
- fut. – futurum – მომავალი დრო
- gen. – genetivus – ნათესაობითი ბრუნვა
- gerund. – gerundium – გერუნდიუმი
- gerundiv. – gerundivum – გერუნდივუმი
- imper. – imperativus – ბრძანებითი კილო
- impers. – impersonale – უპირო ზმნა
- impf. – imperfectum – ნამყო უსრული
- indecl. – indeclinabile – უბრუნველი სიტყვა
- inf. – infinitivus – ინფინიტივისი (საწყისი)
- int. – interiectio – შორისდებული
- interr. – interrogativum – კითხვითი
- loc. – locativus – ადგილობითი ბრუნვა
- m – masculinum – მამრობითი სქესი
- n – neutrum – საშუალო სქესი
- NcI – Nominativus cum infinitivo – ნომინატივისი ინფინიტივსთან
- nom. – nominativus – სახელობითი ბრუნვა

- num. card. – numerale cardinale – რაოდენობითი რიცხვითი სახელი
- num. ord. – numerale ordinale – რიგობითი რიცხვითი სახელი
- p. – persona – პირი
- part. – participium – მიმღობა
- pass. – passivum – ვნებითი გვარი
- pf. – perfectum – ნამყო სრული
- pl. – pluralis – მრავლობითი რიცხვი
- posit. – positivus – დადებითი ხარისხი
- ppf. – plusquamperfectum – პლუსკვამპერფექტუმი
- p.p.p. – participium perfecti passivi – ვნებითი გვარის pf.-ის მიმღობა
- praef. – praefixum – პრეფიქსი
- praep. – praepositio – წინდებული
- praes. – praesens – აწმყო დრო
- pron. – pronomen – ნაცვალსახელი
- pron. correlat. – pronomen correlativum – ურთიერთობითი ნაცვალსახელი
- pron. demonstr. – pronomen demonstrativum – ჩვენებითი ნაცვალსახელი
- pron. indef. – pronomen indefinitum – განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი
- pron. interr. – pronomen interrogativum – კითხვითი ნაცვალსახელი
- pron. neg. – pronomen negativum – უარყოფითი ნაცვალსახელი
- pron. pers. – pronomen personale – პირის ნაცვალსახელი
- pron. poss. – pronomen possessivum – კუთვნილებითი ნაცვალსახელი
- pron. refl. – pronomen reflexivum – უკუქცევითი ნაცვალსახელი
- pron. rel. – pronomen relativum – მიმართებითი ნაცვალსახელი
- semidepon. – semideponens – სემიდეპონენსი (ნახევრადგადადებული გმნა)
- sg. – singularis – მხოლოდობითი რიცხვი
- subst. – substantivum – არსებითი სახელი
- superl. – superlativus – აღმატებითი ხარისხი
- supin. – supinum – სუპინუმი
- voc. – vocativus – წოდებითი ბრუნვა

## შესავალი

### ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია

დღეს ცნობილი ენები მათი წარმოშობის მიხედვით ენათა ოჯახებში ერთიანდებიან. ენები, რომლებიც საერთო წინაპარი ენიდან მომდინარეობენ, “მონათესავე” ენებად იწოდებიან და ენათა ერთ “ოჯახს” ქმნიან. წინაპარ ენას, რომლისგანაც მომდინარეობენ მონათესავე ენები, ფუძე-ენა ანუ პროტო-ენა ეწოდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფუძე-ენაზე თავდაპირველი, გარკვეულ გეოგრაფიულ კომპაქტურად დასახლებული გომები მეგყველებდნენ. სხვადასხვა მიზეზის გამო მოსახლეობის ერთი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი პირველსახეობის და სხვა ადგილებში გადასახლებულიყო. ხალხთა ამ გადასახლებებს მიგრაციები ეწოდება (ლათ. სიტყვიდან *migro, migrare* – გადავსახლდები). ამის შედეგად ფუძე-ენა დროთა განმავლობაში ცალკეულ დიალექტებად დაიშალა. ეს ჯგუფები შემდეგ დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ.


ენათა ოჯახებიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდია ინდოევროპულ ენათა ოჯახი. ინდოევროპული ენები დღეს ყველა კონტინენტზე გავრცელებული და მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი ამ ენებზე ლაპარაკობს.

მონათესავე ინდოევროპულ ენათა ერთმანეთთან შედარების საფუძველზე შეიძლება აღვადგინოთ ინდოევროპული ფუძე-ენა (ე. წ. პროტო-ინდოევროპული), რომელიც სქემაზე წარმოდგენილია გენეალოგიური ხის სახით. ხის ტანიდან გამოდის ცალკეული შტოები, რომლებიც ინდოევროპულ ენათა ცალკეულ ჯგუფებს წარმოადგენენ.

ასეთსავე ჯგუფებს მონათესავე ენებისა ქმნის სემიტურ ენათა ოჯახი (არაბული, ებრაული, აქადური, არამეული და სხვ.), ქართულურ ენათა ოჯახი (ქართული, სვანური, მეგრულ-ლაზური), თურქულ ენათა ოჯახი და სხვ.

ყველა ენას ჩვენამდე არ მოუღწევია. იმ ენებს, რომლებზედაც დღეს აღარავინ ლაპარაკობს, მკვდარი ენები ეწოდება. ასეთებია, მაგალითად, ძველი ბერძნული, ლათინური, ხეთური, აქადური, შუმერული და სხვ. ისინი ჩვენამდე მხოლოდ წერილობითი წყაროების საშუალებითაა მოღწეული. მიუხედავად იმისა, რომ ამ ენებზე დღეს აღარავინ ლაპარაკობს, მათ საფუძველი ჩაუყარეს მრავალ თანამედროვე ენას და წარუშლელი კვალი დატოვეს იმ ენებში,

რომლებთანაც მათ ურთიერთობა პქონდათ მრავალი საუკუნის განმავლობაში თანაარსებობისა და ურთიერთშეხებისას. დღესაც მრავალ ენაში, მათ შორის ქართულშიც, შემოსულია სიტყვები ძვ. ბერძნული და ლათინური ენებიდან, განსაკუთრებით სამეცნიერო ლიტერატურაში. აქედან გამომდინარე, ძველი ენების, მათ შორის პირველ რიგში ძველი ბერძნულისა და ლათინურის ცოდნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თანამედროვე ენების შესწავლას.



ინოვეროპული ენების გენეალოგიური ხე

## ლათინური ენა


როგორც გენეალოგიური ხე გვიჩვენებს, ლათინური ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრია და აპენინის ნახევარკუნძულის ძველ ენებთან ერთად (ოსკური, უმბრული, ფალისკური და სხვა ენები) ქმნის იტალიკური ენების ჯგუფს. ლათინური ძველი რომაელების ენა იყო. თავდაპირველად ამ ენაზე მეტყველებდა აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში, ლაციუმში (Latium) მობინადრე ერთ-ერთი უძველესი იტალიკური ტომი, რომელსაც ლათინებს უწოდებდნენ. ლაციუმის მთავარი ქალაქი რომი (Roma), გადმოცემის თანახმად, დაარსებულია ძვ. წ. 753 წ. ლათინურმა ენამ სახელწოდება მიიღო ლათინთა (Latini) ტომისაგან, ხოლო ამ ენაზე მეტყვევლ ხალხს "რომაელები" ქალაქ რომის სახელის მიხედვით ეწოდა.

ლათინების გარდა აპენინის ნახევარკუნძულზე მოსახლეობდნენ სხვა იტალიკური ტომებიც: ოსკები, უმბრები, ფალისკები, საბინები და სხვანი. ლაციუმს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებოდა ეტრუსკებით დასახლებული ეტრურია, უძველესი ცივილიზაციის მხარე, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა რომაული ხელოვნების, დამწერლობის, რელიგიის ჩამოყალიბებაზე.

იტალიკების აპენინის ნახევარკუნძულზე გადასახლების შემდეგ (ძვ. წ. II ათასწლეული) ლათინური მხოლოდ ერთ-ერთი უმნიშვნელო დიალექტი იყო სხვა დიალექტების გვერდით, რომლებმედაც უფრო მრავალრიცხოვანი ტომები ლაპარაკობდნენ. რომის მიერ ექსპანსიური პოლიტიკის გატარების შედეგად ლათინურმა შეძლო ყველა იტალიკური დიალექტი მეორე პლანზე გადაეწია, ზოგი კი საერთოდ გამოედევნა. ძვ. წ. 300 წლისათვის ეს პროცესი თითქმის დასრულებული იყო. რომაელებმა პუნიკურ ომებში კართაგენზე გამარჯვების შემდეგ შექმნეს უზარმაზარი იმპერია. დასავლეთ პროვინციებში (ესპანეთში ანუ იბერიაში, გალიაში და ა. შ.) ლათინური სახელმწიფო ენად ითვლებოდა, აღმოსავლეთ პროვინციებში კი (საბერძნეთში, მცირე აზიაში, აფრიკის ჩრდ. სანაპიროებზე და სხვ.), სადაც რომაელთა შეჭრამდე ბერძნული ენისა და კულტურის ძლიერი გავლენა იყო, ლათინურმა ენამ ფართო გავრცელება ვერ პოვა. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ბილინგვიზმი (ორენოვნობა), რომლის დროსაც მოსახლეობაში პარალელურად იხმარებოდა ორი ენა.

უძველესი ნიმუში ლათინური დამწერლობისა არის წარწერა ოქროს ფიბულაზე. იგი აღმოჩენილია რომის დასავლეთით, ქალაქ პრენესტეში 1871 წ. და ძვ. წ. VII ს-ით თარიღდება.

ლათინური ენის განვითარებაში შემდეგი პერიოდები გამოიყოფა: არქაული (ძვ. წ. III ს. – ძვ. წ. II ს.) ანუ კლასიკურამდელი პერიოდის ლათინური (პლაზგე, ტერენციუსი, კატონი და სხვანი);



ლაპიდარული წარწერა.

ნაწევები "Monumentum Ancyratum"-იდან (ახ. წ. I ს.)

ოქროს ხანის (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს.) ანუ კლასიკური პერიოდის ლათინური (იულიუს კეისარი, ციკერონი, ვერგილიუსი, პორაციუსი, ოვიდიუსი და სხვანი); ვერცხლის ხანის (ახ. წ. II ს.) ანუ გვიანკლასიკური ხანის ლათინური (ტაციუსი, იუვენალისი, მარციალისი, პეტრონიუსი, აპულეუსი და სხვანი); გვიანი ხანის ლათინური (ახ. წ. III ს. – ახ. წ. VI ს.). ეს არის გვიანი იმპერიისა და მისი დასრულების შემდეგ "ბარბაროსულ" სახელმწიფოთა წარმოშობის ეპოქა. ქრისტიანული ლიტურჯიკის შექმნასთან ერთად ლათინური ივსება პროვინციალიზმებით, ბარბარიზმებით, შემოდის ვულგარული (ხალხური) ლათინურის ელემენტები სამწერლო ენაში. სწორედ ამ "ხალხური" ლათინური (უმთავრესად რომაელი ლეგიონერების) ენიდან მომდინარეობენ თანამედროვე რომანული ენები – ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული და სხვ. ეს ენები, გაერთიანებულნი რომანული ენების ოჯახში, წარმოადგენენ ძირითადად რომის მიერ დაპყრობილ სხვადასხვა პროვინციებში (გალია, იბერია და სხვ.) გავრცელებული სალაპარაკო ლათინურის გვიანდელ სახეობებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ხალხური ლათინურის განვითარების შედეგად ადგილობრივ ენებთან ურთიერთობის პროცესში.



# §1 LECTIO PRIMA

ლათინური ანბანი  
კითხვის წესები  
მარცვლის სიგრძე-სიმოკლე  
მახვილის წესები  
როგორ გავიგოთ სახელის ფუძე

ბრუნვები და მათი ფუნქციები  
გმნების ჯგუფები  
როგორ გავიგოთ გმნის ფუძე  
ქვემდებარისა და შემასმენლის  
შეთანხმება

## ლათინური ანბანი

1*	2*	3*	4*	განმარტებები
A	a	ა	ა	
B	b	ბე	ბ	
C	c	ცე	კ	შუა საუკუნეებიდან c, i, ae, oe, y-ს წინ გამოითქმოდა, როგორც "ც": Cicero – "ციცერო" – ციციერონი.
D	d	დე	დ	
E	e	ე	ე	
F	f	ეფ	ფ	
G	g	გე	გ	n-ს წინ და n-ს შემდეგ გამოითქმის როგორც ნამა- ლური ბგერა "იგ": (magnus იკითხება როგორც "ma <sup>n</sup> gnus" – დიდი; lingua – იკითხება "li <sup>n</sup> gua" – ენა).
H	h	ჰა	ჰ	
I	i	ი	ი	გამოითქმის როგორც j, თუ ის შემდეგ ხმოვანთან ერთ მარცვალს ქმნის: Iulius – "Julius" – იულიუსი.
K	k	კა	კ	გამოიყენება მხოლოდ ორ სიტყვაში Kalendae – "კა- ლენდები" და Kaeso – "კესო" (საკუთარი სახელი).
L	l	ელ	ლ	
M	m	ემ	მ	
N	n	ენ	ნ	
O	o	ო	ო	
P	p	პე	პ	
Q	q	კუ	კ	qu გამოითქმის როგორც "კუ", მაგ.: qui – "კუი" – ვინც.
R	r	ერ	რ	
S	s	ეს	ს	შუა საუკუნეებიდან s ორ ხმოვანს შორის გამოითქმოდა როგორც "შ", დანარჩენ შემთხვევებში როგორც "ს".
T	t	ტე	ტ	შუა საუკუნეებიდან t+ხმ. გამოითქმოდა როგორც "ცი" გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას წინ მიუძღვის s, t ან x. მაგ.: iustitia – "იუსტიცია"; bestia – "ბესტია" – ცხოველი.

U	u	უ	უ	უმხვილო u იგ-ს შემდეგ და sua, suae კომპლექსებში (როდესაც u უმხვილოა) გამოითქმის როგორც ჯ <i>lingua</i> – “ლინგუა”; <i>persuadēn</i> – “პერსუადენო” – ვარწმუნებ.
V	v	ვე	ვ	
X	x	იქს	ქს	
Y	y	იფსი- ლონ	ი	გვხვდება მხოლოდ ბერძ. წარმოშობის სიტყვებში.
Z	z	ზეტა	ზ	გვხვდება მხოლოდ ბერძ. წარმოშობის სიტყვებში.

\* 1 = მთავრული  
\*\* 2 = ნუსხური

\*\*\* 3 = სახელწოდება  
\*\*\*\* 4 = გამოთქმა

**NB (Nota bene! – კარგად დაიხსოვე!)**

მთავრულით იწყება ყველა საკუთარი სახელი და მათგან ნაწარმოები ზედსართავეები და მზნიმელები (*Graecia* – საბერძნეთი – *Graecus* – ბერძნული – *Graece* – ბერძნულად), ასევე წინადადების პირველი სიტყვა.

**კითხვის წესები**

**ch, ph, th, rh** თანხმოვანთკომპლექსები გვხვდება მხოლოდ ბერძნული წარმოშობის სიტყვებში:

**ch** გამოითქმის **ხ** (*schola*)

**ph** გამოითქმის **ფ** (*philosophia*)

**th** გამოითქმის **თ** (*theatrum*)

**rh** გამოითქმის **რ** (*rhetorica*)

**დიფთონგები**

**ae** გამოითქმის **ე**

**oe** გამოითქმის როგორც გერმანული **მე**

**au** გამოითქმის **აუ**

**eu** გამოითქმის **ეუ**

**NB**

თუ დიფთონგის შემადგენელ მეორე ხმოვანს თავზე ორი წერტილი, სიგრძის ან სიმოკლის ნიშანი აქვს (oῦ, oē, oñ), ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ მარტივ ხმოვანთან და არა დიფთონგთან. მაგ., poëta, poēta – “პოეტა” – პოეტი.

**ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე**

ხმოვანი არის გრძელი ან მოკლე. გრძელ ხმოვანს პირობითად აღვნიშნავთ ხმოვნის თავზე ნიშნით ~: villa, ხოლო მოკლე ხმოვანს ნიშნით ~: Asia. დიფთონგები ყოველთვის გრძელია.

მარტივი ხმოვნები (a, e, i, o, u, y (უცხო სიტყვებში)) შეიძლება იყოს ბუნებით გრძელი ან მოკლე და პოზიციით გრძელი ან მოკლე.

## როგორ გავიგოთ, გრძელია მარცვალი, თუ მოკლე

მარცვალზე შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელი – ბუნებით ან პოზიციით იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხმოვანს შეეცავს.

1. დიფთონგის შემცველი მარცვალი ბუნებით გრძელია: Caesar, causa.
2. დახურული მარცვალი (ე.ი. მარცვალი, რომელიც თანხმოვნით მთავრდება), რომელსაც მოჰყვება თანხმოვნით დაწყებული მარცვალი, პოზიციით გრძელია (ე.ი. ხმოვანი + ორი თანხმოვანი ან რთული თანხმოვნები x და z): ma-gis-ter – მასწავლებელი; me-di-ca-mēn-tum – წამალი; per-plē-xus – ბუნდოვანი. მაგრამ თუ **-b-, -d-, -g-** ან **-p-, -t-, -c-** მოჰყვება I ან r (muta cum liquida – ხშული ნარნარასთან), მაშინ მარცვალი არ გრძელდება: Pātr̄-clus.
3. ხმოვნით დაბოლოებული მარცვალი (ე.წ. ღია მარცვალი), რომელსაც მოჰყვება ხმოვნით დაწყებული მარცვალი, ყოველთვის მოკლეა პოზიციით (ე. ი. ხმ. + ხმ.): A-sī-a – აზია, vic-tō-rī-a – გამარჯვება.
4. როდესაც ღია მარცვალს მოჰყვება თანხმოვანი, მაშინ უნდა ვნახოთ ლექსიკონში, როგორია ხმოვანი ბუნებით, გრძელი, თუ მოკლე. მაგ. amīcus-ში i გრძელია, ხოლო fēmina-ში – მოკლე.


## მახვილის წესები

მახვილი მოუდით:

1. ორმარცვლიან სიტყვებს ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე: má-ter, pá-ter.
2. სამ- ან მეტმარცვლიან სიტყვებს ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალზე: Ger-má-ni.
3. ბოლოდან მესამე მარცვალზე, თუკი ბოლოდან მეორე მარცვალი მოკლეა: Ger-má-nī-a.

## როგორ გავიგოთ სახელის ფუძე

ლათინურში 5 კანკლედობას ანუ ბრუნებას (declinatio) განასხვავებენ. ამ განსხვავებას საფუძვლად უდევს ფუძის ბოლოკიდური ბგერა – თანხ. ან ხმ. ეს ბგერა და თვით ფუძე სუფთა სახით ჩანს gen. pl.-ში. მაგ.: cūrā-rum, currū-um, diē-rum, turri-um და ა. შ. ზოგიერთ სხვა ბრუნვაში ფუძის ბოლოკიდური ბგერისა და ბრუნვის დაბოლოების შეხვედრისას ფონეტიკური ცვლილებები ხდება და ზღვარი ფუძესა და დაბოლოებას შორის იშლება. მაგ.: nom. rex ← reg + s. ფუძე – reg-. ამიტომ სახელის ფუძის გასაგებად ის gen. pl.-ში უნდა ჩავსვათ.



## ბრუნვები და მათი ფუნქციები

**Nominativus (Nom.)** – ქვემდებარის ბრუნვა. ქართულად გადმოიყვამ სახელობითით, მოთხრობითით და მიცემითით. უპასუხებს კითხვებზე ვინ? რა?

**Genetivus (Gen.)** – ქართულად გადმოიყვამ ნათესაობითით. გამოხატავს კუთვნილებას. უპასუხებს კითხვებზე ვისი? რისი?

**Dativus (Dat.)** – ქართულად გადმოიყვამ მიცემითით. Dat. არის ირიბი დამატების ბრუნვა. უპასუხებს კითხვებზე ვის? რას?

**Accusativus (Acc.)** – ბრალდებითით, ქართულად გადმოიყვამ სახელობითით ან მიცემითით. უწინდებულო acc. არის პირდაპირი დამატების ბრუნვა.

**Ablativus (Abl.)** – ქართულად გადმოიყვამ მოქმედებითით. უპასუხებს კითხვებზე რითი? ვისგან? რისგან? სად? (აღვილის abl.), როდის?

**Vocativus (Voc.)** – ქართულად გადმოიყვამ წოდებითით.

## ზმნების ჯგუფები

**Praesens-ის (აწმყოს) ფუძის ბოლოკიდური ბგერის მიხედვით** ლათინური ზმნები ოთხ ჯგუფად (უღლებად) იყოფა:

I უღლებაში შედის -**ā**- ფუძიანი ზმნები: **amā-**, inf. **amā-re**, amo.

II უღლებაში შედის -**ē**- ფუძიანი ზმნები: **habē-**, inf. **habē-re**, habe-o.

III უღლებაში შედის თანხმოვანფუძიანი და -**ū**- ფუძიანი ზმნები: **ag-ē-re**, **ag-o**; **metū-ē-re**, **metu-ū**; აგრეთვე ზმნები -**iō**-ზე, რომელთა p. I sg. მთავრდება -**iō**-ზე (როგორც IV უღლებაში), ხოლო inf. - **-ēre**-ზე (როგორც III უღლებაში). ფუძისეული -**I-** ამ ზმნებში -**r**-ს წინ და აგრეთვე სიტყვის ბოლოს გადადის -**ē**-ში: **capīō**, **cap-ē-re**. მათ შერეულ ზმნებსაც უწოდებენ. რადგან III უღლების ზმნების inf.-ის დაბოლოების (-**ēre**) პირველი -**ē**- მოკლეა, მახვილი ბოლოდან III მარცვალზე ეყვამ; ამით უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან II და III უღლების ზმნები: **tacē-re** – II უღლ.; **lég-ē-re** – III უღლება.

IV უღლებაში შედის -**I-** ფუძიანი ზმნები: **audī-**, inf. **audī-re**, audi-o.

## როგორ გავიგოთ ზმნის ფუძე

ზმნის praes. inf.-ის ფორმას უნდა ჩამოვაცილოთ inf.-ის დაბოლოება -**re-**; რაც დარჩება, ის იქნება ფუძე. მაგ.: **amā-re** → **amā-**.

## ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება

ქვემდებარე (სულიერიცა და უსულოც) შეეთანხმება შემასმენელს რიცხვში. მაგ., **rosa est**; **rosae sunt**.

**სავარჯიშო:**

წაიკითხეთ, სწორად დაუსვით მახვილები; შეეცადეთ დაადგინოთ სიტყვების მნიშვნელობები:

CAESAR, CICERO, TERENTIA, ATTIUS, THEODORA, CORNELIA, GNAEUS, ITALIA, ROMA.

Neapōlis, Vesuvius, Creta, Euboca, Athēnae, Cyprus, Alexandria, Caucāsus, Eurōpa, Asia, Aegyptus, Rhēnus, Mosella, Iura Mons, Troia, Alpes, Hispania, Byzantium, Boeotia, Colchis, Iberia, Georgia.

Kalendae, aquarium, phiāla, auctoritas, senātor, schola, instrumentum, iustitia, natio, commotio, consul, villa, habitus, regio, intervallum, argumentum, camēra, carcer, monasterium, coquīna, tyrannus, triumphus, comoedia, tragoedia, philologia, rhetorica, rhythmus, philosophus.

Iacio – ვისერი, centum – ასი, suāvis – სასიამოვნო, lingua – ენა, equus – ცხენი, iuvēnis – ახალგაზრდა, varius – მრავალფეროვანი, puella – გოგონა, antiquus – ძველი, magnus – დიდი, scientia – ცოდნა, potentia – ძალა, patria – სამშობლო, pulcher – ლამაზი, aurōra – ცისკარი, caelum – ცა, quartus – მეოთხე, bestia – ცხოველი, lyra – ლირა, zephyrus – ძეფიროსი (დასავლეთის ქარი), aqua – წყალი, poena – სასჯელი, lectio – კითხვა.

**§2 LECTIO SECUNDA**

I კანკლედობა (არსებითი და შედსართავი სახელები)	წინდებული in
Praes. ind. და imper. act.	ქალაქებისა და კუნძულების სახელები ადგილისა და მიმართულების აღნიშვნისას
გზნისა esse	
Praes. ind. და imper. act. I და II უღლ. გზნებისა	კითხვითი ნაწილაკი -ne წინადადების წყობა

**De lingua Latina et lingua Graeca**

Lingua Latīna est lingua antiqua. Lingua Graeca etiam lingua antiqua est. Nunc sunt linguae mortuae. Patria linguae Latīnae Italia est. Italia est terra antiqua. Linguae Italiae antiquae variae sunt: lingua Osca, Umbra, Sabīna, Falisca, Venēta, Etrusca et aliae. Omnes\* sunt linguae Italīcae mortuae. In Italia et Graecia incōlae linguas antiquas – linguam Latīnam et linguam Graecam antiquam, non iam adhibent. Linguam incolārum Graeciae nunc

nomināmus linguam Graecam novam; diversa est a lingua Graeca antiqua.  
Item lingua, quam\*\* nunc incōlae Italiae adhibent, diversa est a lingua  
Latīna. Est lingua Italiāna.

\* omnes – nom. pl. omnis, e-დან – ყოველი, ყველა.

\*\* quam – რომელსაც – acc. sg. f qui, quae, quod-დან – რომელიც.

### Dialogus:

- Ave, Nina!
- Salve, Iulia!
- Ubi habitas?
- Habito in Georgia.
- Ubi est Georgia?
- Georgia est in Cau-  
cāso\*.
- Est-ne Georgia terra  
magna?
- Georgia non est  
magna, sed pulchra.

\* in Caucaso – abl. sg.  
Caucasus-დან (II კანკლ.) –  
კავკასიაში.



### Sententiae

(გამოთქმები):

1. Scientia potentia est – ცოდნა ძალაა.
2. Dum spiro, spero (Ovidius) – სანამ ვსუნთქავ, იმედი მაქვს.
3. Pecunia non olet (Vespasianus) – ფულს არ აქვს სუნი (ვესპასიანეს გამოთქმა. მისი ბრძანებით რომში საზოგადოებრივი ტუალეტებით (latrinae) სარგებლობა ფასიანი გახდა).
4. Ubi bene, ibi patria (Pacuvius) – სადაც კარგია, იქ არის სამშობლო (კოსმოპოლიტების პრინციპი).
5. Ibi victoria, ubi concordia – იქ არის გამარჯვება, სადაც თანხმობაა.
6. Cogito, ergo sum – ვფიქრობ, ესე იგი ვარ (რენე დეკარტე, ფრანგი მოაზროვნე; 1596-1650 წწ.).
7. Festīna lente! – იჩქარე ღიწკრად (ნელა)!
8. Via dolorōsa – ტანჯვის გზა (ქუჩა, რომელიც მიდის გოლგოთისაკენ).

I კანკლედობა (ა-ფუძიანი არსებითი და მდედრობითი სქესის ზედსართავი სახელების ბრუნება)

	sg.	pl.	sg.	pl.
			ლაშაში ვარდი	
Nom.	-a	-ae	ros-a pulchr-a	ros-ae pulchr-ae
Gen.	-ae	-arum	ros-ae pulchr-ae	ros-arum pulchr-arum
Dat.	-ae	-is	ros-ae pulchr-ae	ros-is pulchr-is
Acc.	-am	-as	ros-am pulchr-am	ros-as pulchr-as
Abl.	-a	-is	ros-a pulchr-a	ros-is pulchr-is
Voc.	-a	-ae	ros-a pulchr-a	ros-ae pulchr-ae

ზმნების ულლება Praesens indicativi activi-ში

esse – “ყოფნა”

	sg.	pl.
1.	s-u-m – ვარ	s-u-mus – ვართ
2.	es – ხარ	es-tis – ხართ
3.	es-t – არის	s-u-nt – არიან
Inf. esse – ყოფნა		
imper. p. II sg. es! – იყავი! pl. es-te! – იყავით!		

I და II ულლების ზმნები

	I ულლება		II ულლება	
	შ-ფუძიანი ზმნები		წ-ფუძიანი ზმნები	
	sg.			
1.	-ō	am-ō (< a + o) – მიყვარს	habe-ō – მაქვს, მყავს	
2.	-s	amā-s – გიყვარს	habe-s – გაქვს, გყავს	
3.	-t	ama-t – უყვარს	habe-t – აქვს, აყავს	
	pl.			
1.	-mus	amā-mus – გიყვარს	habe-mus – გაქვს, გყავს	
2.	-tis	amā-tis – გიყვართ	habe-tis – გაქვთ, გყავთ	
3.	-nt	ama-nt – უყვართ	habe-nt – აქვთ, აყავთ	
Inf.	amā-re – სიყვარული		habe-re – ქონა, ყოლა	
Imper. p. II sg.	amā! – გიყვარდეს!		habe! – გქონდეს! გყავდეს!	
p. II pl.	amā-te! – გიყვარდეთ!		habe-te! – გქონდეთ! გყავდეთ!	



## წინდებული in

in (+acc.) – საით? -ში, -კენ


Venio in Italiam (acc.) – მივდივარ იტალიაში (საით?)

in (+abl.) – სად? -ში, -ზე

Sum in Italia (abl.) – ვარ იტალიაში (სად?)


## ქალაქებისა და კუნძულების სახელები ადგილისა და მიმართულების აღნიშვნისას

კითხვაზე სად? I და II კანკლ.-ის სახელებს sg.-ში აქვთ ძველი loc.-ის ფორმა დაბოლოებული i-ზე, რომელიც გენ.-ის ფორმას ემთხვევა, ხოლო III კანკლედობისა და I-II კანკლედობის pl.-ში მდგომი სახელები abl.-ში (abl. loci) იხმარება:




## კითხვაზე საიდან? – abl. separationis –

გამოყოფის abl. (უწინდებულოდ):



## კითხვაზე საით? – acc. (უწინდებულოდ):







## კითხვითი ნაწილაკი -ne

– Est-ne?– არის? არის თუ არა? ხომ არის?

– Amās-ne?– გიყვარს? ხომ გიყვარს?

## წინადადების წყობა

ლათინური ენისათვის, ისევე როგორც ქართულისათვის, წინადადების თავისუფალი წყობაა დამახასიათებელი. წინადადების წვერებს მკაცრად განსაზღვრული ადგილი არ აქვთ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ქვემდებარე წინადადების დასაწყისში დგას, შემასმენელი კი – ბოლოს: **Victoria curam amat** – გამარჯვებას მზუნვა უყვარს.

წინადადების ნებისმიერი წვერი, თუკი მას ლოგიკური მახვილი მოუდის, შეიძლება წინ გადმოვიდეს: **Amat victoria curam. Curam amat victoria.**

## სავარჯიშოები:

1. ჩასვით ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები სათანადო ფორმაში (ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები მიუთითებს, რამდენ ფორმაში შეიძლება ჩაისვას მითითებული სიტყვა).

1. (Puella 2) bene (laborāre 2). 2. Amīcae, (narrāre, fābūla 2). 3. Cornelia, Iulia et Silvia (esse, puella Romāna). 4. Ubi (esse), amīca? (Esse) in (schola). 5. Ubi (habitāre), Iulia? (Habitāre) (Roma). 6. (Puella 2) (amāre 2) (patria)! 7. (Puella 2) (amāre 2) (ambulāre) in (silva). 8. Nina, amās-ne (patria)? 9. Sumus (Roma). 10. Amo (Roma).

2. აბრუნეთ:

silva parva – პატარა ტყე, vita longa – ხანგრძლივი სიცოცხლე, pecunia magna – ბევრი ფული, terra fecunda – ნაყოფიერი მიწა.

3. აუღლეთ:

do, dāre – ვაძლევ; erro, -āre – შეშლება; valeo, -ēre – კარგად ვარ.

4. განსაზღვრეთ ბრუნვა და რიცხვი:

pulchrārum; fābūlam, potentiis (2), scientias, longam; amīcae (4), patriā, puellas.

5. განსაზღვრეთ დრო, პირი, რიცხვი:

habitas, narrat, datis, sperāmus, cogitant, vales, olet, ornatis, laborāte!

6. თარგმნეთ ქართულად:

1. In Eurōpa sunt terrae: Graecia, Italia, Germania, Hispania, Georgia et aliae. 2. Natūra terrārum Eurōpae varia est. 3. Italia est terra antiqua Eurōpae. 4. Italia terra fecunda est. 5. Latīni Italici sunt.

7. თარგმნეთ ლათინურად:

1. გყეში ვსეირნობთ. 2. თქვენ ცხოვრობთ რომში. 3. გოგონას ვარდს ვჩუქნი. 4. მოთხრობებს ყვებიან. 5. ტუნიკა ლამაზია. 6. გიყვარს სამშობლო?

ლექსიკონი:

dē (+abl.) შესახებ, -ზე  
 lingua, ae f ენა  
 Latīnus, a, um ლათინური,  
 რომაული  
 et (ci.) და  
 Graecus, a, um ბერძნული  
 antiquus, a, um ძველი  
 etiam (ci.) აგრეთვე, ასევე  
 nunc (adv.) ახლა  
 mortuus, a, um მკვდარი  
 patria, ae f სამშობლო  
 terra, ae f მიწა, ქვეყანა  
 varius, a, um სხვადასხვანაირი,  
 სხვადასხვაგვარი  
 alius, alia, aliud (adi.) სხვა, დანარჩენი  
 omnis, e ყოველი; pl. -es ყველა,  
 მთელი; -ia ყველაფერი;  
 omnibus ყველასთვის  
 in (+abl.) -ში  
 Graecia, ae f საბერძნეთი, ფარ-  
 თო მნიშვნელობით ყველა-  
 ქვეყანა, დასახლებული ბერ-  
 ძნებით, მათ შორის მც. აზია,  
 სამხრ. იტალია და სხვა  
 incōla, ae m, f მაცხოვრებელი,  
 მოსახლე

nōn (adv.) არა, არ  
 iam (adv.) უკვე  
 adhibeō, ēre ვიყენებ  
 nōmīnō, āre ვარქმევ, ვუწოდებ  
 novus, a, um ახალი  
 dīversus, a, um განსხვავებული,  
 არამსგავსი  
 item (adv.) ასევე, ამის მსგავსად  
 quī, quae, quod (pron. rel.) ის  
 (ეს); ვინც, რაც; რომელიც  
 ā, ab (+abl.) -დან, -გან, მიერ  
 dialōgus, ī m დიალოგი, საუბარი  
 aveō, ēre ჯანმრთელად ვარ; ave!  
 გამარჯობა! მშვიდობით!  
 salveō, ēre ჯანმრთელად ვარ;  
 imperat. salve! ჯანმრთელად  
 იყავი! (გამარჯობა ან ნახ-  
 ვამდის)  
 ubi (adv.) სად, სადაც; როდესაც  
 habitō, āre ვცხოვრობ  
 Georgia, ae f საქართველო  
 Caucāsus, ī m კავკასია  
 magnus, a, um დიდი  
 sed (ci.) მაგრამ, არამედ  
 pulcher, chra, chrum ლამაზი,  
 მშვენიერი

scientia, ae f ცოდნა, მეცნიერება  
 potentia, ae f ძალა, ძალაუფლება  
 dum (ci.) სანამ, იმ დროს როცა  
 spīrō, āre ვსუნთქავ  
 spērō, āre იმედი მაქვს

Ovidius, ī m ოვიდიუსი, Publius  
 Ovidius Naso, პოეტი, დაიბ.  
 ძვ. წ. 43 წ., ძვ. წ. 8 წ. ავტოსტუსმა  
 გადაასახლა შავი ზღვისპირა  
 ქალაქში, სადაც ვარდ. ახ. წ.  
 17 წ.; "Metamorphoses", "Heroides"  
 და სხვათა ავტორი

pecūnia, ae f ფული  
 oleō, ēre სუნი მაქვს

Vespasiānus, ī m ვესპასიანუსი,  
 Titus Flavius, რომაელი იმპერატორი  
 (ახ. წ. 69-79 წწ.). მისი მმართველობის დროს  
 აშენდა კოლოსეუმი (კოლიზეუმი)  
 (ახ. წ. 80 წ.)

bene (adv.) კარგად  
 ibi (adv.) იქ

Pacuvius პაკუვიუსი, Marcus  
 Pacuvius რომაელი ტრაგიკოსი,  
 ძვ. წ. 220-130 წწ.

victōria, ae f გამარჯვება  
 concordia, ae f თანხმობა, ერთსულოვნება

cōgītō, āre ვფიქრობ, ვამროვნებ  
 ergō (adv.) ამგვარად, ესე იგი

festīnō, āre ვჩქარობ  
 lentē (adv.) ნელა, წყნარად  
 via, ae f ქუჩა, გზა

dolōrōsus, a, um განჯული,  
 საგანჯველი, ტკივილით  
 აღსავსე

habeō, ēre მაქვს, მყავს

amō, āre მიყვარს  
 rosa, ae f ვარდი

vīvō, ēre ვცხოვრობ  
 discōdō, ēre მივდივარ, უკან ვიხევ

veniō, Ire მოვდივარ  
 puella, ae f გოგონა

multus, a, um მრავალრიცხოვანი  
 labōrō, āre ვმუშაობ, ვშრომობ  
 amīca, ae f მეგობარი ქალი

narrō, āre ვყვები  
 fābūla, ae f ამბავი, მითი, თქმულება,  
 ზღაპარი

Rōmānus, a, um რომაელი,  
 რომაული  
 schola, ae f სკოლა

Rōma, ae f რომი, ლაციუმის, ხოლო შემდეგ მთელი რომის  
 იმპერიის დედაქალაქი, მდებარე გიბერისის მარცხენა  
 სანაპიროზე; დაარსებულია  
 გადმოცემით რომულუსის მიერ  
 ძვ. წ. 753 წ.

ambūlō, āre ვსეირნობ, დავდივარ  
 silva, ae f ტყე

parvus, a, um პატარა  
 vīta, ae f სიცოცხლე, ცხოვრება  
 longus, a, um გრძელი, ხანგრძლივი

antiqūus, a, um ძველი  
 fēcundus, a, um ნაყოფიერი

Eurōpa, ae f ევროპა  
 nātūra, ae f ბუნება, ხასიათი

Italicī, ōrum m იტალიკები, ისტორიული ეპოქის  
 იტალიკური ტომები, რომლებიც  
 იტალიის ტერიტორიაზე სახლობდნენ  
 dōnō, āre ვჩუქნი

§3 LECTIO TERTIA

II კანკელობა. -us და -um  
დაბოლოებიანი არსებითი  
და მედსართავი სახელები  
Pronomina interrogativa et  
relativa და მათი ბრუნება  
Praes. ind. act. და imper. III და  
IV უღლების ზმნებისა

კავშირები et, que, atque  
წინდებულები a (ab), ad, ex, de,  
per  
ნაცვალსახელური ზმნიმედები  
unde? quo? hic  
Ablativus separationis

Populus Romanus



Populus Romanus est populus  
Italicus antiquus. Etiam Latini et  
Sabini et Etrusci sunt populi Italici  
antiqui. Latini, Sabini, Etrusci  
finitimi sunt populi Romani. Latini  
et Sabini diu adversarii Romanorum  
sunt. Nam populus Romanus saepe  
bellat et vicos finitimorum delet.  
Sed rustici Latini et Sabini vicos  
suos amant et populum Romanum a  
vicis suis arcent. Latini et Sabini  
arant, sed saepe bellare et  
adversarios arcere debent. Itaque  
semper debent parati esse.

Ab Etruscorum populo Tiberis fluvius Romanos separat. Etruscis multi  
populi parent. Sed denique Romani vicos oppidaque Etruscorum  
occupant, et Romani sunt domini etiam ceterorum populorum Italicorum.

Sententiae:

1. Otium post negotium – დასვენება საქმის შემდეგ.
2. Ignorantia non est argumentum – არცოდნა არ არის არგუმენტი  
(ბუნედიქტე სპინოზა, გამოჩენილი პოლანდიელი ფილოსოფოსი-  
მაგერიალისტი).
3. Persona non grata – არასასურველი პიროვნება.
4. Vivere est cogitare (Cicero) – სიცოცხლე არის აზროვნება.
5. Qui quaerit, reperit – ვინც ეძებს, ის პოულობს.



6. Quod nocet, docet – რასაც ზიანი მოაქვს, ის გვასწავლის (შეცდომებზე ვსწავლობთ).
7. Asinus ad lyram – ვირი ლირასთან (როდესაც ვინმე ლაპარაკობს ან აკეთებს მისთვის შეუფერებელ საქმეს).
8. In propria persona – პირადად.
9. Per aspera ad astra (Seneca) – ეკლიანი (გზით) ვარსკვლავებისაკენ.
10. Lupus non mordet lupum – მგელი არ კბენს მგელს.

### გრამატიკა

II კანკლედობა. -us და -um დაბოლოებიანი (ი-ფუძიანი) არსებითი და ზედსართავი სახელების ბრუნება

m		dominus bonus კარგი ბატონი		
	sg.	pl.	sg.	pl.
Nom.	-us	-ī	domin-us bon-us	domin-ī bon-ī
Gen.	-ī	-ōrum	domin-ī bon-ī	domin-ōrum bon-ōrum
Dat.	-ō	-īs	domin-ō bon-ō	domin-īs bon-īs
Acc.	-um	-ōs	domin-um bon-um	domin-ōs bon-ōs
Abl.	-ō	-īs	domin-ō bon-ō	domin-īs bon-īs
Voc.	-e	-ī	domin-e bon-e	domin-ī bon-ī

n		templum magnum დიდი ტაძარი		
	sg.	pl.	sg.	pl.
Nom.	um	a	templ-um magn-um	templ-a magn-a
Gen.	-ī	-ōrum	templ-ī magn-ī	templ-ōrum magn-ōrum
Dat.	-ō	-īs	templ-ō magn-ō	templ-īs magn-īs
Acc.	-um	-a	templ-um magn-um	templ-a magn-a
Abl.	-ō	-īs	templ-ō magn-ō	templ-īs magn-īs
Voc.	-um	-a	templ-um magn-um	templ-a magn-a

### Pronomina interrogativa et relativa –

კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელები

**Quis? quid?** – ვინ? რა? (არსებითის მნიშვნელობით). **Quis** narrat fabulam? – ვინ ყვება ამბავს?

**Qui? quae? quod?** – რომელი? (ზედსართავის მნიშვნელობით). **Qui** discipulus narrat fabulam? – რომელი მოსწავლე ყვება ამბავს?

**Qui, quae, quod** – ვინც, რაც, რომელიც. **Discipulus, qui** narrat fabulam, strenuus est – მოსწავლე, რომელიც ყვება ამბავს, ბუკითია.

კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელების ბრუნება

	interrogativa	interrogativa et relativa					
	sg.	sg.			pl.		
		m	f	n	m	f	n
Nom.	quis? quid?	quis	quae	quod	quis	quae	quae
Gen.	cuius?		cuius		quorum	quarum	quorum
Dat.	cui?		cui			quibus	
Acc.	quem? quid?	quem	quam	quod	quos	quas	quae
Abl.	quom?	quom	quam	quom		quibus	

Praesens indicativi activi

		III უღლება		IV უღლება
		თანმოვანფუბიანი	შერეული	ი-ფუბიანი
sg.				
1.	reg-ō	capi-ō		audi-ō
2.	reg-i-s	capi-s		audi-s
3.	reg-i-t	capi-t		audi-t
pl.				
1.	reg-i-mus	capi-mus		audi-mus
2.	reg-i-tis	capi-tis		audi-tis
3.	reg-u-nt	capi-u-nt		audi-u-nt
inf.	reg-ē-re	capi-re		audi-re
imper.	reg-e! reg-i-te!	capi! capi-te!		audi! audi-te!

NB

შემაერთებელი ხმოვნები:

მ - -nt-ს წინ,

ზ - -r-ს წინ,

I - დანარჩენ შემთხვევებში.

Coniunctiones et, que, atque (ac) – კავშირი „და“

et – და; Petrus et Maria – პეტრე და მარია; წინადადების დასაწყისში შეიძლება პქონდეს მნიშვნელობა „აგრეთვე“, „-ც“: et alii – აგრეთვე სხვები, სხვებიც.

que – ენკლიტიკური კავშირი, რომელიც უფრო ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ (სინონიმებს ან დაპირისპირებულ) ცნებებს აერთებს: Terra marique – ხმელეთზე და ზღვაზე; Senatus populusque Romānus – სენატი და რომაელი ხალხი.

**atque** (**ac** – მხოლოდ თანხმონების წინ გარდა **h-სი**) – აერთებს ასევე უფრო ხშირად ერთმანეთთან ახლოს მდგომ ცნებებს; ხშირ შემთხვევაში ის მეორე წევრს უსვამს ხაზს: **Di atque homines** – ღმერთები და ადამიანები (მსგავსების ან განსხვავების გამოჩნაგველ მელსართავ სახელებთან მას აქვს მნიშვნელობა “ვიდრე”, “როგორც”: **Non dixi secus ac sentiebam** – არ მითქვამს სხვანაირად, ვიდრე ვუფიქრობდი (მე ისე ვთქვი, როგორც ვუფიქრობდი)).

## წინდებულები

**a** – თანხმონების წინ, **ab** – ხმონების და თანხმონების წინ (**+abl.**) – -დან, -გან, მიერ

**ab (ex) urbe discēdo** – ქალაქიდან მივდივარ

**ab oppīdo venio** – ქალაქიდან მოვდივარ

**a pueritia amo** – ბავშვობიდან მიყვარს

**ab amīco librum peto** – მეგობრისაგან წიგნს ვითხოვ

**absum a patria** – სამშობლოდან შორს ვარ

**ad (+acc.)** – -თან, -მდე, -კენ, -თვის, მიხედვით

**ad medicum venio** – ექიმთან მივდივარ

**ad cenam voco** – ვპატივებ სადილად

**ad rogatiunculam respondeo** – მოკლე კითხვაზე ვუპასუხებ

**ad verbum** – სიტყვასიტყვით

**ad Romam** – რომთან ახლოს

**e, ex (+abl.)** – -დან, -გან

**de (+abl.)** – შესახებ, მიხედვით, გამო, -გან

**per (+acc.)** – ვაულით, -ით, -ზე; განმავლობაში, გამო, მიმეგით, შემწეობით, წყალობით

## ნაცვალსახელური ზმნიზედები

**unde?** – საიდან? – **unde venis?** – საიდან მოდიხარ?

**quō?** – საით? სად? – **quo vadis?** – სად მიდიხარ?

**hīc** – აქ – **hic sum** – აქ ვარ.

**Ablativus separationis – დაშორების (გამოყოფის) abl.**

აღნიშნავს საგანს, რომელსაც რაღაც შორდება ან გამოიყოფა. უპასუხებს კითხვაზე საიდან? ვისგან? რისგან? Abl. separ. იხმარება დამორება-დაცილების აღმნიშვნელ მზნებთან. მასთან გამოიყენება წინდებულები *ā, ab, dē, ē, ex*.

ქალაქების სახელებთან, ასევე რამდენიმე სახელთან (*domo, rure*) abl. იხმარება უწინდებულოდ.

- |                       |                         |
|-----------------------|-------------------------|
| Romā – რომიდან        | ex Sicilia – სიცილიიდან |
| domō – სახლიდან       | dē monte – მთიდან       |
| ā castris – ბანაკიდან |                         |

Ab urbe Athenis – ქალაქ ათენიდან, მაგრამ: Athenis – ათენიდან.  
Roma, ex capite Italiae, revertimur – რომიდან, იტალიის დედაქალაქიდან ვბრუნდებით.

Abl. separ. გამოიყენება აგრეთვე:

1. გამოყოფის აღმნიშვნელ ზედსართავეებთან (*liber, vacuus*) და მზნებთან (*liberare, vacare, abstinere*) უწინდებულოდ ან *ex, a, de* წინდებულებთან ერთად: *liber (a) curis* – საზრუნავისაგან თავისუფალი.

*Proelio abstinere* – ბრძოლისგან თავშეკავება.  
აღამიანის აღმნიშვნელ სახელთან abl. separ.-ი ყოველთვის *a (ab)* წინდებულთან ერთად გამოიყენება: *populus liberatus a regibus* – მეფეებისაგან გათავისუფლებული ხალხი.

2. მყარ გამოთქმებთან: *a tergo* – მურგიდან, მურგს უკან, *a fronte* – წინიდან, *a latere* – გვერდიდან, *e contrario* – პირიქით, *magna ex parte* – უმეტესწილად, უმეტესად, *ex omnibus partibus* – ყველა მხრიდან.

**საეარჯიშოები:**

1. აულეთ praes. -ში მზნები:  
*deleo, -ēre* – ვანადგურებ, *arceo, -ēre* – ვიგერიებ, *bello, -āre* – ვიბრძვი, *debeo, -ēre* – მე უნდა..., *saepioro, aro, -āre* – ვხნავ, *video, -ēre* – ვხედავ, *dormio, -īre* – მძინავს, *lavo, -āre* – ვიბან, ვბან, *tego, -ēre* – ვუარავ.

2. აბრუნეთ: *finitimus, ī* – მეზობელი, *populus antiquus* – ძველი ხალხი, *puella pulchra* – ლამაზი გოგონა, *oppidum clarum* – ცნობილი ქალაქი.



3. განსაზღვრეთ ბრუნვა:

adversarios, Romanorum, vicos, adversarii (3), vicis (2), fluvio (2), Etruscis (2), dominum, ceterorum, amici (3), bibliothecas, discipulo (2), populorum, verba (3), absurdum, a fluvio, populi antiqui (3), a populo antiquo, fluvios, fluvii (3), fluvium, multa bella (3), in oppido, oppidi Etrusci, in multis oppidis, armorum.

4. იპოვეთ ამ სიტყვების ქართული შესატყვისები:

concursum, disciplina, ambitio, demonstrare, affectum, sententia, fabula, continens, absurdus, calamus.

5. თარგმნეთ ლათინურად:

1. გოგონებს ესალმები. 2. მეგობრებს სადილად პატივებთ. 3. საიდან მოდიხარ? 4. სად ცხოვრობ? – ვცხოვრობ ათენში. 4. კორნელია მეგობრისაგან წიგნს თხოულობს. 5. პეტრე რომთან ახლოს ცხოვრობს. 6. ვინ ლაპარაკობს?

6. თარგმნეთ:

1. Amici veri sunt rari. 2. Audite et intellegite. 3. Avarus non possidet divitias, sed divitiae possident avarum. 4. Silva umbram parat. 5. Historia est magistra vitae.

ლექსიკონი:

populus, ī m ხალხი  
 Latīni, ōrum m (pl.) ლათინები,  
 ლაციუმის მცხოვრებლები  
 Sabīni, ōrum m (pl.) საბინები,  
 ძველი იტალიკური ტომი,  
 რომელიც ლაციუმის  
 სამხრეთით ცხოვრობდა  
 Etrūscī, ōrum m (pl.) ეტრუსკები,  
 იტალიის ტერიტორიაზე,  
 ეტრურიაში (დღევანდელი  
 ტოსკანა) მცხოვრები ტომი  
 finitīmī, ōrum m (pl.) მეზობლები (მო-  
 საზღვრე ქვეყნები ან ტომები)  
 diū (adv.) დიდი ხანია, დიდი ხნის  
 განმავლობაში

adversarius, ī m მოწინააღმდეგე,  
 მტერი  
 nam (ci.) რადგან, მართლაც,  
 იმიტომ რომ, ვინაიდან,  
 კერძოდ  
 saepe (adv.) ხშირად  
 bellō, āre ვიბრძვი, ვომობ  
 vicus, ī m სოფელი  
 dīcēd, ēre ვანადგურებ, ვანგრევ  
 rūsticus, ī m გლეხი, მიწის მუშა  
 suus, a, um (pron. poss. refl.) თა-  
 ვისი, საკუთარი  
 arced, ēre ვიცავ, ვიგერიებ  
 arō, āre ვხნავ, ვამუშავებ  
 debēd, ēre ვალდებული ვარ, უნდა

*in*que (adv.) ამგვარად, ამის გამო  
*semper* (adv.) მუდამ, ყოველთვის  
*parātus*, a, um მზა, გამზადებული  
*Tibēris*, is m (III კანკლ.) ტიბერი-  
სი, მდინარე, რომლის სანა-  
პირობეც მდებარეობს ქალა-  
ქი რომი

*fluvi*us, i m მდინარე  
*sēparō*, āre ვყოფ, ვაცალკევებ  
*pāreō*, ēre ვემორჩილები, ვუჯერებ  
*dēnī*que (adv.) ბოლოს, საერ-  
თოდ, ერთი სიტყვით

*oppī*dum, i n ქალაქი (უფრო ხში-  
რად პროვინციული)

*occū*pō, āre ვიპყრობ, ვიკავებ,  
ხელში ვიგდებ

*domī*nus, i m ბატონი, მპრძანე-  
ბელი, მფლობელი

*cē*tērī, cētera, cētera (pl.) დანარ-  
ჩენები, სხვები

*ō*tium, i n დასვენება, თავისუფა-  
ლი დრო

*post* (+acc.) შემდეგ, მერე  
*negō*tium, i n საქმე, სამუშაო

*īgnō*rantia, ae f უცოდინრობა,  
არცოდნა

*argū*mentum, i n საბუთი, არგუმენტი

*persō*na, ae f პიროვნება, პირი

*grāt*us, a, um სასურველი, სანატ-  
რელი, სასიამოვნო

*Marcus Tullius Cicērō*, ōnis m  
მარკუს ტულიუს ციცირონი,  
რომაელი ორატორი, იურის-  
ტი, მწერალი, პოლიტიკოსი

(ძვ. წ. 106-43 წწ.)  
*quaerō*, ēre ვეძებ

*reperī*ō, īre ვპოულობ

*noceō*, ēre ვაზიანებ, ზიანი მის-  
მაქვს, ვაუჯკებ

*doceō*, ēre ვასწავლი

*asī*nus, i m ვირი, (გადატ. მნ.) სულელი

*lyra*, ae f (ბერძ.) ლირა

*asper*, era, erum ეკლიანი, მწარე,  
ძნელი

*astrum*, i n (ბერძ.) ვარსკვლავი

*Seneca*, ae m სენეკა, *Lucius*  
*Annaeus Seneca* რომაელი

მწერალი, ფილოსოფოსი და  
პოლიტიკური მოღვაწე

(გარდ. ახ. წ. 65 წ.)  
*lupus*, i m მგელი

*mordeō*, ēre ვკბენ

*avā*rus, i m ძუნწი, ხარბი

*regō*, ēre ვმართავ, ვმპრძანებ-  
ლობ, ვხელმძღვანელობ

*amī*cus, i m მეგობარი

*vēr*us, a, um ნამდვილი, ჭეშმარიტი

*rār*us, a, um იშვიათი

*audiō*, īre ვუსმენ, მესმის

*intellē*gō, ēre ვიგებ, მესმის, ვაზ-  
როვნებ

*possideō*, ēre ვფლობ, მაქვს

*dīv*itiae, ārum f pl. სიმდიდრე

*umbra*, ae f ჩრდილი

*parō*, āre ვამზადებ

*historia*, ae f (ბერძ.) ისტორია

*magistra*, ae f მასწავლებელი ქალი

*vacuus*, a, um ცარიელი, თავისუ-  
ფალი

*proclium*, i n ბრძოლა, ომი, თავ-  
დასხმა

*abs-tineō*, tinuī, tentum, ēre არ ვუ-  
შვებ, ვაკავებ, თავს ვიკავებ

## §4 LECTIO QUARTA

II კანკლედობა. -er და -ir დაბო-  
ლოებიანი არს. სახელები

II კანკლ. -er დაბოლოებიანი  
შედსართავი სახელები

Impf. ind. act. 3მისა esse  
Imperfectum indicativi activi  
Ablativus instrumenti  
უკუთქმითი ბრძანებითი

### Familia Romana

Familia Romana ex viro, femina, liberis  
servisque constabat. Servi dominis suis servi-  
ebant. Romani magnum numerum servorum  
habebant. Servos Romani bellis sibi\* para-  
bant. Servi liberi non erant. Etiam liberi ser-  
vorum servi esse debebant. Servorum officia  
varia erant: alii\*\* in villis, alii\*\* in latifundiis  
metallisque Romanorum opulentorum labora-  
bant. Etiam multi Graeci erant servi Roma-  
norum. Erant viri docti. Itaque non in agris  
laborare debebant. Alii servi Graeci morbos  
Romanorum aegrotorum medici curabant  
remediis sanabantque, alii educabant magistri  
liberos docebantque pueros  
grammaticam, philosophiam aliasque litteras, atque libros poëtarum  
Graecorum legebant.



დედის პორტრეტი შეიღებთ.  
გამოსახულება ვერცხლის  
ჯვარზე ახ. წ. IV ს.

\* sibi – თავისთვის.

\*\* alii ... alii – ერთნი ... მეორენი (სხვანი); შოგი ... შოგი.

### Facetia (ხუმრობა):



A.: Barbam video, philosophum non video.

B.: Barba non facit philosophum.

#### Sententiae:

1. Barba crescit, caput nescit – წვერი იზრდება,  
pl.	mitt-i-tō	capi-tō	audi-tō
3. sg.	mitt-i-tōtē	capi-tōtē	audi-tōtē
pl.	mitt-u-ntō	capi-u-ntō	audi-u-ntō

## Futurum I passivi

I უღლება		II უღლება	
ფუტე + b + pass.-ის პირის დაბოლოებები			
amā-re		habē-re	
sg.			
	შემიყვარებენ	ვეყოლები	
1.	amā-b-or	habē-b-or	
2.	amā-b-ē-ris	habē-b-ē-ris	
3.	amā-b-i-tur	habē-b-i-tur	
pl.			
1.	amā-b-i-mur	habē-b-i-mur	
2.	amā-b-i-mīni	habē-b-i-mīni	
3.	amā-b-u-ntur	habē-b-u-ntur	



III ულგება		IV ულგება	
ფუძე + a (p. I-ში) + pass.-ის დაბ.; ფუძე + e (დანარჩენ პირებში) + pass.-ის დაბ.			
	mitt-ē-re	capi-ē-re	audi-re
	გამგამენიან	დამიჭერენ	შომისმენენ
sg.			
1.	mitt-a-r	capi-a-r	audi-a-r
2.	mitt-ē-ris	capi-ē-ris	audi-ē-ris
3.	mitt-ē-tur	capi-ē-tur	audi-ē-tur
pl.			
1.	mitt-ē-mur	capi-ē-mur	audi-ē-mur
2.	mitt-e-mīni	capi-e-mīni	audi-e-mini
3.	mitt-e-ntur	capi-e-ntur	audi-e-ntur

**Pronomen demonstrativum ille, illa, illud –  
ჩვენებითი ნაცვალსახელი ის**

	m	f	n
sg.			
Nom.	ille	illa	illud
Gen.	illius	illius	illius
Dat.	illi	illi	illi
Acc.	illum	illam	illud
Abl.	illo	illa	illo
pl.			
Nom.	illi	illae	illa
Gen.	illorum	illarum	illorum
Dat.	illis	illis	illis
Acc.	illos	illas	illa
Abl.	illis	illis	illis

**Pronomen determinativum ipse, ipsa, ipsum – განსაზღვრებითი ნაცვალსახელი თვით იგი, თვითონ, თავად**

	m	f	n
sg.			
Nom.	ipse	ipsa	ipsum
Gen.	ipsius	ipsius	ipsius
Dat.	ipsi	ipsi	ipsi
Acc.	ipsum	ipsam	ipsum
Abl.	ipso	ipsa	ipso
pl.			
Nom.	ipsi	ipsae	ipsa
Gen.	ipsorum	ipsarum	ipsorum
Dat.	ipsis	ipsis	ipsis
Acc.	ipsos	ipsas	ipsa
Abl.	ipsis	ipsis	ipsis



**საეარჯიშოები:**

1. აუღლეთ fut. act.-ში: dicere, se exercere, oppugnare, punire, remittere.
2. შეცვალეთ praes.-ი fut.-ით და პირიქით:  
fugo, vastat, oppugnatis, liberamus, disputo, interrogabit, excusabo, accusabitis, es, timent, mutamus.
3. შეცვალეთ act.-ი pass.-ით და პირიქით:  
donas, oppugnabamur, monstrant, dabatur, narratis, navigabor, agit, debes.
4. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები თარგმნეთ და ჩასვით სათანადო ფორმებში:  
1. Quando ego Ciceronem (მოეუხმენ)? 2. In urbe Roma (ვიცხოვრებთ).  
3. (ისწავლით) in schola legere et recitare versus Latinos.
5. აწარმოეთ ა) gen. და abl. sg.; ბ) nom. და gen. pl.: magna inopia, ille clarus arcus.
6. შეუთანხმეთ არსებით სახელებს ნაცვალსახელები ille, is, ipse:  
bestiae, diem, in villa, in portus, imperium, magistratibus, cornua.

**ლექსიკონი:**

perfidia, ae f ვერაგობა  
olim (adv.) ოდესღაც, ერთხელ,  
დიდი ხნის წინ  
Faleri, ōrum m pl. ფალერი,  
ქალაქი სამხრეთ  
ეტრურიაში, რომის  
ჩრდილოეთით  
castrum, i n გამაგრება, პატარა  
ციხე-სიმაგრე  
castra, ōrum n pl. ბანაკი  
extrā (+acc.) გარეთ, მიღმა  
exerceō, ēre ვაეარჯიშებ; se  
exercet ვარჯიშობს  
aliquandō (adv.) ერთხელ, ოდესღაც  
Faliscus, i m ფალისკი

quidam, quaedam, quoddam (pron.  
indef.) ერთი, ვიღაც, ვინმე  
nōnnullus, a, um რამდენიმე  
intrō, āre შევიდვარ  
frustrā (adv.) ცუკილად, ფუჭად  
oppugnō, āre თავს ვესხმი  
dolus, i m ცუკილი, ეშმაკობა  
supērō, āre ვძლევ, ვამარცხებ,  
გადავლაბავ, გადავდივარ  
iste, ista, istud (pron. demonstr.) ევ;  
istos – acc. pl.  
mandō, āre გადავეცემ, ჩავაბარებ  
nunquam (adv.) არასოდეს  
stringō, ēre ქარქაშიდან ვიღებ  
remitterō, ēre უკან ვაგზავნი,  
ვუშვებ

meritō (adv.) დამსახურებულად  
musca, ae f ბუზი

nimis (adv.) ძალიან, ზედმეტად,

მეტისმეტად

gravō, āre ვაწუხებ

statim (adv.) მაშინვე, დაუყო-

ნებლივ

āvis, āre მიუფრინავ

idea, ae f იდეა

fixus, a, um უცვლელი, მაგარი

cēna, ae f სადილი, საჭმელი

passus, ūs m ნაბიჯი

pariēs, etis m კედელი

ārdeō, ēre ვიწვი

Hōrātius, ī m (Quintus Horātius

Flaccus) პორაციუსი, ცნობი-

ლი რომაელი პოეტი, დაიბა-

და ძვ. წ. 65 წ. 8 დეკემბერს,

გარდაიცვალა ძვ. წ. 8 წ. 27

ნოემბერს

in saecula saeculōrum უკუნიითი

უკუნისამდე

fidō, ēre ვენდობი, ეუჯერებ

prandium, ī n მეორე საუზმე

doleō, ēre ვდარდობ, ვგლოვობ

vērē (adv.) ნამდვილად

testis, īs m მოწმე

vērōcītās, ātis f სიჩქარე

implīcō, āre ხელს ვუშლი,

ვაფერხებ

fungō, āre გაეზღებ, გაყვრი

vāstō, āre ვანადგურებ

libērō, āre ვათავისუფლებ

dispūtō, āre ვკამათობ, ვმსჯე-

ლობ

excūsō, āre ვპატიობ, პატიებას

ვითხოვ

accūsō, āre ვადანაშაულებ

nāvīgō, āre ზღვაში გაედივარ,

ზღვაზე დავცურავ

recītō, āre ხმამაღლა ვკითხუ-

ლობ, ზეპირად ვამბობ

versus, ūs m სტრიქონი, ლექსი

arcus, ūs m არკა, თალი, ტრიუმ-

ფალური არკა

## §10 LECTIO DECIMA

III კანკლედობის თანხმოვანფუძიანი  
სახელები

Perfectum ind. act. მზნისა esse

Perfectum-ის ფუძის სუფიქსიანი

და უსუფიქსო წარმოება

Corvus et vulpes

Corvus aliquando frustum casei raptavit  
et cum praeda sua in arborem altam  
evolavit. Vulpes, quae haud procul erat,





acrem casei odorem percepit. Tum vulpes, casei cupida\*, appropinquavit blandisque corvum verbis occupare tentabat.

“Qualis”, inquit: “o corve, est pennarum tuarum nitor! Quantum in corpore tuo est decoris! Certe etiam vocem eximiam habes; non enim tam pulchra avis sine pulchra voce erit! Canta tandem!” Laudes dolosae vulpis inflabant\*\* animum corvi ad superbiam\*\*.

Stulta avis magna voce clamare instituit, sed caseus de rostro decidit et praeda fit\*\*\* vulpis. Praedam vulpes avidis dentibus suis rapuit eamque asportavit. Ut fabula docet, assentatores nobis semper nocent.

\* casei cupida (gen. obiectivus) – ყველს დახარბებული (ყველის მოსურნე).  
 \*\* inflabant ... ad superbiam – აღბესებდა სიამაყით (ქედმაღლობით, ამპარტაყენებით).  
 \*\*\* praeda fit (praes. ind. p. III sg. fio, factus sum, fieri-დან) – ნადავლი ხდება.

**Vulpes et uvae**



Vulpes, fame enecta\*, in vinetum penetravit, ubi maturis iam uvis vites onustae erant\*\*. Avida vulpes uvas iam devorabat oculis summisque viribus saliebat; tamen uvas attingere non potuit: nimis altae erant vites! Tum vulpes discessit atque indignabunda haec dixit verba: “nondum maturae sunt; mihi non est in animo\*\*\* acerbas sumere uvas: dentes meos hebetabo!”

\* fame enecta – შიმშილით გათანჯული.  
 \*\* onustae erant – დაბზიშებული იყო – ppf. pass. p. III pl.  
 \*\*\* mihi non est in animo – გულში არ მაქვს (არ ვაპირებ).

**Facetia:**

Uxor cum marito litigat.  
 Maritus: Eheu! Quam pulchra puella olim eras! Nunc foeda anus es!  
 Uxor: Quam bonus olim eras! Hodie ebrius es!  
 Maritus: Sed cras ego ebrius non ero, at tu cras...\*



\* დაასრულეთ წინადადება.



**Sententiae:**

1. Homo novus – ახალი ადამიანი (ძვ. რომში იხმარებოდა მღაბით წარმოშობის ადამიანის მიმართ, რომელიც მაღალ მდგომარეობას მიაღწევდა).
2. Homo homini lupus est – ადამიანი ადამიანისთვის მგელია.
3. Homo locum ornat, non locus hominem – ადამიანი აქვს ადგილს და არა ადგილი ადამიანს.
4. Dura lex, sed lex – კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია.
5. In vino veritas – ღვინოშია ჭეშმარიტება.
6. Verus amicus amore, more, ore, re cognoscitur – ნამდვილი მეგობარი სიყვარულით, ხასიათით, სიტყვით, საქმით შეიყვარება.
7. Amicus Plato, sed magis amica veritas (Aristoteles) – პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ უფრო დიდი მეგობარია ჭეშმარიტება (ჭეშმარიტება ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას).
8. Ecce homo! – აი ადამიანი! (ტრადიციული შინაწერი ეკლის გვირგვინით გამოსახული ქრისტეს სურათზე).
9. Tēmpora mutantur, || et nōs mutāmur cum illis – დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად.
10. Homo proponit, sed deus disponit – კაცი ბჭობს, ღმერთი განაგებს (კაცი ბჭობდა, ღმერთი იყინოდა).

**ბ რ ა მ ა ტ ი კ ა**

**III კანკლედობა**

ამ ბრუნებაში შედის მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის სახელები, რომელთაც **gen.**-ში აქვთ დაბოლოება **-is**. III კანკლედობაში გამოიყოფა ბრუნების სამი ტიპი: თანხმოვანფუძიანი, შერეული და ხმოვანფუძიანი.

**სახელობითი ბრუნვის წარმოება**

III კანკლედობის სახელებს **nom. sg.**-ში სხვადასხვა დაბოლოებები აქვთ: **-o, -or, -os, -as, -us, -es, -io, -l, -en** და სხვა. იმისათვის, რომ ირიბი ბრუნვის მიხედვით გავიგოთ სიტყვის სალექსიკონო (სახელობითის) ფორმა, უნდა დავიხსოვოთ შემდეგი წესები:

1. ფუძეები, რომლებიც ბოლოვდება **-c, -g, -t, -d**-ზე, **nom. sg.**-ს აწარმოებენ მდედრ. და მამრ. სქესის სიტყვებში **-s**-ს საშუალებით (სიგმატურად). ამ დროს ფუძის ბოლოკიდური ბგერები ცვლილებებს განიცდის. მაგ.: **pēs** – ფეხი, (**gen. ped-is**) < **pes-s** < **ped+s** (ასიმილაცია).

## Nom. sg.-ის სიგმატურად წარმოების ცხრილი

g+s > x	c+s > x	l+s > s	d+s > s
lĕx, ფუძე leg-	pāx, ფუძე pac-	vĕritās, ფუძე veritat-	pēs, ფუძე ped-

2. ფუძეები, რომლებიც ბოლოვდება -l-, -r-, -n და -s-ზე, აწარმოებენ nom. sg.-ს სიგმატურად (ასიგმატურად). მაგ., orator, orator-is m.

## Nom. sg.-ის ასიგმატურად წარმოების ცხრილი

-r	-l	-n	-s
soror	sŏl	nŏmen (ფუძე nomĭn-)	წის*

\*წის, წისris – ყვავილი; ფუძე flōs- (ორი ბრუნვებაში -s გადადის -r-ში როტაციის კანონით – ინტერვოკალური (ხმოვნებს შორის) -s- გადადის -r-ში).

## III კანკლედობის არსებით სახელთა სუფიქსები

- m – -o, -or, -os, -er, -es (არათანაბარმარცვლოვანი).
- f – -s, -do, -go, -io, -es (თანაბარმარცვლოვანი), -x, -us (-utis, ან -udis).
- n – -e, -al, -ar, -men, -us (-oris ან -eris), -t.

### თანხმოვანფუძიანი ბრუნება

ბრუნების ამ ტიპს მიეკუთვნება არათანაბარმარცვლოვანი არსებითი სახელები (ე. ი. სახელები, რომელთაც gen. sg.-ში ერთი მარცვლით მეტი აქვთ, ვიდრე nom. sg.-ში). მაგ. : homo, hominis m (nom. sg.-ში ფუძის ბოლოკიდური -n იკვეცება, ხოლო -i იცვლება -o-თი); lĕx, legis f; tempus, temporis n.

		აღამიანი	კანონი	თავი
		m	f	n
sg.				
Nom.	homō	lĕx	caput	
Gen.	homin-is	lĕg-is	capit-is	
Dat.	homin-i	lĕg-i	capit-i	
Acc.	homin-em	lĕg-em	caput	
Abl.	homin-e	lĕg-e	capit-e	
Voc.	homō	lĕx	caput	
pl.				
Nom.	homin-es	lĕg-es	capit-a	
Gen.	homin-um	lĕg-um	capit-um	
Dat.	homin-ibus	lĕg-ibus	capit-ibus	
Acc.	homin-es	lĕg-es	capit-a	
Abl.	homin-ibus	lĕg-ibus	capit-ibus	
Voc.	homin-es	lĕg-es	capit-a	

## Perfectum indicativi activi

esse – “ყოფნა”

	sg.	pl.
1.	fu-I ვიყავი	fu-imus
2.	fu-istī	fu-istis
3.	fu-it	fu-ērunt
inf. pf. act. fu-is-se		

პირის დაბოლოებები

	sg.	pl.
1.	-I	-imus
2.	-istī	-istis
3.	-it	-ērunt
inf. pf. act. -isse		

## Perfectum-ის ფუძის წარმოების საშუალებები

სუფიქსიანი perfectum-ი

1) praes.-ის ფუძე + -v- სუფიქსი I და IV ულლების გმნებისათვის.

	I ულლება	IV ულლება
	amā-re	audī-re
sg.		
1.	amā-v-I შევიყვარე	audī-v-I მოვისმინე
2.	amā-v-istī	audī-v-istī
3.	amā-v-it	audī-v-it
pl.		
1.	amā-v-imus	audī-v-imus
2.	amā-v-istis	audī-v-istis
3.	amā-v-ērunt	audī-v-erunt
Inf.	amāv-isse	audīv-isse

2) II ულლების გმნების უმეტესობა აწარმოებს pf.-ის ფუძეს შემდეგნაირად: praes.-ის ფუძე\* + -u- (-v-) სუფიქსი: debeo – deb-u-i; doceo – doc-u-i; fleo – flē-v-i.

\*ე სუფიქსი ამ გმნებს pf.-ში არ გადაყვება.

II უღლება		
	habēre	ძმწრე
sg.		
1.	hab-u-I ჰყავდა, მქონდა	ძმწრ-v-ი დაეანგრიე
2.	hab-u-istī	ძმწრ-v-istī
3.	hab-u-it	ძმწრ-v-it
pl.		
1.	hab-u-imus	ძმწრ-v-imus
2.	hab-u-istis	ძმწრ-v-istis
3.	hab-u-ērunt	ძმწრ-v-ērunt
Inf.	habu-isse	

3) III უღლების ზმნების უმეტესობა pf.-ის ფუძეს -s- სუფიქსის დართვით აწარმოებს (მიაქციეთ ყურადღება ასიმილაციის მოვლენებს, რომელთაც აქვთ ადგილი ფუძისეული თანხმოვნის -s- სუფიქსთან შეხვედრისას):

III უღლება		
reg-ě-re		
	sg.	pl.
1.	rĕx-I (< reg+s-i) ემართე	rĕx-imus
2.	rĕx-istī	rĕx-istis
3.	rĕx-it	rĕx-ērunt
Inf.	rĕx-isse	

### III უღლების ზმნების perfectum-ის ფუძე

scribō, scrip-s-i, scrib-ě-re – ვწერ

dūcō, dūxī (duc+s-i), dūc-ě-re – ვმეთაურობ

regō, rĕxī (reg+s-i), reg-ě-re – ემართავ, ემბრძანებლობ

trahō, trāxī (trah+s-i), trāh-ě-re – მივათრევ

mittō, misī (mit+s-i), mīt-ě-re – ვგზავნი

cēdō, cessī (ced+s-i), ced-ě-re – მივდივარ (დენტალური თანხმოვანი ასიმილირებულია)

### Perfectum-ის ფუძის უსუფიქსო წარმოება

ა) Pf.-ის ფუძე ფუძისეული მოკლე ხმოვნის დაგრძელებით იწარმოება:

lĕgō – ვკითხულობ, lĕgī – წავიკითხე, legĕre

vĕnīō – მივდივარ, vĕnī – წავედი, venīre

vīdĕō – ვხედავ, vīdī – დაეინახე, vidĕre



ბ) ფუძისეული მოკლე ხმოვანი სხვა გრძელ ხმოვანში გადადის:

ჭგნ – ვმოქმედებ, წგი – ვიმოქმედე, აგწე  
 ცაჰიძ – ვიღებ, ვიჭერ, ცეჰი – დავიჭირე, ცაჰე

გ) Pf.- ის ფუძე ემთხვევა praes.-ისას:

statū – ვეღამ, statū – დავდგი, statuere  
 vertō – გადავატრიალებ, verti – გადავატრიალე, vertere  
 solvō – გამოვიყენებ, ამოვხსნი, solvi – ამოვხსენი, solvere

დ) ნაშალური (ცხვირისმიერი) თანხმოვანი ამოვარდება ფუძიდან:

vincō – ვიმარჯვებ, vici – გავიმარჯვე, vincere  
 relinqvō – ვტოვებ, relinqvi – მივატოვე, relinqvère

**სავარჯიშოები:**

1. განსაზღვრეთ ბრუნვა და რიცხვი:

pars magna, a milite<sup>o</sup> bono, militis boni, milites boni, verae pacis, veram pacem, verae paci, imperatoris Romani, imperatores Romanos, imperatori Romano, imperatores Romani, imperatorem clarum, imperatorum clarorum, a rege ultimo, regis ultimi, reges Romani, consuli, cum consule, consules, imperatores, imperatoris.

2. აბრუნეთ: conditor, ōris m; rēx, rēgis m; scriptor, ōris m.

3. სუფიქსები -(it)ia, (gen. -ae); -(i)tās, (gen. -tātis); -(i)tudō, (gen. -tudinis): amicus-ის მაგალითზე დაადგინეთ შემდეგი სახელების მნიშვნელობა: amicus – მეგობარი; amicitia – მეგობრობა.

duritia, pueritia, unitas, novitas, urbanitas, servitudo, magnitudo, claritudo, multitudo.

4. გადათარგმნეთ, განსაზღვრეთ ბრუნვა და რიცხვი:

amicitiae, magnitudinis, servitudine, unitate, multitudinem, militiam, claritudini, multitudine, duritia.

5. დაადგინეთ agere-ს სხვადასხვა მნიშვნელობები:

1. Quid agis in agro meo? 2. In periculis non desperare, sed agere debemus. 3. "Cum hoste armato de pace non agimus!"

6. დაასახელეთ შემდეგი ზმნების ძირითადი ფორმები (praes., pf. inf.), განსაზღვრეთ, რა ფორმებშია ეს ზმნები და თარგმნეთ:  
amavi, narraverunt, mutavisti, crevistis, petiverunt, decrevimus, audivistis, fui, defuit, florui, portas, portabit, portavisti, crescunt, crevimus, decreverunt, decernunt, timetis, timete, timuistis, timebatis, prohibuerunt, prohibebant.

*ლექსიკონი:*

corvus, ī m ყვავი  
aliquandō (adv.) ერთხელ, ოდეს-  
ღაც  
vulpēs, is f მელა  
frustum, ī n ნაჭერი  
cāseus, ī m ყველი  
raptō, āvī, āre ვიტაცებ, ვიპარავ  
praeda, ae f ნადავლი  
arbor, oris f ხე  
altus, a, um მაღალი  
ēvōlō, āvī, āre ავფრინდება  
haud (adv.) არ, არა  
procul (adv.) შორს  
ācer, ācris, ācre ბასრი, ძლიერი,  
მძაფრი (სუნის შესახებ)  
odor, ōris m სუნი  
percipiō, cēpī, ēre ვიღებ,  
ვგრძნობ  
tum (adv.) მაშინ  
cupīdus, a, um მოსურნე,  
მოწყურებული, მისწრაფე-  
ბული, დახარბებული  
appropinquō, āvī, āre ვუახ-  
ლოვდები  
blandus, a, um შემპარავი, პირ-  
ფერული, მლიქვნელური

tentō (temptō), āvī, āre ვცდი,  
ვცდილობ  
penna, ae f ფრთა, ბუმბული  
nitor, ōris m ბრწყინვალეობა,  
პრიალი, სილამაზე  
quantus, a, um (pron. correl.)  
რამდენად დიდი, როგორი,  
რა  
corpus, oris n სხეული, ტანი  
decus, oris n სამკაული, მოხდე-  
ნილობა, სილამაზე, მიმზიდ-  
ველობა  
certe (adv.) ნამდვილად  
vōx, vōcis f ხმა  
eximius, a, um ბრწყინვალე,  
არაჩვეულებრივი  
tam (adv.) ისე, ისე ძალიან,  
იმდენად  
avis, is f ჩიგი  
tandem (adv.) ბოლოს, ბოლოს  
და ბოლოს  
laus, dis f ქება, ღიღება  
dolōsus, a, um ცბიერი, ეშმაკი  
īnflō, āvī, āre ვავსებ, ვებრავ  
superbia, ae f სიამაყე, ქედმაღ-  
ლობა, ამპარტავნება  
stultus, a, um სულელი, ბრიყვი

clāmō, āvī, āre ვევირი, ვზხავი  
 institutō, uī, ěre გადავწყვეტ,  
 ვიწყებ  
 rōstrum, ī n ნისკარტი  
 dēcidō, cidī, ěre ძირს ვვარდები,  
 ვეცეპი  
 avidus, a, um ხარბი, გაუმაძღა-  
 რი  
 dēns, dentis m კბილი  
 rapiō, puī, ěre ღავტაცებ, ვიგა-  
 ცებ, ვიპარავ  
 asportō, āvī, āre მიმაქეს, მიმყავს  
 ut (adv.) როგორც  
 assentātor, ōris m მლიქვნელი,  
 პირფერი  
 ūva, ae f ყურძენი  
 famēs, is f შიმშილი  
 ēnectus, a, um დაღლილი, გაწა-  
 მებული  
 vīnētum, ī n ვენახი  
 penetrō, āvī, āre შევალწევ,  
 შევდივარ, ვძვრები  
 mātūrus, a, um მწიფე  
 vītis, is f ვაბი  
 onustus, a, um დაძძიმებული,  
 დახუნძლული, დაბურული,  
 სავსე  
 dēvōrō, āvī, āre ველაპავ,  
 ვმთანთქავ, ვსანსლავ  
 summus, a, um უდიდესი  
 vīs, vis (dat. sg. vī, acc. sg. vim,  
 abl. sg. vī; nom. pl. vīrēs, gen.  
 pl. virium) f ძალა  
 saliō, luī, īre ვხტები, დავხტივარ  
 tamen (adv.) მაგრამ, მაინც,  
 თუმცა  
 attingō, tigī, ěre ვწვდები, ვეხები

discēdō, cessī, ěre მივდივარ,  
 ვტოვებ  
 indignābundus, a, um აღმფო-  
 თებული, განრისხებული  
 nōndum (adv.) ჯერ არ  
 acerbus, a, um მყავე, მწარე,  
 უმწიფარი  
 sūmō, sūmpsī, ěre ვიღებ, ვკრეფ  
 hebētō, āvī, āre ვკვეთ, ვჭრი,  
 ვაბლაგვებ  
 uxor, ōris f ცოლი  
 maritus, ī m ქმარი  
 litīgō, āvī, āre ვჩხუბობ, ვკამა-  
 თობ  
 ēheu (interi.) ო!  
 foedus, a, um მახინჯი, სამი-  
 ნელი  
 anus, ūs f მოხუცი ქალი  
 ēbrius, a, um მთვრალი  
 hodiē (adv.) დღეს  
 crās (adv.) ხვალ  
 homō, inis m ადამიანი, კაცი  
 locus, ī m ადგილი  
 prōpōnō, posuī, ěre განვიზრახავ,  
 ჩავიფიქრებ, წარმოვიდგენ  
 dispōnō, posuī, ěre განვალაგებ,  
 წესრიგში მომყავს, ვაწყობ,  
 ვგვამავ  
 dūrus, a, um მძიმე  
 lēx, lēgis f კანონი  
 vīnum, ī n ღვინო  
 vērītās, ātis f ჭეშმარიტება,  
 სიმართლე  
 mōs, mōris m წეს-ჩვეულება,  
 ხასიათი  
 ōs, ōris n პირი, სიტყვა, ენა,  
 მეტყველება



cognōscō, gnōvī, ēre ვიცილობ, შევიცილობ, ამოვიცილობ  
Platō, ōnis m პლატონი, ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე, აკადემიის ფუძემდებელი (ძვ. წ. 427-347 წწ.)  
magis (adv. compar.) მეტად, უფრო, რაც შეიძლება მეტად  
Aristotēlēs, is m არისტოტელე, ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მოწაფე, ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი (ძვ. წ. 384-322 წწ.)  
ecce (adv.) აი  
tempus, oris n დრო  
mūtō, āvī, āre ვცვლი  
mīles, itis m ჯარისკაცი, მებრძოლი  
pāx, pācis f მშვიდობა, ზავი  
imperātor, ōris m მბრძანებელი, მხედართმთავარი, იმპერატორი (რომაელი მბრძანებლის ტიტული. მაგ., Imperator Augustus)  
condītor, ōris m დამფუძნებელი, შემქმნელი  
scrīptor, ōris m მწერალი  
dūritia, ae f სიმკაცრე  
pueritia, ae f ბავშვობა, ახალგაზრდობა, ყრმობა

ūnītās, ātis f ერთიანობა  
novītās, ātis f სიახლე  
urbānītās, ātis f ქალაქური ცხოვრება, ქალაქური ცხოვრების წესი  
servitūdō, inis f მონობა  
magnitūdō, inis f სიდიდე, ძლიერება, ძალაუფლება  
clārītūdō, inis f სახელგანთქმულობა, სიცხადე, დიდება, ბრწყინვალეობა, პატივი  
dēsperō, āvī, āre იმედგაცრუებული ვარ  
petō, ivī (ii), ēre მივისწრაფი, მინდა, მსურს, ვითხოვ  
dēcrescō, crevī, ēre ეპაგარავედობი, ვიკლებ  
dēsum, dēfui, deesse არ ვარ; mihi deest მაკლია, არ მყოფნის  
flōrēō, uī, ēre ვყვავი  
dēcernō, crevī, ēre გადავწყვეტ, დავადგენ  
prohibeō, uī, ēre ვკრძალავ, ვიყავ  
militia, ae f სამხედრო სამსახური, ომი, ლაშქრობა; ჯარისკაცები (კრებ.)

§11 LECTIO UNDECIMA

III კანკელდობის ხმოვანფუ-  
ძიანი და შერეული გიჟის  
ბრუნების სახელები

Perfectum-ის ფუძის გაორმაგე-  
ბული წარმოება

III კანკელდობის თავისებური  
სახელები Iuppiter, vis

Ablativus modi – ვითარების  
abl.

De Daedalo et Icaro

Daedalus Atheniensis, artifex clarus, casu hominem necavit. Itaque cum Icaro, filio suo, ex urbe Athenis fugit et in Cretam insulam, ad regem Minōem migravit. Ibi iussu regis Labyrinthum aedificavit. Postea Daedalus consilium cepit in patriam remigrare. In Labyrintho Minotaurus, bestia saeva, custodiebatur et hostiis humanis nutriebatur. Minos autem Daedalum et Icarum retinuit atque etiam in Labyrintho inclusit. Tum Daedalus dolum excogitavit, nam pennas cera ligavit et ita quattuor alas paravit et cum filio avolavit. Sed incautus Icarus, qui volatu valde delectabatur, subito ducem suum deseruit, in altum volavit et soli appropinquavit. Tum cera, qua pennae vinctae\* erant, calore solis tabuit; puer alas amisit et in aquam cecidit. Pater infelix, ubi pennas in undis vidit, artes suas devovit, filium in insula Icaria sepelivit, ipse autem in Siciliam pervenit.



დედალოსი და იკაროსი.  
რომაული რელიეფი

\*vincus, a, um (p. p. vincio-დან) – შეკრული, დამატრებული.

Ranae et Iuppiter

Omnes bestiae habebant regem: quadrupedes – leonem, aquilam – aves; solae ranae nondum habebant. Itaque a Iove sibi quoque regem petiverunt. Iuppiter, precibus ranarum commotus\*, magnam trabem de caelo in paludem demisit. Ranae sonitu perterritae\*\* primum diu tacentes\*\*\* sub aqua iacebant; deinde, postquam una de ranis supra aquam apparuit et

regis naturam placidam exploravit, omnes e palude evocavit. Ranae trabi annaverunt eique magna cum contemptione insultaverunt, quia nihil a tali rege timebant. Itaque magna voce alium regem sibi a Iove postulaverunt. Tum Iuppiter stultitiam ranarum punire constituit et ciconiam ad ranas misit. Haec statim multas ranas devoravit. Tum ranae stultitiam suam exploraverunt et a Iove mitiorem regem petiverunt. Is autem: "Quia placidum," inquit, "regem repudiavistis, nunc tolerare debetis crudelem".

\* commotus, a, um p.p.p. commoveo-დან; precibus ranarum commotus - ბაკაკების თხოვნით აღელვებულმა.

\*\* perterritae - nom. pl. p.p.p. perterreo-დან - შეშინებულნი.

\*\*\* tacentes - nom. pl. tacens-დან (part. praes. act.) - მდუმარენი.



### De vestibus Romanorum

Civi Romano erat\* vestis: toga et tunica, civi Romanae: stola et tunica. Tegimen pedum et viris et mulieribus erant calcei et soleae. Tegimen capitis viri saepe non habebant. Ornamentum viri habebant in digito anulum.

\*Civi romano erat - esse + dat. (dat. poss.) აღნიშნავს ქონას.



calcei

soleae

რომაელი კაცი და ქალი ნაციონალურ განსაკუთრებით: კაცი ტუნიკაში და ტოგაში, ქალი ტუნიკაში და სტოლაში. სტოლაზე ქალს მოხვეული აქვს მოსასხამი - palla.

### Sententiae:

1. Una hirundo non facit ver - ერთი მერცხალი გამაფხულს ვერ მოიყვანს.
2. Ars longa, vita brevis - ხელოვნება მარადიულია, სიცოცხლე წარმავალი (ხელოვნება ხანგრძლივია, სიცოცხლე - ხანმოკლე).
3. Procul ab oculis, procul ex mente - შორს თვალებისაგან, შორს გონებისაგან.
4. Veni, vidi, vici (Caesar) - მიველ, ენახე, გავიმარჯვე (იულიუს კეისრის სიგეები ზელასთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ).



5. Gens una sumus – ერთი ოჯახი ვართ (მოჭადრაკეების ფედერაციის  
ლეიზი).



მოზაიკა პომპეის  
ერთ-ერთი სახლის მღურბლზე

- 6. Dixi et animam levavi – ვთქვი და სული შევიმსუბუქე.
- 7. Taciturnitas stulto homini pro sapientia est (Syrus) – დუმილი სულელი ადამიანისათვის სიბრძნის მაგიერია.
- 8. Fames artium magistra – შიმშილი ხელოვნების მასწავლებელია.
- 9. Ab ovo usque ad mala – კვერციდან ვაშლამდე (ე. ი. თავიდან ბოლომდე, რომაელები სადილს კვერცხით იწყებდნენ, ამთავრებდნენ ხილით).
- 10. Cave canem! – უფრთხილდი ძაღლს (ეზოში ავი ძაღლია!)
- 11. Is cadet ante senem, si quis sapit ante diem – ის კვდება სიბერემდე, ვინც უძროოდ ბრძენდება (ბევრის ცოდნა ადრე დაგაბერებს).

- 12. Quod licet Iovi non licet bovi – რაც ნებადართულია იუპიტერისთვის, არ არის ნებადართული ხარისათვის (ე. ი., რაც ეპატიება გამორჩეულ ადამიანს, არ ეპატიება ჩვეულებრივ მოკვდავს).
- 13. Pauperitas non est probrum (vitium) – სიღარიბე არ არის სირცხვილი (ნაკლი).

### ბ რ ა მ ა ტ ი კ ა

### III კანკლედობა (ხმოვანფუძიანი და შერეული ტიპის სახელები)

#### ხმოვანფუძიანი ბრუნება

III კანკლედობის ხმოვანფუძიანი ბრუნებით იბრუნვის საშუალო სქესის სახელები, რომელთაც **nom. sg.**-ში აქვთ დაბოლოება **-e, -al, -ar**. მაგ., **mar-e, mar-is m; animal, animāl-is n** და ა. შ. ამ ბრუნებას ხმოვანფუძიანს უწოდებენ იმიტომ, რომ ფუძის ბოლოკიდური ბგერა

არის **-i-**, რომელიც შემონახულია ზოგიერთი ბრუნვის დასრულებაში. **Nom. sg.**-ში ფუძის ბოლოკიდური ბგერა **-I** გადადის **-e**-ში (**mare, mar-is**; **nom. mar-e**, ფუძე **mari-**) ან იკარგება (**animal, animal-is** – **nom. animal**, ფუძე **animali-**; **exemplar, exemplar-is** – ფუძე **exemplari-**). ამ სახელებს **abl. sg.**-ში აქვთ დაბოლოება **-I**, **nom. pl.**-ში **-ia**, **gen. pl.**-ში **-ium**.

	n	n	n
	<b>sg.</b>		
Nom.	<b>mar-e</b> – მღვა	<b>animal</b> – ცხოველი	<b>exemplar</b> – მაგალითი
Gen.	<b>mar-is</b>	<b>animāl-is</b>	<b>exemplār-is</b>
Dat.	<b>mar-I</b>	<b>animāl-I</b>	<b>exemplār-I</b>
Acc.	<b>mar-e</b>	<b>animal</b>	<b>exemplar</b>
Abl.	<b>mar-I</b>	<b>animāl-I</b>	<b>exemplār-I</b>
Voc.	<b>mar-e</b>	<b>animal</b>	<b>exemplar</b>
	<b>pl.</b>		
Nom.	<b>mar-ia</b>	<b>animal-ia</b>	<b>exemplar-ia</b>
Gen.	<b>mar-ium</b>	<b>animal-ium</b>	<b>exemplar-ium</b>
Dat.	<b>mar-ibus</b>	<b>animal-ibus</b>	<b>exemplar-ibus</b>
Acc.	<b>mar-ia</b>	<b>animal-ia</b>	<b>exemplar-ia</b>
Abl.	<b>mar-ibus</b>	<b>animal-ibus</b>	<b>exemplar-ibus</b>
Voc.	<b>mar-ia</b>	<b>animal-ia</b>	<b>exemplar-ia</b>

### გამონაკლისები:

ხმოვანფუძიანი ბრუნებით იბრუნვის აგრეთვე 1) მღელრ. სქესის 6 არსებითი სახელი:

**puppis**, is f გემი

**vis**, vis f ძალა

**sitis**, is f წყურვილი

**turris**, is f კოშკი

**febris**, is f ციებ-ცხელება

**secūris**, is f ნაჯახი

2) მდინარეებისა და ქალაქების თანაბარმარცვლოვანი სახელები, როგორებიცაა: **Tiberis**, **-is m** ტიბერისი, **Neāpolis**, **-is f** ნეაპოლი.

ამ სახელების **acc. sg.** ბოლოვდება **-im**-ზე, **acc. pl.** **-is**-ზე ან **-es**-ზე.

	f	f
	sg.	pl.
Nom.	<b>turr-is</b> – კოშკი (ფუძე <b>turri-</b> )	<b>turr-ēs</b>
Gen.	<b>turr-is</b>	<b>turr-ium</b>
Dat.	<b>turr-I</b>	<b>turr-ibus</b>
Acc.	<b>turr-im</b>	<b>turr-īs (-es)</b>
Abl.	<b>turr-I</b>	<b>turr-ibus</b>
Voc.	<b>turr-is</b>	<b>turr-ēs</b>

## შერეული ბრუნება

შერეული ტიპის ბრუნებას განეკუთვნება მამრ. და მდედრ. სქესის სახელები:

1. რომელთაც **gen. sg.**-ში **-is** დაბოლოების წინ ორი ან მეტი თანხმოვანი აქვთ. მაგ., **dens, dent-is m; urbs, urb-is f.**

2. **-es-**სა და **-is-**ზე დაბოლოებული თანაბარმარცვლოვანი არსებითი სახელები (ე. ი. **nom.**-სა და **gen.**-ში მათ მარცვლების თანაბარი რაოდენობა აქვთ). მაგ., **civis, civis m, f; mensis, mensis m.**

ამ ბრუნების სახელებს **abl. sg.**-ში აქვთ **-e** დაბოლოება, მსგავსად თანხმოვანფუძიანი ბრუნებისა, ხოლო **gen. pl.**-ში – **-ium**, ხმოვანფუძიანი ბრუნების მსგავსად.

	m, f	f
<b>sg.</b>		
Nom.	civ-is – მოქალაქე	urb-ს ქალაქი
Gen.	civ-is	urb-is
Dat.	civ-i	urb-i
Acc.	civ-em	urb-em
Abl.	civ-e	urb-e
Voc.	civ-is	urb-ს
<b>pl.</b>		
Nom.	civ-ის	urb-ის
Gen.	civ-ium	urb-ium
Dat.	civ-ibus	urb-ibus
Acc.	civ-ის (-Is)	urb-ის (-Is)
Abl.	civ-ibus	urb-ibus
Voc.	civ-ის	urb-ის

### გამონაკლისები:

**mater, -tris f** – დედა

**frater, -tris m** – ძმა

**pater, -tris m** – მამა

**parens, -entis m, f** – მშობელი, ნათესავი

ეს სახელები **gen. pl.**-ში ბოლოვდება **-um**-ზე; ასევე რამდენიმე თანაბარმარცვლოვანი სიტყვა **-is**-ზე. მაგ., **canis, -is m, f** ძაღლი და **iuvenis, -is m** ყმაწვილი.

### III კანკლედობის თავისებური სახელები

**Anomalia et defectiva** – არანესიერად ბრუნებადი და დეფექტური, ფორმანაკლი სახელები

	Anomalia		Defectiva	
	m		f	
	sg.	pl.	sg.	pl.
Nom.	Iuppiter – იუპიტერი	–	vīs – ძალა	virēs
Gen.	Iovis	–	–	virium
Dat.	Iovī	–	–	viribus
Acc.	Iovem	–	vim	virēs
Abl.	Iove	–	vī	viribus
Voc.	Iuppiter	–	vīs	virēs

### ზმნები pf.-ის რედუბლიცირებული (გაორმაგებული) ფუძით

dō – dedī – dāre – ვაძლევ	tangō – tetigī – tangere – ვეხები
stō – stetī – stāre – ვდგევარ	cadō – cecidī – cadere – ვეცემი
mordeō, momordī, mordere – ვკბენ	currō, cucurrī, currere – გავრბივარ
fallō – fefellī – fallere – ვაყყუებ, ვმაღავ	

### Ablativus modi – ვითარების abl.

მიუთითებს, თუ როგორ ხდება მოქმედება. უპასუხებს კითხვამ როგორ? Abl. modi იხმარება cum -ის გარეშე არსებით სახელთან, რომელსაც განსაზღვრება ახლავს:

aequo animo – გულგრილად	ea condicione – ამ პირობით
eo consilio – ამ განზრახვით	

### Cum-თან ერთად, თუ განსაზღვრება არ ახლავს:

cum voluptate audire – სიამოვნებით მოსმენა  
 Graeci ante moenia troiae **cum pertinacia** pugnaverunt – ბერძნები მონღომებით იბრძოდნენ ტროის კედლებთან.

თუკი განსაზღვრებასთან მაინც იხმარება **cum** წინდებული, მაშინ ის ჩვეულებრივ ზედს. სახელსა და არსებით სახელს შორის დგას: Graeci ante moenia Troiae **magna cum pertinacia** pugnaverunt – ბერძნები დიდი მონღომებით იბრძოდნენ ტროის კედლებთან.

magno (cum) periculo – დიდი საფრთხის ქვეშ  
 multis cum lacrimis – ბევრი ცრემლით

**Cum -ის გარეშე შემდეგ არსებით სახელებთან:**

merito – დამსახურებულად	silentio – ჩუმად, მდუმარედ
iure – სამართლიანად	casu – შემთხვევით
vi – ძალით	dolo – ეშმაკობით
modo – ამგვარად	sponte – თავისი ნებით

**სავარჯიშოები:**

1. აუღლეთ pf. act.-ში: paro, āre; terreo, ēre; sto, āre; venio, īre.

2. აბრუნეთ: leo, ōnis m; artifex, ficis m, f; vulpes, is f.

3. განსაზღვრეთ ბრუნვა და რიცხვი, თარგმნეთ:

urbis, urbes oppidaque, urbi, urbem, pacis causa, in urbe, in urbem, hostibus, ab hostibus, hostium.

4. თარგმნეთ:

**Leo et vulpes**

Leo, annis confectus\*, in spelunca recubebat et, quia vix magno labore victum parabat, aegrotum simulabat. Tum regem multae bestiae visitabant, sed statim a leone devorabantur. Venit tandem etiam vulpes neque tamen intravit, sed caute ante speluncam stetit et regem salutavit. Tum leo interrogavit: “Cur in speluncam non intras?” Vulpes respondit: “Quia me vestigia terrent: multa enim in speluncam spectant, nulla retrorsum”.

\* annis confectus – წლებით დასუსტებული, დაღლილი.

5. მიაქციეთ ყურადღება, რას აღნიშნავს და როგორი ფორმითაა გადმოსული ქართულში შემდეგი ლათინური სიტყვები:

imperātor, ōnis m; lēctio, ōnis f; disputo, āre; congressus, ūs m; colloquium, ī n; distantia, ae f; ūtilitās, ātis; mōtio, ōnis f; nātio, ōnis f; regio, ōnis f; cōspirātio, ōnis f; simulātio, ōnis f; arbiter, trī m; liquor, ōnis m; terror, ōnis m.

6. დაასახელეთ ქვემოთ მოყვანილი ზმნების praes. ind. act.-ისა და inf. praes. act.-ის ფორმები, თარგმნეთ:

decrevit, crevit, salutaverunt, superavimus, videbant, vident, cedit, statuunt, venisse, postulabit, postulavit, studebat, desperavisti, laborabit, timuistis, terruisse, viderunt, timuisse, decernebat, crevisse, pervenit.





7. იპოვეთ ანგონიმები (საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები):  
pax – ზავი – bellum – ომი):

nunc	omnia	dare	multi
magnus	aqua	gratia	olim
discedere	negotium	nihil	post
nunquam	ira	vir	tacere
clamare	malus	magnificus	capere
ante	venire	otium	niger
bonus	lente	unus	femina
terra	parvus	albus	cum
sine	semper	cito	dominus
servus	miser		

ლექსიკონი:

**Daedalus, ī m** დედალოსი, იკაროსის მამა, კრეტის ლაბირინთის ამშენებელი  
**Icarus, ī m** იკაროსი, დედალოსის შვილი  
**Athēniēnsis, is m** ათენელი  
**artifex, ficis m, f** ხელოვანი, შემქმნელი, შემოქმედი  
**cāsū (adv.)** შემთხვევით  
**fugiō, fugi, ēre** მივრბივარ, გავრბივარ, ვიპარები  
**īnsula, ae f** კუნძული  
**rēx, rēgis m** მეფე  
**Mīnōs, ōis m** მინოსი, კრეტის ლეგენდარული მეფე  
**migrō, āvi, āre** გადავდივარ, გადავსახლდები  
**iussus, (ūs) m** ბრძანება; **iussū (abl. sg. m)** ბრძანებით  
**labyrinthus, ī m** ლაბირინთი, რომელიც მითის მიხედვით კრეტაზე ააშენა დედალოსმა  
**aedificō, āvi, āre** ვაშენებ, ვაგებ

**cōnsilium, ī n** რჩევა, გადაწყვეტილება  
**capiō, cēpi, ēre** ვიღებ, ვიჭერ  
**remigrō, āvi, āre** ვბრუნდები  
**Mīnōtaurus, ī m** მინოტავრი, კაციჭაპია ურჩხული კრეტაზე, პასიფაესა და ხარის შვილი, რომელიც მოკლა თესევსმა  
**saevus, a, um** საშინელი, მკაცრი  
**hostia, ae f** მსხვერპლი, ზვარაკი, სამსხვერპლო ცხოველი  
**hūmānus, a, um** ადამიანური, ადამიანის  
**nūtriō, īvi (ii), īre** ვკვებავ, ვზრდი, ვუვლი  
**retineō, tinui, ēre** ვიჭერ, ვაკავებ  
**inclūdō, clusi, ēre** ვკეცავ, ჩაკეცავ  
**excōgitō, āvi, āre** ვიგონებ  
**cēra, ae f** ცვილი  
**ligō, āvi, āre** ვაერთებ, ვაბამ  
**quattuor** ოთხი



āla, ae f ფრინველის ფრთები  
 āvolō, āvī, āre მივეფრინავ  
 incautus, a, um გაუფრთხილებელი, უდარდელი  
 volātus, ūs m ფრენა  
 valdē (adv.) ძალიან, ძლიერად  
 subito (adv.) უცხად, მოულოდნელად  
 dux, ducis m, f წინამძღოლი, მხედართმთავარი, მბრძანებელი  
 dēserō, seruī, ēre მივატოვებ, ვტოვებ  
 altum, ī n ცა, სიმაღლე  
 sōl, sōlis m მზე  
 vinciō, vinxī, ire ვკრავ, ვამაგრებ  
 calor, ōris m სითბო, სიცხე  
 tābēō, uī, ēre ვღნებობ  
 āmittō, mīsi, ēre ვკარგავ  
 aqua, ae f წყალი  
 infelix, icis (adi.) უბედური, მწუხარე  
 ubī (ci.) როდესაც, იმის შემდეგ რაც  
 unda, ae f ტალღა, ზღვა  
 ars, artis f ხელოვნება  
 dēvoveō, vōvī, ēre ვწყვევ  
 sepeliō, pelivī, ire ვასაფლავებ  
 perveniō, vēnī, ire ვაღწევ, ჩავდივარ  
 rāna, ae f ბაყაყი  
 Iuppiter, Iovis m იუპიტერი, სატურნუსისა და რეას შვილი, ღმერთების მუფუ, მოგვიანებით გაიგივებული ზევსთან

quadrupēs, pedis m, f ოთხფეხი ცხოველი  
 leō, ōnis m ლომი  
 aquila, ae f არწივი  
 sōlus, a, um მხოლოდ, მარტო  
 commoveō, mōvī, ēre ვაღელვებ, შეძრული ვარ  
 trabs, trabis f მორი  
 caelum, ī n ცა  
 palūs, ūdis f ჭაობი, ტბა  
 dēmittō, mīsi, ēre ჩავუშვებ  
 sonitus, ūs m ხმაური, ხმა  
 perterreō, terruī, ēre ვაშინებ  
 primum (adv.) ჯერ, პირველად  
 sub (+abl.) ქვეშ  
 iaceō, uī, ēre ვწევარ  
 deinde (adv.) ამის შემდეგ, შემდეგ, კიდევ  
 suprā (+acc.) ზემოთ, ადრე  
 placidus, a, um წყნარი, მშვიდი  
 explōrō āvī, āre ვიკვლევ, ვზვერავე, ვსწავლობ  
 ēvocō, āvī, āre ვებახი, ვიძახებ  
 annō, āvī, āre მივეცურავ, ცურვით უუახლოვდები  
 contemptio, ōnis f ზიზღი, უპატივცემულობა  
 Insultō, āvī, āre (+ dat.) დავცინი  
 postulō, āvī, āre ვითხოვ, მსურს, მინდა  
 cōstituō, uī, ēre ვწყვეტ, ვადგენ  
 cicōnia, ae f წერო  
 mittō, mīsi, ēre ვგზავნი  
 mītis, e (adi.) რბილი, ნაზი, მშვიდობიანი; (mitior, ius – compar.)

repudiō, āvī, āre უარყოფ, უკუღებებელყოფ  
 tolerō, āvī, āre ვიტან, ვუძლებ  
 crudēlis, e (adi.) მრისხანე,  
 საშინელი, სასტიკი  
 vestis, is f ტანსაცმელი  
 mulier, eris f ქალი, ცოლი  
 cīvis, is m, f მოქალაქე  
 toga, ae f გოგა, მოსახსამი, რომელსაც რომაელი მამაკაცები იცვამდნენ მშვიდობიანობის დროს  
 tunica, ae f ტუნიკა, შალის ტანსაცმელი, რომლის ზემოდანაც ქალები იცვამდნენ სტოლას, ხოლო კაცები – გოგას  
 stola, ae f (ბერძ.) სტოლა, ტუნიკაზე ჩასაცმელი კაბა  
 palla, ae f ქალის მოსახსამი  
 tegimen, inis n დასახური, სახურავი, მოსახვევი  
 pēs, pedis m ფეხი  
 calceus, ī m ფეხსაცმელი  
 digitus, ī m თითი  
 ānulus, ī m ბეჭელი  
 solea, ae f სანდალი  
 ōrnāmentum, ī n სამკაული, მოსართავი  
 hirundō, inis f მერცხალი  
 vēr, vēris n გაზაფხული  
 brevis, e (adi.) მოკლე  
 mēns, mentis f სული, გონება  
 Caesar, aris m კეისარი; C.

(Gaius) Iulius Caesar (ძვ. წ. 100-44 წწ.), პოლიტიკოსი, მხედართმთავარი, ორა-

ტორი და მწერალი, ისტორიკოსი  
 gēns, gentis f ოჯახი, ნათესაობა, გომი  
 levō, āvī, āre ვამსუბუქებ  
 taciturnitās, ātis f სიჩუმე, დუმილი  
 sapientia, ae f სიბრძნე, გონება, ჭკუა  
 ōvum, ī n კვერცხი  
 ūsque ad (+acc.) -მდე  
 caveō, cāvī, ēre ვუფრთხილდები  
 canis, is m, f ძაღლი  
 senex, senis m, f მოხუცი  
 sapiō, iī (ivī, uī), ēre ჭკვიანი ვარ, გონიერი ვარ, მესმის  
 licet, uit, ēre (impers.) შეიძლება, ნებადართულია  
 bōs, bovis m, f ხარი, ძროხა  
 pauperitās, ātis f სიღარიბე  
 probrum, ī n სირცხვილი, სამარცხეინო საქციელი  
 vitium, ī n ფიზიკური ნაკლი, ლეუქტი  
 aufugiō, fūgī, ēre ვიპარები, გავრბივარ  
 cōngi, cōngi, ēre ვაიძულებ  
 aviditās, ātis f სიხარბე  
 terreō, uī, ēre ვაშინებ  
 cōnficiō, fēcī, ēre ვასუსტებ, ველი  
 spēlunca, ae f გამოქვაბული  
 recubō, āvī, āre მურგზე ვწევარ, ვისვენებ  
 vix (adv.) ძლივს, როგორც კი, ახლა, ამ წუთში



labor, ōris m შრომა, მუშაობა,  
 გარჯა  
 victus, ūs m საკვები  
 simulō, āvī, āre გამსგავსებ, თავს  
 მოვაჩვენებ, ვთვალთ-  
 მაქცობ, ვერუობ, ვიგონებ  
 neque, nec (ci.) და არ, არც  
 cautē (adv.) ფრთხილად, ეშმა-  
 კურად

interrogō, āvī, āre ვეკითვები  
 retrōrsūm (adv.) უკან, პირიქით  
 statuō, tuī, ěre ედგამ, ეადგენ,  
 ვწყვეტ, გადაწყვეტილებას  
 ვიღებ  
 albus, a, um თეთრი  
 miser, era, erum უბედური,  
 საწყალი, სამწუხარო

### §12 LECTIO DUODECIMA

**Participium praesentis activi**  
 III კანკელდობის ზედსართავი  
 სახელები  
**Plusquamperfectum ind. act.**  
**Futurum II activi**

**Pronomen demonstrativum**  
 idem, eadem, idem  
**Dativus possessivus**  
 დროთა თანამიმდევრობა  
 წინადადებაში (impf. და ppf.;  
 fut. II და fut. I)

#### De Prometheus

Prometheus, qui auxilio Minervae\* homines ex terra et aqua fecerat, de genere humano bene meruit\*\*. Dei saepe Prometheus ad epulas suas invitaverunt. Itaque consilium Iovis, qui omnes homines necare constituerat, Prometheus notum erat\*\*\*. Prometheus aliquando in coelum venit, ignem, quem Iuppiter hominibus negavit, de Olympo subduxit et hominibus donavit. Quamquam Iovis ira magna erat, genus humanum non delevit. Prometheus autem Vulcanus



ტიტანები: ატლასი, რომელსაც უჭირავს ცა და პრომეთე, თასი ლაკონიიდან, ძე. წ. 550 წ.



iussu Iovis in monte Caucaso ferreis catenis ad saxum alligavit condieque aquila iecur Promethei devorabat. Iecoris pars, quam aquila interdum devoraverat, noctu crescebat. Ita Prometheus ingentes dolores tolerabat. Postea Hercules aquilam sagitta necavit Prometheumque liberavit.

- \* auxilio Minervae – მინერვას დახმარებით (abl. instr.).
- \*\* de genere humano bene meruit – დიდი დამსახურება მქონდა ადამიანთა მოღმის წინაშე.
- \*\*\* notum erat – ცნობილი იყო (ppf. ind. pass.).

### De viro avaro

Vir quidam, ad fluvium sedens, flebat et lamentabat, nam securis, qua navem resarciebat, in aquam exciderat. Tum fluvii deus, qui fletum viri audiverat, emersit et: "Cur ploras?" – interrogavit. Tum vir: "Eheu, securis mea excidit in aquam, faber sum, et securim novam emere non possum, pecunia mihi deest\*." Tum deus aqua se immersit et paulo post venit, securim auream gerens. "Est-ne eadem, quam amisisti? Si tuam securim cognoveris, accipies eam." Negavit vir probus. Tum deus portavit aliam, argenteam. Faber autem hanc quoque non accepit. Tum deus eadem, quae exciderat, portavit eamque faber suam cognovit. Deus probitate viri commotus\*\*, tres secures ei donavit.

Faber laetus domum properavit et vicinis omnia narravit. Tum vicinus eius ad fluvium properavit, securim sua sponte\*\*\* in aquam demisit et ad fluvium sedens lamentavit. Tum deus idem emersit, auream securim gerens, et: "Est-ne tua?" – interrogavit. Ille vero: "Haec mea securis est" – clamavit. At deus iratus: "Homo es avarus et mendax, neque auream neque tuam securim habebis," et in undas se immersit. Sic vir avarus se ipse securi privavit\*\*\*\*.

- \* mihi deest – არ მაქვს (dat. poss. esse-სიან).
- \*\* probitate viri commotus (p.p.p. commoveo-დან) – კაცის პატიოსნებით მოხიბლულმა.
- \*\*\* sua sponte – თვითონ (abl. modi).
- \*\*\*\* securi privavit – ცული ჩამოართვეა (abl. separationis).

### NB

secūris, is f – ცული; acc. sg. securim  
vis, vis f – ძალა; acc. sg. vim  
Tiberis, is m – ტიბერისი; acc. sg. Tiberim

### De gallina et vulpe

Ad gallinam aegrotam vulpes accessit et interrogavit: "Ecquid vales?" Gallina vulpi: "Satis" – inquit – "valeo, sed si tu discesseris, multo melius me habebo".

### De Lacedaemoniis

Phillipus, Macedonum rex, Lacedaemoniis scripsit: "Si in Laconiam venero, finibus vos exturbabo." Lacedaemonii rescripserunt: "Si".

### Sententiae:

1. Labor omnia vincit (Vergilius) – შრომა ყველაფერს ძლევს.
2. Aurora Musis amica – ცისკარი მუშების მეგობარია (დილის საათები ყველაზე კარგია გონებრივი მუშაობისათვის, ხელოვნებისათვის).



მუშები მანგინეადან; პრაქსიტელეს მიხედვით

3. Dónec erís felíx, || multós numerábis amícos;  
témpera sí fuerínt || núbila, sólus erís. (Ovidius) – ვიდრე ბედნიერი იქნები, მრავალ მეგობარს დაითვლი; თუკი ღრუბლიანი დღე დაგიდგება, მარტო დარჩები.
4. Sero venientibus – ossa – დაგვიანებულებს – ძვლები (ასე მიმართავენდნენ რომაელები დაგვიანებულ სტუმრებს).
5. Ést modus ín rebús, || sunt cérti dénique fines (Horatius) – არის საგნებში ზომიერება და არსებობს (არის დადგენილი) გარკვეული საზღვრები (ე. ი. ყველაფერი კარგია ზომიერად).
6. Vox clamantis in deserto – ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა.
7. Nihil habenti nihil deest – არაფრის მქონეს არაფერი აკლია (არაფრის მქონეს არაფერი აქვს დასაკარგი).

8. Mens sana in corpore sano – ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.
9. Múnera, créde mihí, || capiúnt homínésque deúsque (Ovidius) – საჩუქრები ატყვევებენ, მერწმუნე, ადამიანებსაც და ღმერთებსაც (ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო).
10. Cántica gñgnit amór || et amórem cántica gñgnunt – სიყვარული ბაღებს სიმღერებს და სიმღერები ბაღებზე სიყვარულს.
11. Quod non vetat lex, hoc vetat fieri\* pudor (Sen. Troad.) – რასაც არ კრძალავს კანონი, იმის ჩადენას კრძალავს სინდისი.

\* fieri – inf. fio, factus sum, fieri-დან (depon.) – ვხდები, ვიქმნები.

### გრამატიკა

#### Participium praesentis activi – ანმოს მოქმედებითი გვარის მიმლეობა

labōrō	labōrā-ns, laborantis	მომუშავე
habēō	habē-ns, habentis	მქონე
regō	reg-ēns, regentis	მმართველი
faciō	faci-ēns, facientis	მკეთებელი
audiō	audi-ēns, audientis	მსმენელი

#### მიმლეობების ბრუნება

Praes.-ის მიმლეობები იბრუნვის III კანკლედობით.

	m, f	n
<b>sg.</b>		
Nom.	labōr-āns	labōr-āns
Gen.	labōr-ānt-is	labōr-ānt-is
Dat.	labōr-ānt-ī	labōr-ānt-ī
Acc.	labōr-ānt-em	labōr-āns
Abl.	labōr-ānt-e / I*	labōr-ānt-e / I
Voc.	labōr-āns	labōr-āns
<b>pl.</b>		
Nom.	labōr-ānt-ēs	labōr-ant-ia
Gen.	labōr-ānt-ium	labōr-ānt-ium
Dat.	labōr-ānt-ibus	labōr-ānt-ibus
Acc.	labōr-ant-ēs (-Is)	labōr-ant-ia
Abl.	labōr-ānt-ibus	labōr-ānt-ibus
Voc.	labōr-ānt-ēs	labōr-ant-ia

\* თუ მიმლეობა ზედსართავის გაგებითაა, მას abl.-ში ექნება დაბოლოება -I.



### III კანკლედობის ზედსართავი სახელები

იბრუნვის ძირითადად ხმოვანფუძიანი ბრუნების გიპით:  
**sapiēns** (m, f, n) გონიერი; **fēlix** (m, f, n) ბედნიერი; **dulcis** (m, f),  
**dulce** (n) ტკბილი; **ācer** (m), **ācris** (f), **ācre** (n) მძაფრი, ბასრი.

	m, f	n	m	f	n	m	f	n
sg.								
Nom.	dulc-is	dulc-e	ācer	ācr-is	ācr-e	fēlix		
Gen.	dulc-is	dulc-is	ācr-is			felic-is		
Dat.	dulc-ī	dulc-ī	ācr-ī			felic-ī		
Acc.	dulc-em	dulc-e	ācr-em	ācr-em	ācr-e	felic-em fēlix		
Abl.	dulc-ī	dulc-ī	ācr-ī			felic-ī		
Voc.	dulc-is	dulc-e	ācer	ācr-is	ācr-e	fēlix		
pl.								
Nom.	dulc-ēs	dulc-ia	ācr-ēs	acr-ia	felic-ēs felic-ia			
Gen.	dulc-ium	dulc-ium	ācr-ium			felic-ium		
Dat.	dulc-ibus	dulc-ibus	ācr-ibus			felic-ibus		
Acc.	dulc-ēs (-Is)	dulc-ia	ācr-ēs	ācr-ia	felic-ēs felic-ia			
Abl.	dulc-ibus	dulc-ibus	ācr-ibus			felic-ibus		
Voc.	dulc-ēs	dulc-ia	ācr-ēs	ācr-ia	felic-ēs felic-ia			

### Plusquamperfectum indicativi activi

	esse ყოფნა	I ულგება	
sg.		pf.-ის ფუძე + sum წმნის impf.	
	ვითქვამს	შევიყვარე (შემეყვარებია)	მივეცი (მიმიცია)
1.	fu- <b>era</b> -m	amā-v- <b>eram</b>	ded- <b>eram</b>
2.	fu- <b>erā</b> -s	amā-v- <b>erās</b>	ded- <b>erās</b>
3.	fu- <b>era</b> -t	amā-v- <b>erat</b>	ded- <b>erat</b>
pl.			
1.	fu- <b>erā</b> -mus	amā-v- <b>erāmus</b>	ded- <b>erāmus</b>
2.	fu- <b>erā</b> -tis	amā-v- <b>erātis</b>	ded- <b>erātis</b>
3.	fu- <b>era</b> -nt	amā-v- <b>erant</b>	ded- <b>erant</b>

	II ულგება	III ულგება	IV ულგება
	sg.		
	მქონდა (მქონია)	მივწერე (მიმიწერია)	მოვისმინე (მომისმენია)
1.	hab-u- <b>eram</b>	scrips- <b>eram</b>	audi-v- <b>eram</b>
2.	hab-u- <b>erās</b>	scrips- <b>erās</b>	audi-v- <b>erās</b>
3.	hab-u- <b>erat</b>	scrips- <b>erat</b>	audi-v- <b>erat</b>
pl.			
1.	hab-u- <b>erāmus</b>	scrips- <b>erāmus</b>	audi-v- <b>erāmus</b>
2.	hab-u- <b>erātis</b>	scrips- <b>erātis</b>	audi-v- <b>erātis</b>
3.	hab-u- <b>erant</b>	scrips- <b>erant</b>	audi-v- <b>erant</b>



## Futurum II activi

ყოფნა მშენა		I უღლება	
sg.		pf.-ის ფუძე + sum მშენს fut. I	
1.	fu-er-ō ვიქნები	amā-v-erō შევეიყვარებ	ded-erō მივეცემ
2.	fu-eri-s	amā-v-eris	ded-eris
3.	fu-eri-t	amā-v-erit	ded-erit
pl.			
1.	fu-eri-mus	amā-v-erimus	ded-erimus
2.	fu-eri-tis	amā-v-eritis	ded-eritis
3.	fu-eri-nt	amā-v-erint	ded-erint
II უღლება		III უღლება	IV უღლება
sg.			
1.	hab-u-erō მექნება, მცეოლება	scrips-erō მივწერ	audi-v-erō მოვისმენ
2.	hab-u-eris	scrips-eris	audi-v-eris
3.	hab-u-erit	scrips-erit	audi-v-erit
pl.			
1.	hab-u-erimus	scrips-erimus	audi-v-erimus
2.	hab-u-eritis	scrips-eritis	audi-v-eritis
3.	hab-u-erint	scrips-erint	audi-v-erint

## Pronomen demonstrativum idem, eadem, idem – ჩვენებითი ნაცვალსახელი იგივე, ისეთივე

	m	f	n
sg.			
Nom.	Idem	eadem	idem
Gen.	eiusdem	eiusdem	eiusdem
Dat.	eīdem	eīdem	eīdem
Acc.	eundem	eandem	idem
Abl.	eōdem	eādem	eōdem
pl.			
Nom.	Idem	eadem	eadem
Gen.	eōrundem	eārundem	eōrundem
Dat.	eīsdem	eīsdem	eīsdem
Acc.	eūsdem	eāsdem	eadem
Abl.	eīsdem	eīsdem	eīsdem

## Dativus possessivus – კუთვნისლების dat.

Dat. esse-სთან = მაქვს, ვულობ. აღნიშნავს პირს, რომელსაც რაღაც ეკუთვნის.

Publio et Tito multa proverbialia nota sunt -- პუბლიუსმა და ტიტუსმა ბევრი ანდაზა იციან.

**დროთა თანამიმდევრობა წინადადებაში**

მიაქციეთ ყურადღება **impf.**-ისა და **ppf.**-ის მიმართებას!  
*Vir quidam ... flebat et lamentabat, nam securis, qua navem resarciebat, in aquam exciderat* – ერთი კაცი გიროდა და მოთქვამდა, რაღვან ცული, რომლითაც ნავს აკეთებდა, წყალში ჩაეარდნოდა.  
*flebat, lamentabat, resarciebat* – **impf.**  
*exciderat* – **ppf.**  
 ჯერ ხდება **ppf.**-ის (წინარე წარსული) მოქმედება, შემდეგ კი **impf.**-ისა (ნამყო უსრული).

მიაქციეთ ყურადღება **fut. I**-ისა და **fut. II**-ის მიმართებას!  
*Si tuam securim cognoveris, accipies eam.* – თუ შენს ცულს იცნობ, მიიღებ მას.  
 ჯერ ხდება **fut. II**-ის მოქმედება, შემდეგ კი **fut. I**-ისა.  
*cognoveris* – **fut. II.**  
*accipies* – **fut. I.**

**სავარჯიშოები:**

I. თარგმნეთ:

**In ludo**

*Pueri magistrum exspectant. Magister venit. Pueri "salve, magister!" – clamant. "Salve, pueri!" – magister respondet et: "Hodie, – inquit – non dormietis! Unusquisque vestrum proverbialia, quae memoria tenet\*, recitabit. Qui multa proverbialia memoria tenet, praemio donabitur\*\*.* *Quis vestrum primus erit?"* Tum Publius: "Ego – inquit, nam audentes fortuna iuvat." Ecce Sextus tardus venit\*\*\*, et Publius: "Sero venientibus – ossa" – clamat. Pueri rident, nam Sextus iocum non intellegit. "De te fabula narratur" – addit Marcus. "Mitte iocularia" – inquit Sextus iratus. Sed iam Titus: "Non scholae, sed vitae discimus". At Gaius:



ვოგონას პორტრეტი *stilus*-ითა და *tabellae*-ით.  
 ფრესკა პომპეიდან, I ს-ის I ნახ.



“Omnia sūnt hominūm tenui pendētia flō”. Magister ad Aulum: “Et tu, Aule, cur taces? Semper garrulus es!” Cui Aulus: “Tēpora mutāntur et nos mutāmur in illis”, sed iam Publius: “Garrula lingua nocet”, et Titus: “Quae nocent, docent”. “Et tibi, Luci,” – magister rogat, “nullum proverbium notum est?” “Non omnia possumus omnes”, addit Publius, et Lucius: “Quot homines, tot sententiae”. Tum Titus: “Spe vivimus, magister!” Magister ridet: “Spe praemii vivitis?” – inquit. – “Praemia vobis dabuntur.” “Bis dat, qui cito dat”, clamat Titus. Tum magister: “Publio et Tito multa proverbia nota sunt\*\*\*\*, itaque praemiis donabuntur. Tibi, Publi, stilum novum, at tibi, Tite, tabellas, quibus sententias et proverbia scribes, dono.”

\* memoria tenere – დახსოვება (abl. instr.).

\*\* premio donabitur – პრემიით დაჯილდოვდება.

\*\*\* tardus venit – adi. შოგჯერ შეიძლება ითარგმნოს როგორც მშნიმედა: გვიან მოდის.

\*\*\*\* nota sunt – ცნობილია (pf. ind. pass. p. III pl.).

2. ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში გადააადგილეთ ასოები ისე, რომ მიიღოთ ახალი სიტყვა:

Roma – რომი; mus – თაგვი; eram – ვიყავი; mulceo – ვაწყნარებ, ვარბილებ.

3. აწარმოეთ part. praes. act. შემდეგი ზმნებიდან:

მაგ., gigno – gignens, -entis.

defendo, orno, rapio, finio, narro, rideo, do, scribo, fugo, amo, capio, habito.

4. შეცვალეთ pf. p. III praes. p. III-ით:

cecidit, posuit, promisit, quaesivit, advenit, egit, cucurrit, scripsit, duxit, habuit, expugnavit.

5. აუღლეთ venio ppf. ind. act.-ში, ხოლო vinco fut. II ind. act.-ში.

6. დაადგინეთ ზმნის ფორმა და აწარმოეთ inf. praes.:

delevi, posuerat, quaesiverimus, expugnaveritis, fueris.

7. თარგმნეთ:

1. Tarquinius Superbus fuit ultimus rex Romanorum. 2. Milites audaces in proeliis multas victorias reportaverunt. 3. Tu heri ad me venire promiseras, sed non venisti. 4. Galli, qui non longe a Roma castra posuerant, in urbem eo die non intrare constituerunt. 5. Romani Gallos, qui in Italiam irruerant,

ceciderunt. 6. Marcus Alitius Regulus, qui in Africam suum traduxerat, ibi oppida et multa castella expugnavit.


8. დაასახელეთ, ცხრა მუზა და განსაზღვრეთ, რომელი მუზა ხელოვნების რომელ დარგს მფარველობდა.

9. Aenigma:

თევზი იყო სიმბოლო ადრეული ქრისტიანობისა. ბერძნულად "თევზი" არის I CH TH Y S და შემოკლებაა Iesus Christos Theou Yios Soter-ისთვის: იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხსნელი.

თუკი ყველა ქვემოთ მოცემულ სიტყვას ზემოდან ქვემოთ სწორად შეიტანთ თევზის სიმბოლოში, პირველი და ბოლო ასოები ამ სიტყვებისა, წაკითხული პირველი სიტყვიდან საათის ისრის მიმართულებით, მოგვცემს ორ ბერძნულ-ლათინურ სიტყვას, რომლებიც აღნიშნავენ ადგილებს, სადაც დევნილი ქრისტიანები იმალებოდნენ.

- 1) ლათ. თავები (nom. pl.)
- 2) ლათ. ავტორს (dat. sg.)
- 3) ლათ. გამყვები, მასწავლებელი (nom.); აწარმოეთ ამ ნიმუშის მიხედვით: curare – curator; tradere – ...
- 4) Voc. sg. apostolus-დან
- 5) ლათ. ის ფიქრობს
- 6) ლათ. ჩრდილები (nom. pl.)
- 7) ლათ. შიში (acc. sg.)
- 8) Voc. sg. bonus-დან
- 9) ლათ. ვებდავ
- 10) ლათ. გარეთ, მიღმა / არც



ლექსიკონი:

Promētheus, ēi (eos) m პრომეთე, იაფეგის ძე (შექმნა ადამიანი და მოუგანა მას ზეციდან ცეცხლი, რისთვისაც კავკასიონზე იქნა მიჯაჭვული, საიდანაც პერკულუსმა გაათავისუფლა).

Minerva, ae f მინერვა, სიბრძნის, ხელოვნებისა და მეცნიერების ქალღმერთი, გაიგივებული ბერძ. ათენასთან

genus, eris n გვარი, ოჯახი, შთამომავალი

mereō, ruī, ēre მოვიხვევ; bene mereri de + abl. დიდი დამსახურების ქონა ვიღაცის წინაშე

epulae, ārum f (pl.) სადილი, საჭმელი

nōtus, a, um (p.p.p.) ცნობილი, მზნიდან nōscō, nōvī, ēre ვიცი

coelum (caelum), I n ცა

ignis, is m ცეცხლი

negō, āvī, āre უარს ვამბობ, უარვეყოფ

Olympus, I m ოლიმპო, მთა მაკედონიისა და თესალიის საზღვარზე, ღმერთების სამყოფელი

subdūcō, dūxī, ēre მიმაქვს, ვართმევ, საიდუმლოდ მიმაქვს

quamquam (ci.) თუმცა, მართალია

īra, ae f რისხვა, ბრაზი

Vulcānus, I m ვულკანუსი, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი; იუპიტერისა და იუნოს შვილი, ვენუსის მეუღლე, მოგვიანებით გაიგივებული ბერძ. პეფესგოსთან

mōns, montis m მთა

ferreus, a, um რკინის, ძლიერი, მაგარი

catēna, ae f ბორკილი, ჯაჭვი

saxum, I n კლდე

alligō, āvī, āre ვამაგრებ, ბორკილებს ვადებ, ვბორკავ, ვაბამ

cotidiē (adv.) ყოველდღე, ყოველდღიურად

iecur, iecoris n ღვიძლი

ingēns, gentis (adi.) უმარმაზარი, საშინელი

dolor, ōris m ტკივილი, ტანჯვა, დარდი

Herculēs, is (I) m პერკულუსი, ბერძ. პერაკლე; იუპიტერისა და ალკმენეს შვილი

fleō, ēvī, ēre ვგირი, ვზივი

lāmentō, āvī, āre ვგირი, ვზივი, ვქვითინებ, დავგირი

secūris, is f ნაჯახი

nāvis, is f გემი

resarciō, sarsī, īre შევაკეთებ

excidō, cidī, ēre ვვარდები, ძირს ვვარდები

ēmergō, mersī, ēre ამოვდივარ, ვეჩვენები, ამოვყვინთავ

Crēta, ae f კუნძული კრეტა	subferō, (sufferō), sustulī, sublātum, sufferre ამყავს
tribūtum, ī n ხარკი, გადასახადი	
quotannis (adv.) ყოველწლიურად	
partim (adv.) ნაწილობრივ	
misericordia, ae f სიბრალული, თანაგრძნობა	

Quintus, I m კვინტუსი, რომაული  
praenomen-ი

ḡnōrmis, e (adi.) უზარმაზარი,  
არაჩვეულებრივად დიდი

stātūra, ae f სიმაღლე

dīmidius, a, um ნახევარი

irreparābilis, e (adi.) აუნაზღაუ-  
რებელი

incidō, cidī, -, ėre ვვარდები, მოვ-  
ხვდები (შემოხვევით)

Scyllia, ae f სკილა, კლდე სიცი-  
ლიის სრუტეში, იტალიკურ  
მხარეს, ქარიბდას შორევის  
მოპირდაპირედ

Charybdis, is f ქარიბდა, მემღვა-  
ურებისთვის საშიში ზღვის  
შორევი მესინასთან, იტალი-  
ასა და სიცილიას შორის (სკი-  
ლას მოპირდაპირედ მხარეს)

incumbō, cubuī, cubitum, ėre თავს  
მიეუძღვნი, თავს ვღებ

vultus, ũs m სახე

comedō, edī, ėsum, ėre ვჭამ

pecus, udis f ცხვარი

edō, edī, ėsum, ėre ვჭამ

quō (adv.) სად? საით?

crucifigō, fixī, fixum, ėre ჯვარზე  
ვაკრავ

vulnus, eris n ჭრილობა

cicātrix, icis f ნაწიბური, ნაიარუ-  
ვი, ნაჭრილობევი

tamdīm (adv.) იმდენი ხანი

quamdīm (adv.) სანამ

metus, ũs m შიში

haurīd, hausī, haustum, ėre ვხაპავ,  
ვიღებ

cribrum, I n საყური

volō, voluī, velle მიინდა, მსურს

abeō, īī, itum, ėre მივდივარ,

ვმორდები

ruber, bra, brum წითელი

clericus, I m კლერიკი, სასულიე-  
რო პირი

bursa, ae f საფულე

īnstus, a, um კანონიერი, პატი-  
ოსანი, სამართლიანი

dīgnus, a, um ღირსი, ღირსეული

nōs, nōsui, -, nolle არ მიინდა, არ

მსურს; imperat. noli, nolite +

inf. აწარმოებს imperat.-ის

უკუთქმით ბრძანებითს: noli

me tangere! – ნუ მეხები, noli

putare! – ნუ ფიქრობ!

## რომაული კალენდარი

თავდაპირველად რომაელებს მთვარის წელიწადი ჰქონდათ, რომელიც ათი თვისაგან შედგებოდა და გადმოცემით რომულუსის მიერ იყო დადგენილი. პირველი თვე იყო მარტი, რომელიც მარსის - რომულუსის მამის - სახელს უკავშირდება, მეათე კი - დეკემბერი (decem - ათი). გადმოცემის თანახმად ძვ. წ. VII-VI საუკუნეებისათვის მიღებულ იქნა თორმეტთვიანი კალენდარი. დამატებულ იქნა იანვარი ორსახა იანუსის - ყოველგვარი დასაწყისის ღმერთის პატივსაცემად, და თებერვალი - თვე, რომლითაც მთავრდებოდა წელი და რომელიც ითხოვდა გამოსასყიდ მსხვერპლს (februare - განწმენდა, მსხვერპლად შეწირვა). წელიწადი 355 დღეს შეიცავდა, რასაც ოთხ წელიწადში ერთხელ ემატებოდა კიდევ ერთი თვე (mensis intercalaris - "ჩართული თვე").

ძვ. წ. 46 წ. რომის იმპერატორმა C. Iulius Caesar-მა ალექსანდრიელი მათემატიკოსისა და ასტრონომის სოსიგენეს რჩევით მზის წელიწადი შემოიღო. წლის დასწყისი გადატანილ იქნა პირველ იანვარს, რადგან კონსულები ამ დღიდან იწყებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. მზის მოძრაობის მიხედვით დადგენილ იქნა წლიური ციკლი 365, 25 დღის ოდენობით; 0, 25 დღე ოთხ წელიწადში გვაძლევდა მთელ დღეს, რომელსაც უმატებდნენ ყოველ მეოთხე წელს (dies intercalaris - "ჩართული დღე"), მაგრამ არა 29 თებერვალს, როგორც ეს მიღებულია დღეს, არამედ მეექვსე დღეს ითვლიდნენ ორჯერ მარტის კალენდების წინ, ე. ი. ეს დღე ემატებოდა 23-სა და 24 თებერვალს შორის. ამის გამო მთელ წელს ერქვა bissextilis ანუ ნაკიანი, რადგან ჩართულ დღეს dies bissextus - "ორჯერ მეექვსე დღე" ეწოდებოდა.

კეისრის პატივსაცემად თვეს "Quintilis" დაერქვა "Iulius"-ი, ხოლო მის მიერ გადაკეთებულ კალენდარს - იულიანური. ეს კალენდარი ანუ "ძველი სტილი" შემდეგ შეიცვალა უფრო ზუსტი ასტრონომიული კალენდრით, რომელსაც გრიგორიანული დაერქვა ამ კალენდრის შემოღების ინიციატორის, რომის პაპის, Grigorius XIII-ის პატივსაცემად 1582 წ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მართლმადიდებლური ეკლესია დღესაც იულიანურ კალენდარს იყენებს. ამიგომ არის, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ახალ წელს ზეიმობს ძველი სტილით, ე. ი. იულიუსის კალენდრის მიხედვით, 14 იანვარს, ხოლო ოფიციალურად ახალი წელი პირველ იანვარს აღინიშნება.

როდესაც Iulius Caesar-ი იმპერატორმა Octavianus Augustus-მა შეცვალა, "Sextilis"-ს გადაერქვა სახელი და გახდა "Augustus"-ი.

## წელი – თვე – რიცხვი

წელი განისაზღვრებოდა ორივე იმ დროს მოღვაწე კონსულის მიხედვით. მაგ., M. Tullio Cicerone C. Antonio Hybrida consulibus (მარკუს ტულიუს ციცერონისა და გაიუს ანტონიუს ჰიბრიდას კონსულობის დროს) = ძვ. წ. 63 წ. Augustus-ის დროიდან (ძვ. წ. 16 წ.) წელთაღრიცხვა წარმოებდა ქ. რომის დაარსებიდან – ab urbe condita (a. U. c.), ე. ი. ძვ. წ. 753 წლიდან.

თვეების სახელწოდებები იყო: Iānuārius, Februārius, Mārtius, Aprīlis, Māius, Iūnius (Iuno-დან), Iūlius, Augustus, September, Octōber, November, December.

თვეების სახელწოდებები თავდაპირველად მდლსართავი სახელები იყო და იხმარებოდა mensis-თან ერთად: mensis Martius – მარტის თვე; mēnse Aprīli – აპრილის თვეში, აპრილში.

როგორც, ალბათ, უკვე შენიშნეთ, დღევანდელ კალენდარში სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი IX, X, XI და XII თვეებია, რომაელებთან კი, რომლებიც წელიწადს მარტიდან ითვლიდნენ – VII, VIII, IX და X.

დღეების რაოდენობა ყოველ თვეში აგრეთვე იულიუს კეისრის დროსაა დადგენილი: 4 თვეში – აპრილში, ივნისში, სექტემბერში და ნოემბერში 30 დღეა, დანარჩენ თვეებში კი 31 დღე, თებერვალში – 28 (29) დღე. ეს სისტემა დღესაც ძალაშია.

თვეების დღეები თავდაპირველად განისაზღვრებოდა მთვარის ფაზებით. ყოველ თვეში იყო 3 განსაკუთრებულად გამოყოფილი (ე. წ. მთავარი) დღე:

Kalendae (Kal.) = თვის პირველი დღე (კალენდები. აქედან მომდინარეობს სიტყვა კალენდარი) (ახალი მთვარე),

Nōnae (Nōn.) = თვის V ან VII დღე, ნონები (მთვარის მეორე ფაზა),

Idus (Īd.) = XIII ან XV დღე (იდები) (მთვარის მესამე ფაზა, საესე მთვარე).

ნონები VII, ხოლო იდები XV დღეს იყო მარტში, მაისში, ივლისში და ოქტომბერში. დანარჩენ თვეებში კი ნონები იყო V, ხოლო იდები XIII დღეს. მაგ., Nonis Februariis = 5 თებერვალს, მაგრამ Nonis Martiis = 7 მარტს; Idibus Aprilibus = 13 აპრილს, მაგრამ Idibus Maiis = 15 მაისს.

დანარჩენ დღეებს ითვლიდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენი დღე იყო დარჩენილი უახლოეს მთავარ დღემდე თვით ამ დღისა და მთავარი დღის ჩათვლით. მაგ., პომპეის დაღუპვის დღე ახ. წ. 79 წლის 24 აგვისტო აღინიშნებოდა: ante diem IX Kalendas Septembres (ცხრა



დღით ადრე სექტემბრის კალენდებამდე). ე. ი. თვის პირველ დღეებს ითვლიდნენ შემდგომი ნონებიდან, შემდეგ, როდესაც ნონები გასული იყო - იდებიდან, ბოლო დღეები კი განისაზღვრებოდა მომავალი კალენდებიდან.

თუკი დღე კალენდებზე, ნონებზე ან იდებზე მოდიოდა, ამ დღის დასახელება abl. pl.-ში უნდა ყოფილიყო. მაგ., 1 თებერვალი = Kalendis Februariis. დღე, რომელიც კალენდების, ნონებისა და იდების წინ იყო, აღინიშნებოდა სიგყვით **pridie (prid.)** "წინა დღე" + acc. მაგ.: **Pridie Kalendas februarias** = 31 იანვარს.

**დღე**

რომაელებს არ ჰქონდათ დღე-ღამის მკაცრად ფიქსირებული სისტემა, როგორც გვაქვს ჩვენ დღეს. რომაელთა დღე იყოფოდა ორ ნაწილად: დღე - მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე - და ღამე - მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე. ყოველი ნაწილი თავის მხრივ იყოფოდა 12 საათად (hora).

ამგვარად, hora prima diei იყო პირველი საათი მზის ამოსვლიდან, ხოლო hora prima noctis - პირველი საათი მზის ჩასვლიდან. რადგან დღისა და ღამის ხანგრძლივობა წელიწადის დროის მიხედვით იცვლება, დღის ხანგრძლივობაც მამთარსა და მაფხულში სხვადასხვა იყო. დღე და ღამე ერთმანეთს მხოლოდ ბუნიაობის დროს უტოლდებოდა, როდესაც დღე დილის 6 სთ-დან საღამოს 6 სთ-მდე გრძელდებოდა, ხოლო ღამე - საღამოს 6 სთ-დან დილის 6 სთ-მდე. ამიტომ, როდესაც ვკითხულობთ, რომ Caesar hora quarta diei Britanniam attingit, ეს ნიშნავს, რომ კეისარმა ბრიტანიას მიაღწია ჩვენი დროით 10 სთ-ზე (დილის 6 სთ-დან - დღის დაწყებიდან - გადავითვლით 4 სთ-ს).

ღამით დროს ითვლიდნენ ჩვეულებრივ vigilia-თი (ღამის მორიგეობა). ვიგილია სულ 4 იყო: (vigilia prima, secunda, tertia, quarta), ე. ი. ყოველი vigilia შეიცავდა 3 რომაულ საათს. ღამის ასეთი დაყოფა დაკავშირებული იყო პატრულირებასთან ძე. რომში. ასე რომ, Caesar in Britanniam fere tertia vigilia solvit უნდა გავიგოთ ისე, რომ კეისარი ბრიტანეთში წავიდა დაახლ. მესამე vigilia-ს დროს, ე. ი. ღამის 12 და 3 საათს შორის.

ძნელია, განისაზღვროს ზუსტი დრო. Hora prima შეიძლება ნიშნავდეს "7 სთ-ზე", ან მთელ საათს 6-დან 7-მდე.

## კვირის დღეები

რომაელებს თავდაპირველად რვადღიანი კვირა ჰქონდათ, შემდეგ ძვ. ებრაული კალენდრიდან გადაიღეს შვიდდღიანი კვირა.

დღეების სახელები დაახლ. ახ. წ. 200 წლიდან იყო: *Solis diēs* – კვირა, *Lūnae diēs* – ორშაბათი, *Mārtis diēs* – სამშაბათი, *Mercūrii diēs* – ოთხშაბათი, *Iovis diēs* – ხუთშაბათი, *Veneris diēs* – პარასკევი, *Saturni diēs* – შაბათი.

## რომაული მეტრიკა (ლექსთწყობა)

რომაული ლექსთწყობა (ვერსიფიკაცია – *versificatio*), ისევე როგორც ბერძნული, მეგრულ სისტემას განეკუთვნება, რომელიც დამყარებულია გრძელი და მოკლე მარცვლების კანონზომიერ მონაცვლეობაზე (გრძელი და მოკლე მარცვლების შესახებ იხ. §1). ამიტომ მას კვანტიტეტურ მეტრიკასაც უწოდებენ. ქართულისაგან განსხვავებით ანტიკური პერიოდის პოეზიაში რითმა არ არსებობს. ამიტომ მეგრული მახვილი სალექსო სტრიქონში ყოველთვის არ ემთხვევა სიგყვის (გრამატიკულ) მახვილს. მეგრული მახვილი სრულიად დამოუკიდებელია გრამატიკული მახვილისაგან. ლათინური ლექსის (*versus*) კითხვისას გრძელ მარცვალზე დაისმის მახვილი (მოკლე მარცვლები უმახვილოა). ლექსის ასეთ კითხვას სკანდირება ეწოდება (შენიდან *scanderè* – “აღსვლა”).

ლათინური ლექსის ერთეულებია მარცვალი, გერფი და ტაეპი.

## ტერფების ძირითადი სახეები

იაზი: — — *rēgunt*

ქორე ან გროქე: — — *vīlā*

დაქტილი: — — — *tēmpōrā*

ანაქესტი: — — — — *ādērānt*

სპონდე: — — — — *aētās*

ყოველი გერფი 2 ნაწილისაგან შედგება: ერთ ნაწილს მოუდის მეგრული მახვილი (ხმის აწევა ანუ არსისი), ხოლო მეორეზე (უმახვილოზე) ხდება ხმის დაწევა (თესისი). მეგრული მახვილის ანუ არსისის ნიშანი არის *ictus*.

ტაეპის შუაში შესვენებას ეწოდება ცეზურა (შენიდან *caedo* – “კააობ, ეჭრი”), რომელიც აღინიშნება || ნიშნით.



ორი მოკლე მარცვალი ხანგრძლივობით ერთ გრძელს უდრის დაქტილს ან ანაპესტს შეესაბამება სპონდე. იმ დროს, რომელიც ერთი მოკლე მარცვლის წარმოსათქმელად არის საჭირო, ეწოდება **mora** ("დახანება"). ე. ი. მოკლე მარცვალი ერთი მორის გოლია, გრძელი კი – ორისა.

ლათინური ლექსის კითხვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მეტრული წესები:

1. სიგყვის ბოლო მარცვლის კვანტიტეტის (სიგრძე-სიმოკლის) განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მომდევნო სიგყვის დასაწყისი ბგერებიც. მაგ., *Dónec eris felix* – i გრძელია იმიტომ, რომ მას მოსდევს 2 თანხმოვანი – s და f.

2. ბოლოკიდური ხმოვანი, აგრეთვე ხმ. + m შემდგომი სიგყვის თავიკიდური ხმოვნის ან h-ს წინ არ იკითხება. ამ მოვლენას ელიზია ეწოდება: *monument(um) aere; aquil(o) impotens*.

3. თუ est-ის წინა სიგყვა ხმოვნით ან ხმ. + m-ზე მთავრდება, est-ის e იკარგება: *patria (e)st*.

**ყველაზე ხშირად ხმარებული სალექსო საზომები**

**დაქტილური ჰექსამეტრი**

დაქტილური ჰექსამეტრი ექვსი გერფისაგან შედგენილი ტაქტია. თვით გერფი 3 მარცვლისაგან შედგება, რომელთაგან ერთი გრძელია, დანარჩენი ორი კი მოკლე. მეექვსე გერფი შეკვეცილია: შედგება მხოლოდ 2 მარცვლისაგან: — — გროქე, ან სპონდე: — —.



არსისი ყოველთვის გერფის I ნაწილზე მოდის. ცეზურა ჩვეულებრივ III მახვილიანი გერფის შემდეგ არის (*Penthemimeres* – ხუთი ნახევარგერფიანი), მაგრამ შეიძლება იყოს IV მახვილიანი გერფის შემდეგაც (*Hepthemimeres* – შვიდი ნახევარგერფიანი), რომელსაც წინ უძღვის სხვა ცეზურა, უმეტესად *Trithemimeres*-ი (სამი ნახევარგერფიანი) მეორე გერფის გრძელი მარცვლის შემდეგ. ცეზურა შეიძლება იყოს აგრეთვე III გერფის პირველი მოკლე მარცვლის შემდეგ (კატა ტრიტონ გროქაიონ). მაგ.: **Penthemimeres**:

*Quídquid id | ést t̄r̄m̄ēr̄ || Danálos et | d̄n̄a ferl̄nt̄es* (Vergilius).

მაინც მემინია დანაელებისა, თუნდაც საჩუქრები მოჰქონდეთ.

## Hepthemimeres:

Príncipibñs || placulñsse vñrñs || non | úntñmá | lañs est.

*მნიშვნელოვან ადამიანებს მოეწონო, არა არის ცუდი შექება.*

კატა ტრიტონ ტროქაიონ:

Aút quáñs látet | érror || équat né | créditué | Teucri (Vergilius).

*ან სხვა ხრიკი რამ იმალება, ცხენს ნუ ენდობით, გვეკრნო!*

## ელეგიური დისტიქი

*ელეგიური დისტიქი* არის ორი ტერფისაგან შედგენილი სტროფი, რომელშიც პირველი დაქტილური ჰექსამეტრია, მეორე კი დაქტილური პენტამეტრი. დაქტილური პენტამეტრი შედგება 5 დაქტილური ტერფისაგან, მაგრამ III და VI ტერფები შეკვეცილია და თითო გრძელ მარცვალს შეიცავს.

— — | — — | — — || — — | — — | — — (ჰექსამეტრი)

— — | — — | — — || — — | — — | — (პენტამეტრი)

Dónoc érñs fellix, || multis nympháñbñs quáñs,  
Témpora | sí fuerúñt || núñqa, | séñs érñs (Ovidius).

*ვიდრე ბედნიერი იქნები, ბევრ ნიფობარს დაითვლი,  
თუ ღრო დაგიღვა ღრუბლიანი, მარტო დარჩები.*

## ფალეკეური თერთმეტმარცვლიანი ლექსი

შედგება სპონდუს, დაქტილისა და 3 ტროქესაგან:

— — | — — | — — | — —

Díssertíssime | Rómylí neptum (Catullus)

*რომულუსის მჭევრმეტყველო შეილიშვილო*



## რომაული საკუთარი სახელები

რომაელებს ჩვეულებრივ სამი სახელი ჰქონდათ. პირველი – praenomen – პრენომენი – საკუთარი სახელი იყო. ასეთი სახელი მხოლოდ 18 არსებობდა. მათ ჩვეულებრივ 1, 2 ან 3 ასომე კვეცდნენ. ესენია: A. – Aulus, App. – Appius, C. – Gaius, Cn. – Gnaeus, D. – Decimus, K. – Kaeso, L. – Lucius, M. – Marcus, M. – Manius, Mam. – Mamercus, N. – Numerius, P. Publius, Q. – Quintus, Ser. – Servius, Sex. – Sextus, Sp. – Spurius, Tib. – Tiberius, T. – Titus.

მეორე სახელი – nomen – ნომენი – იყო გვარი, რომელიც ius-ზე ბოლოვდებოდა.

მესამე სახელი – cognomen – კოგნომენი – იყო “მეტსახელი”, რომელსაც მიაწერდნენ ოჯახს ან გვარის რომელიმე შტოს (მაგ.: Rufus – ელალი, Cato – ყოჩალი, Naso – ცხვირიანი) და რომლითაც მას გამოარჩევდნენ სხვა ოჯახების ან გვარების ამა თუ იმ შტოსაგან. მაგ., Cornelius-ების გვარს ეკუთვნოდნენ სციპიონების, რუფინუსების, ლენტულუსებისა და სხვათა ოჯახები.

ზოგჯერ განსაკუთრებული დამსახურებისათვის რომაელი იღებდა მეოთხე სახელს ან მეორე მეტსახელს – agnomen-ს: Publius Cornelius Scipio-მ აფრიკაში პანიბალზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ძვ. წ. 202 წ. მიიღო სახელი Africanus.

ქალების სახელების მაგივრად გამოიყენებოდა გვარები მღედრ. სქესში. მაგ., Marcus Tullius Cicero-ს ქალიშვილს ერქვა Tullia, Gaius Iulius Caesar-ისას – Iulia. თუ ოჯახში 2 ან მეტი ქალიშვილი იყო, მათ სახელებს praenomen-ი ემატებოდა: უფროსი იყო Maior, უმცროსი – Minor, დანარჩენებს ერქვათ Tertia (მესამე), Quintilia (მეხუთე) და ა. შ. გათხოვილი ქალი ინარჩუნებდა თავის სახელს, რომელსაც ემატებოდა ქმრის cognomen-ი: Cornelia, filia Corneli, Gracchi – კორნელია, კორნელიუსის ასული, გრაქუსისა (ანუ გრაქუსის ცოლი).

მონებს არქმევდნენ სახელებს მათი წარმოშობის მიხედვით: Gallus (გალიდან), Syrus (სირიელი); მითიური გმირების სახელებს: აქილევსი, პექტორი; ქვების ან მცენარეების სახელებს: ადამანტი, სარდონი კი და ა. შ.

განთავისუფლებული მონები იღებდნენ ყოფილი პატრონის praenomen-სა და nomen-ს. მათი საკუთარი სახელი მესამე ადგილზე იყო, როგორც cognomen-ი. მაგ., ციცერონის მდივანს გირონს მონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ერქვა: M(arcus) Tullius M(arci) libertus Tiro – “მარკუს ტულიუსი მარკუსის განთავისუფლებული გირონი”.

## სიგრძისა და წონის ერთეულები

სიგრძის ძირითადი საზომი ერთეული, რომელიც გამოიყენებოდა რომში, იყო ფუტი – pes, რომელიც უდრიდა 29,6 სანტიმეტრს. ერთნახევარი ფუტი შეადგენდა წყრთას – cubitus, ხუთი ფუტი (1,48 მ) – ორ ნაბიჯს – passus. დიდი მანძილები იზომებოდა ათასობით ნაბიჯით – mille passus; რომაული მილი უდრიდა, ამგვარად, 1478,8 მეტრს. სიგყვა მილი შესულია მრავალ ევროპულ ენაში დიდი მანძილების აღსანიშნავად. იქ, სადაც მილი, როგორც საზომი ერთეული, არ გამოყენებოდა, მანძილი იმ დროის მონაკვეთით განიზომებოდა, რა დროც ამ მანძილის დაფარვაზე იხარჯებოდა – iter pedestre, დაახლ. 28725 მ. წონა ფუნტებში იზომებოდა (libra – 327 გრ.); ფუნტი, თავის მხრივ, იყოფოდა 12 უნციად – uncia = 27,25.

## ფულის ერთეულები

ძველად რომში ფულის ნაცვლად იხმარებოდა სპილენძის უხეში, დაუმუშავებელი ზოდები (ლათ. სპილენძი – aes). ძვ. წ. VI ს-ის II ნახევარში სპილენძიდან დაიწყეს მრგვალი მონეტების ჩამოსხმა, რომელთაც aes grave ეწოდებოდა. ასეთი მონეტა იწონიდა 1 რომაულ ფუნტს (libra) და ამიტომ მას ass liberalis-ს უწოდებდნენ.



რომაული სოლიდუსი

დროთა განმავლობაში ass-ის წონამ მოიკლო და ძვ. წ. I საუკუნისათვის ის მხოლოდ ფუნტის 1/24-ს (13, 624) იწონიდა და ფულის ყველაზე პატარა ერთეულს წარმოადგენდა. მონეტის ავერსზე (ე. ი. წინა მხარეს) გამოსახული იყო ღმერთი იანუსი, რევერსზე (ე. ი. უკანა მხარეს) კი – გემის კიჩო და ციფრი I. კლასიკურ პერიოდში 4 ass-ის წონა შეადგენდა sestertius-ს, 8 ass-ისა – quinarius-ს, 16 ass-ისა – denarius-ს. ბოლო სამი მონეტა ევრცხლისგან მზადდებოდა. ფულად ანგარიშსწორებაში ძირითად ერთეულად sestertius-ი ითვლებოდა, რომელსაც უბრალოდ მონეტას (nummus) უწოდებდნენ. იმპერატორ ავგუსტუსის დროს ხმარებაში შემოვიდა ოქროს მონეტები. ერთი ასეთი მონეტა (aureus) 8, 19 გრამს იწონიდა და 25 denarius-ს უდრიდა. ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისში იმპერატორმა კონსტანტინემ ოქროს მონეტა solidus-ი შემოიგანა (solidus, a, um მაგარი, მასიური), რომელიც 4,55 გრამს იწონიდა. ის მოგვიანებით რომის იმპერიაში ძირითად მონეტად იქცა.

**Abbreviaturae (ყველაზე ხშირად ხმარებული  
ლათინური შემოკლებანი)**


- a. c. = anno currente – მიმდინარე წელს
- a. Chr. = ante Christum natum – ქრისტეს დაბადებამდე, ე. ი. ძვ. წელთაღრიცხვით
- a. D. = anno Domini – უფლის წელს, ე. ი. ახ. წელთაღრიცხვით
- a. m. = ante meridiem – შუადღემდე
- App. = Appendix – დამატება, დანართი
- a. u. c. = ab urbe condita – ქალაქის (რომის) დაარსებიდან
- c. (ca.) = circa – დაახლოებით
- cf. = confer – შეადარე
- D. h. c. = Doctor honoris causa – საპატიო დოქტორი
- e. g. (e. c.) = exempli gratia (causa) – მაგალითად
- etc. = et cetera – და სხვა
- f. v. = folio verso – მომდევნო გვერდზე
- h. l. = hoc loco – ამ ადგილას
- h. m. = huius mensis – ამა თვის
- ib. (ibid.) = ibidem – იქვე
- id. = idem – იგივე (ავტორი)
- i. e. = id est – ესე იგი
- i. m. = in margine – აშიაზე
- i. q. = idem quod – იგივეა რაც ...
- loc. cit. = loco citato – დამოწმებულ ადგილას
- l. s. = locus sigili – ბეჭდის ადგილი
- op. cit. = opus citatum – დამოწმებული ნაშრომი
- p. = pagina – გვერდი
- p. Chr. n. = post Christum natum – ქრისტეს დაბადების შემდეგ, ე. ი. ახ. წელთაღრიცხვით
- p. m. = post meridiem – შუადღის შემდეგ
- P. S. = post scriptum – პოსტ სკრიპტუმი, მინაწერი წერილზე
- P. P. S. = Post post scriptum – პოსტ პოსტ სკრიპტუმი, მინაწერის მინაწერი
- sc. = scilicet – იგულისხმება
- sq. = sequens – შემდეგი (მაგ., წიგნის გვერდის შესახებ)
- S. P. Q. R. = Senatus Populusque Romanus – სენატი და რომაელი ხალხი
- v. = vide – იხილე
- verte – გადმოატრიალე

# ილუსტრაციები



ძველი რომის გეგმა

გადმოცემით ძვ. რომი დააარსა რომულუსმა ძვ. წ. 753 წ. მდინარე ტიბერისის მარცხენა სანაპიროზე. იგი გაშენებულია შვიდ ბორცვზე: Aventinus, Caelius, Capitolium, Esquilinus, Palatinus mons, Quirinalis, Viminalis. Aventinus mons - ავენტინი. ქალაქის დაფუძნებამდე რომულუსი პალატინზე დაღა, რემუსი კი ავენტინზე. ჩიტებით მკითხაობამ რომულუსის სასარგებლოდ გადაწყვიტა ბედი. მართლაც, უძველესი დასახლება პალატინზე აღმოჩნდა. შობლოდ ძვ. წ. 455 წლიდან მისივე პლებს უფლება, ავენტინზე დასახლებულიყო. Caelius - კელიუსი. მდებარეობს ესკვილინის სამხრეთით. Capitolium - კაპიტოლიუმის ბორცვი, რომელზეც იყო Tabularium-ი (სამოქალაქო არქივი) და რომის მთავარი გაძარი. აქ კაპიტოლიუმის სამეულს (Trias) სევეზდენ თავიანს - მთავარ ღმერთს Iuppiter Optimus Maximus-ს, Iuno-სა და Minerva-ს. გამარჯვებული მხედართმთავრები აღიოდნენ იუპიტერის განსაკუთრებულ გამოწყობილი ამ გაძრისაკენ. Arx-ზე იდგა Iuno Moneta-ს გაძარი, რომის ხაზინა. კაპიტოლიუმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ციცაბო მხრიდან იყო გარეის კლდე, რომლიდანაც აჯდებდნენ სახელმწიფო დაზნაშავეებს. Esquilinus mons - ესკვილინი. ამ ბორცვზე უძველესი დროიდან იყო სასაფლაო. Palatinus mons - პალატინი, რომელზედაც უძველესი თქმულების მიხედვით რომულუსის მიერ დაფუძნებული ქალაქი მდებარეობდა. Augustus-ის დროიდან იქ იმპერატოროთა სასახლეები იყო (Palatium).




კოლიზეუმი

კოლიზეუმის შენება დაიწყო ახ. წ. 72 წ. ვესპასიანემ, რომელიც ფლავიუსების ოჯახიდან იყო. ამიტომ უწოდებენ მას ფლავიუსების ამფითეატრს. კოლიზეუმის მშენებლობა დაამთავრა მისმა შვილმა, ტიტუსმა. გაიხსნა ახ. წ. 80 წ. აქ იმართებოდა გლადიატორთა ბრძოლები და სხვა სანახაობები, რომელთაც 50000-მდე ადამიანი ესწრებოდა. გლადიატორები (მათ ასე უწოდებდნენ, რადგან ისინი მოკლე ხმალს, gladius-ს ატარებდნენ) ძირითადად მონები ან ბოროტმოქმედები იყვნენ. ისინი სპეციალურ სკოლებში იწვრთნებოდნენ. ბრძოლის ბოლოს მაცურებლები წყვეტდნენ დამარცხებულის ბედს ქვემოთ დაშვებული ცერი (Pollice verso) სიკედილს ნიშნავდა, ხოლო შემოთ აწეული კი იმას, რომ გამარჯვებული მას სიცოცხლეს ჩუქნიდა.



აქ მთავრდებოდა Via Sacra. თალი ამუნდა კონსტანტინეს გამარჯვების უკვდავსაყოფად ახ. წ. 313 წ.

კონსტანტინეს თალი



Forum Romanum (რეკონსტრუქცია)

ძვ. რომში Forum Romanum-ზე იმართებოდა სახალხო კრებები. ეს იყო რომის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამოგადობრივი ცენტრი.

1. სატურნუსის ტაძარი (ამუნდა რესპუბლიკის ხანაში დაახლ. ძვ. წ. 500 წ. და ერთ-ერთ უძველესად ითვლება).
2. Via Sacra (ასე ეწოდება იმიტომ, რომ Romulus-მა და Titus Tacius-მა მეგობრული ხელშეკრულების დადების შემდეგ აქ გაიარეს და აქვე იმართებოდა მსვლელოებში წმინდა ცერემონიების დროს).
3. ვესპასიანუსის ტაძარი (ამუნებული კეისარ დომიციანუსის მიერ).
4. როსტრები (ტრიბუნები, საიდანაც წარმოთქვამდნენ სიტყვებს რომელიც ორატორები).
5. Septimius Severus-ის თალი (ეკუთვნის ახ. წ. III ს-ს. აგებულია Septimius Severus-ის პართიელებზე გამარჯვების აღსანიშნავად).
6. კურია (რომის სენატის შენობა).
7. Basilica Aemilia (ამუნებულ იქნა ძვ. წ. 179 წ. M. Lepidus-ისა და Fulvius Nobilior-ის მიერ).
8. Maxentius-ის ბაზილიკა (მისი მშენებლობა დაამთავრა კეისარმა კონსტანტინემ ახ. წ. 312 წ.).
9. ანტონინუსისა და ფაუსტინას ტაძარი (მიძღვნილი იყო ანტონინუს პიუსისა და მისი ცოლისადმი).
10. კოლიზეუმი.
11. რომულუსის შრგვალი ტაძარი.



Forum Romanum

12. ფოკას სევეტი (ფოკა - კეისარი, ახ. წ. VII ს).
13. იულიუს კეისრის გაძარი.
14. ვენუსის გაძარი რომში.
15. ტიტუსის თალი (ამენებულ იქნა კეისარ Titus-ის მიერ იერუსალიმის აღების აღსანიშნავად).
16. ვესტას გაძარი (აგებულ იქნა Numa Pompilius-ის მიერ რომის მარადიულობის სიმბოლოდ. მასში მარადიული წმინდა ცეცხლი ენთო როგორც სიმბოლო სახელმწიფოს მუდმივი არსებობისა).
17. ვესტას ქურუმი ქალების სახლი (იყო ვესტას ქურუმი ქალების საცხოვრებელი).
18. Castor-ისა და Pollux-ის (ანუ დიოსკურების) გაძარი.
19. ეკლესია Santa Maria Antiqua.
20. პალატინის ბორცი (რომის 7 ბორცუთაგან ერთ-ერთი).
21. ავესტუსის გაძარი.
22. Basilica Iulia (ამენებულ იქნა იულიუს კეისრის მიერ იულიუსების გვარის განსაზღვრად).




Marcus Aurelius-ის ქანდაკება კაპიტოლიუმის მოედანზე

Marcus Aurelius Antonius – რომელი იმპერატორი-ფილოსოფოსი (დაიბ. ახ. წ. 121 წ., მეფობდა ახ. წ. 161-180 წწ-ში), ძველი პლებეური გვარიდან. მისი ნამდვილი სახელი იყო M. Annius Verus. იმპერატორმა ჯადრიანემ თავისი ნაშვილები შემკვიდრე Antoninus Pius-ი აიძულა, თავის შვილებს ეწოდებინა M. Antonius-ი და L. Verus-ი. პიუსმა მხოლოდ Marcus Aurelius-ს მიანიჭა წოდება Caesar (ტახტის შემკვიდრე), მაგრამ M. Aurelius-მა გამეფებისთანავე აღიარა Verus-ი თანამმართველად. M. Aurelius-ი სტოიკოსი იყო. მას ძირითადად ეანათლება და მეცნიერება აინტერესებდა. ქვეყნის მართვა და ომების წარმოება მისთვის მხოლოდ მოვალეობა იყო. მან უარყო პრინციპი, რომლის მიხედვითაც ტახტი ნაშვილებს უნდა გადაეცემოდა და შემკვიდრედ თავისი შვილი Commodus-ი გამოაცხადა. ომებსა და სახელმწიფო საქმეებს მისთვის არ შეუმღია ხელი, დაეწერა 12 წიგნი.

— სიმონ მდინარისძე — ვიკი





ეკლესია მრავალჯერ იქნა  
ვადაკეთებული. დღეს ის  
წარმოადგენს შუა საუკუნე-  
ების ეკლესიას ბაზილიკის  
საფუძვლით. მარცხნივ, შე-  
სახველელში არის ე.წ. Bocca  
della Verità (სიმართლის პი-  
რი), რომელიც ანტიკური  
ხალხური გადმოცემის მი-  
ხედვით მაგკუარებს ხელს  
მოაყლიდა.

ეკლესია Santa Maria in Cosmedin (VI ს.)



Bocca della Verità (იგალიუ-  
რად "სიმართლის პირი")



Vesta-ს ტაძარი

ვესტას ტაძარი. გარშემორტყმულია კორინთული სვეტებით. ამჟამად იგრძნობა ბერძნული ხელოვნების გავლენა, თუმცა უკვე ჩანს გიპიური რომაული ელემენტებიც. ვესტა – სატურნუსისა და ქალღმერთ ოპსის ქალიშვილი. ოჯახური კერის ქალღმერთი.



ვესტას ქურუმი ქალები ქალღმერთის მოლოდინში.

რელიეფი პალერმოს არქეოლოგიური მუზეუმიდან.



**Via Appia Antica**


ანტიკური რომის ყველაზე მნიშვნელოვანი ქუჩა. აშენდა ძვ. წ. 312 წ. ცენზორის Appius Claudius-ის ბრძანებით. ის აკავშირებდა რომს სამხრეთ იტალიასთან და მიდიოდა გარეუბრებამდე. დღევანდელი რომის ყველაზე ძველი ქუჩა, რომლის მრავალ ადგილას კიდევ შემორჩენილია ანტიკური ქვაფენილი.



**St. Callistus-ის კატაკომბები**  
St. Cecilia-ს აკლდამა (II-III სს.)

**St. Callistus-ის კატაკომბები**  
პაპების აკლდამა (III ს.)


Via Appia Antica-ზე მდებარეობს კატაკომბებიც (Catacumbae) (მიწისქვეშა გასასვლელები, ოთახები და სასაფლაოები), რომლებიც რომში დევნილი პირველი ქრისტიანების საიდუმლო თავშესაფარი იყო. St. Callistus-ის კატაკომბები ყველაზე მნიშვნელოვანია რომში. ისინი დიაკონმა Callistus-მა გააფართოვა და ისინი მამინდელი ქრისტიანებისა და პაპების სასაფლაოდ გადააკეთა.



### პანთეონი

ერთ-ერთი ყველაზე უკეთ შენახული ანტიკურ ძეგლთაგანი მსოფლიოში. ეს გაძარი მიძღვნილი იყო ყველა წარმართული ღვთაებისადმი. აქედან მომდინარეობს მისი სახელიც – პანთეონი (ბერძ. სიტყვა, რომელიც ნიშნავს ყველა ღმერთს). ის ააშენა ძვ. წ. 27 წ. კონსულმა აგრიპამ, კეისარ ავგუსტუსის მეგობარმა და სიძემ. ეს გაძარი მთლიანად ძვ. რომაული ხანისაა, გუმბათი და მასიური ბრინჯაოს კარიბჭეც კი, რომელიც ახ. წ. 130 წ. კეისარმა პადრიანემ (ახ. წ. 76-138 წწ.) გააკეთებინა. 609 წ. პანთეონი ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთდა, რამაც, ალბათ, განაპირობა ის, რომ მან ჩვენამდე ამ სახით მოაღწია. შენობის შიგნით, სადაც სხვადასხვა ღმერთის ქანდაკებები იყო, ახლა საფლავებია, მათ შორის რაფაელისაც (Rafaello Sanzio).

საქართველოში  
იღვწა, ამიოც




კარაკალას თერმები



იმპერატორი კარაკალა  
პარიზი, ლუვრი

Caracalla, რომელი იმპერატორის Marcus Aurelius Antonius-ის შედგეტი სახელი (დარქმეული ამავე სახელწოდების მეორე ვალური მოსასხამის მიხედვით, რომელსაც იგი ატარებდა). Septimius Severus-ისა და Julia Domna-ს შვილი. მრძანებლობდა ახ. წ. 211-217 წწ-ში. ააშენა თერმები, რომლებიც III ს-ის დამდეგიდან მის სახელს ატარებენ. ეს არის ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ყველაზე მონუმენტური კომპლექსი. აქ იყო ცივი, თბილი და ცხელი სააბაზანო ოთახები. ამას გარდა აქ იყო სხვა დანიშნულების ოთახებიც, რომლებიც რომაელების გასართობად იყო განკუთვნილი: ბაღები, ბიბლიოთეკები, სავარჯიშო დარბაზები.



## Circus Maximus

თარგმანი

Circus Maximus ააშენა Tarquinius Priscus-მა. შემდეგ ის Iulius Caesar-ის მიერ იქნა გადაკეთებული და გადიდებული. აქ იმართებოდა სანახაობები, რომელთაც 200 000 მაყურებელი შეიძლებოდა დასწრებოდა. აქვე აწამებდნენ ხოლმე ქრისტიანებს იმ დროს, როდესაც ისინი ჯერ კიდევ იდეენებოდნენ. მრავალმა მბრძანებელმა გაითქვა ამით სახელი, განსაკუთრებით ნერონმა (ახ. წ. 64 წ.), ტრაიანემ, სეპტიმიუს სევერუსმა, ვალერიანუსმა, დიოკლეტიანემ და სხვებმა.



თარგმანი



იუპიტერი, საგურუნუსისა და რენს შვილი, ნეპტუნუსისა და პლუტონის ძმა, იუნოს ძმა და ქმარი. ზევსის რომაული შესატყვისი. ცის, ღმერთებისა და ადამიანების მბრძანებელი. მარჯვენა ხელში უჭირავს მესისატყორცი, ხოლო მარცხენაში კვერთხი რომაული არწივით.

Juppiter

Circus Maximus

მარსი, იუპიტერისა და იუნოს შვილი, ყველაზე ცნობილი რომაული ღმერთებიდან და ყველაზე შრისხანე იუპიტერის შემდეგ. ომის ღმერთი, გაიგივებული ბერძ. არესთან. გადმოცემით რომულუსის მამა და, ამდენად, რომაელების მამამთავარი. მარმარილოს ქანდაკება. კაპიტოლიუმის მუზეუმი.



Mars

იუნო, ღმერთების დედოფალი. ფიგურა დაპირველად ძვ. რომაული სინათლის ქალღმერთი. მას რომაულ ხანაში ბევრი ფუნქცია ჰქონდა, დაკავშირებული ძირითადად ქორწინებასა და შვილოსნობასთან.



ვენუსი (ვენერა) (ბერძ. აფროდიტე). იუპიტერისა და დიონას ასული (სხვა გადმოცემით დაბადებული ზღვის ქაფიდან). სილამაზის, სიყვარულისა და ქორწინების ქალღმერთი. ვულკანუსის ცოლი, ამურისა (კუპიდონის) და ენეასის დედა, აქედან ოფიციალური რომაული ვერსიით იულიუსების გვარის ფუძემდებელი.  
ძვ. წ. II ს. პარიზი, ლუორი.

Diana (კრეტელი)

Artemis





აპოლონი და დაფნა (Bernini)  
Pallazzo Borghese

აპოლონი – სინათლის, წინასწარმეტყველების, პოეზიის, მედიცინის ღმერთი. იუპიტერისა და ლეტოს ძე. დაფნა, ნიმფა, მდინარის ღმერთის პენეესისა და დედამიწის ქალღმერთის გეას ასული, რომელიც ღმერთებმა, იმისთვის რომ გატყუოდა აპოლონის სიყვარულს, მისივე თხოვნით დაფნის ხედ აქციეს.



Diana (ვერსალელი)

დიანა (შეესაბამება ბერძ. არტემისს), იუპიტერისა და ლეტოს ქალიშვილი, აპოლონის და თავდაპირველად მთვარის ქალღმერთი, მოგვიანებით კი – ნადირობისა.

ძე. წ. IV-III სს-ის რომაული ასლი.



Pan

პანი, ტყის, მწყევსების და პირუტყვის მფარველი ღვთაება, გამოსახული თხის ჩლიქებით, რქებითა და კუდით. იუპიტერის ან მერკურიუსის შვილი.



Ianus

ორსახა ღმერთი იანუსი. უძველესი რომაული ღვთაება. ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღმერთი. რომაული მონეტა.



Minerva

მინერვა, ათენას რომაული ეკვივალენტი. ძვ. რომში ეგრესიებისაგან შეპოვიდა. ის იყო ხელოვნების მფარველი და ომის ქალღმერთი.



კლიო, ისტორიის მუზა, ერთ-ერთი შვილია ჰესპერისა და ვატიკანის მუზეუმი, რომი.



Clio



Genius

იყო კაცის მფარველი ღვთაება. არსებობდა რომაელი ხალხისა ან რაიმე ადგილის მფარველი გენიუსებიც (Genius loci - ადგილის დედა).



Seneca

Lucius Annaeus Seneca, ფილოსოფოსი და გრაგულების ავტორი, ნერონის მასწავლებელი (დაახლ. ძვ. წ. 4 წ. - ახ. წ. 65 წ.).

ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი, ნეაპოლი.



Octavianus Augustus

C. (Gaius) Octavius Augustus, რომის პირველი იმპერატორი. დაიბ. ძვ. წ. 63 წ. რომში; გარდ. ახ. წ. 14 წ. ნოლაში. წარმოშობით იგი იყო ვოლსკების ქვეყნიდან, ოქტავიუსების პლებეური გვარიდან. C. Octavius-ის და აგიას (იულიუს კეისრის დის, იულიუს ქალიშვილის) შვილი. 18 წლისა ის C. Iulius Caesar-მა იშვილა. ამის შემდეგ



მას (16. 01. 27 წ.) ეწოდა Imperator Caesar Augustus. ეს სახელი (Augustus) შემდგომ იმპერატორზე გადავიდა. კეისრის ანდერძის თანახმად იგი მის შემკვიდრედ ითვლებოდა. ამ უფლების მოსაპოვებლად იგი 43 წლის 27 ნოემბერს რომისკენ დაიძრა; ამით მან ანტონიუსი და რომის სენატი, რომლებიც ანდერძის განხორციელებას ეწინააღმდეგებოდნენ, აიძულა, მიეღოთ მისი პირობები და ანტონიუსთან და ლეპიდუსთან ერთად ე. წ. მეორე ტრიუმვირატი შეკრა. პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, მათ შორის ციცირონიც, თავიდან იქნენ მოცილებულნი, ასევე კეისრის მკვლელები ბრუტუსი და კასიუსი. სახელმწიფოს დაყოფისას ავგუსტუსმა დასაბუთებით ნაწილი, ანტონიუსმა აღმოსავლეთი, ხოლო ლეპიდუსმა აფრიკის პროვინციები მიიღო. 37 წელს ტრიუმვირატი კიდევ 5 წლით გაგრძელდა; 33 წელს ავგუსტუსსა და ანტონიუსს შორის ომი დაიწყო და ავგუსტუსმა ანტონიუსის მოკავშირეს, ვეპიკატის დედოფალ კლეოპატრას ომი გამოუცხადა. Actium-თან ბრძოლაში, ძვ. წ. 31 წლის 2 სექტემბერს, ანტონიუსი დაიღუპა. ავგუსტუსი რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა.



Traianus

Traianus, Marcus Ulpius, ახ. წ. 53-117 წწ.; რომის იმპერატორი 98 წლიდან. წარმოშობით იყო რომის კოლონია Italica-დან (ესპანეთი). მისი მამა, ვესპასიანეს ერთ-ერთი ბრწყინვალე მხედარიმთავართაგანი, იყო სირიის გამგებელი. დომიციანეს დროს გრაიანე კონსული გახდა; ნერვამ ის Germania Superior-ის გამგებლად დანიშნა, იშვილა და 97 წელს თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. ნერვას სიკვდილის შემდეგ გრაიანემ მრავალი გამარჯვება მოიპოვა, რომს ახალი კოლონიები შესძინა და სამეფო აღმოსავლეთისაკენ გააფართოვა. 115 წელს მან დაიწყო ომი პართელებთან. გიგრისის ქვეყანა (მესოპოტამია) და სომხეთი რომაული პროვინციები გახდა. ამის შედეგად იმპერიამ რომის ისტორიაში არნახულ მასშტაბებს მიაღწია. გრაიანემ მოიპოვა სენატის მხარდაჭერა, რომელმაც მას ოფიციალურად მიანიჭა გიგული Optimus Princeps (საუკეთესო იმპერატორი). რომში ამენდა

ულამაგესი ფორუმი, Forum Traiani ორი ბიბლიოთეკით რომაული და ბერძნული ლიტერატურისათვის და უმარმაზარი Basilica Ulpia-თი. ბაზილიკის წინ იდგა გრაიანეს სეფი, რომლის ქვეშაც იყო გრაიანეს საფლავი (ფერფლი). თავისი ცოლის, პლოტინას დაფინებით გრაიანემ იშვილა პადრიანე და თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. ის გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სელინში (კილიკია).

## ლათინურ-ქართული ლექსიკონი

### A

**ā, ab (+abl.)** -დან, -გან, მიერ  
**ā-, ab-, abs-** (თავს.) აღნიშნავს გამოყოფას, მოხსნას, წასვლას, უარს, უარყოფას და სხვ.  
**ab-breviō, -, -, āre** ვამოკლებ  
**ab-eō, īvī (iī), itum, īre** მივიდევარ, გადავიდევარ, ვმორღები  
**ab-erro, āvī, ātum, āre** ავცდები, ვიბნევი, ვიკარგები  
**ab-iciō, iēcī, iectum, ēre** ვაგდებ, ძირს ვაგდებ, ვყრი  
**ab-rogō, āvī, ātum, āre** ვაუქმებ ხალხის გადაწყვეტილებით, ჩამოვართმევ  
**ab-solvō, solvī, solvītum, ēre** შევასრულებ, ვამთავრებ, ვათავისუფლებ, ვამართლებ  
**absque (+abl.)** გარეშე  
**abs-tineō, tinuī, tentum, ēre** არ ვუშვებ, ვაკავებ, თავს ვიკავებ  
**ab-sum, āfui, āfutūrus, abesse** არ ვარ, შორს ვარ  
**absurdus, a, um** (გადატან. მნ.) უამრო, აბსურდული, სულელური, უნიჭო, უადგილო  
**ab-ūtor, ūsus sum, ūnī (depon.)** ბოროტად ვიყენებ, ვიყენებ, ვხარჯავ  
**acadēmīa, ae f** (ბერძ.) აკადემია  
**ac-cēdō, cessī, cessum, ēre** ვუახლოვდები, ახლოს მივდივარ  
**ac-cendō, cendī, cēnsum, ēre** ვანთებ, ვანათებ

**ac-cingō, cinxī, cinctum, ēre** წელზე შემოვირტყამ  
**ac-cipiō, cēpī, ceptum, ēre** ვიღებ, ვემასპინძლობ  
**ac-currō, currī, cursum, ēre** მოვირბივარ  
**ac-cūsō, āvī, ātum, āre** ვაღანაშაულებ  
**ācer, ācris, ācre** ბასრი, ძლიერი, მძაფრი (სუნის შესახებ)  
**acerbus, a, um** შეავე, მწარე, უმწიფარი  
**actio, ōnis f** მოქმედება, საქციელი, ღონისძიება, მოძრაობა, აქტიურობა  
**ad (+acc.)** -თან, -მდე, -კენ, -თვის, მიხედვით  
**ad-** (ასიმილირდება მომდევნო თანხმოვნის ზეგაყვანიტთ: **acc-, aff-, agg-** და სხვ.) (თავს.) აღნიშნავს მიმატებას, დამატებას  
**ad-dō, didī, ditum, ēre** ვუმატებ, ვამატებ  
**ad-dūcō, dūxī, ductum, ēre** მიყავს, გადავიბირებ  
**ad-hibeō, uī, itum, ēre** ვიყენებ  
**ad-hinniō, īvī (iī), itum, īre** ვჭიხინებ  
**ad-hortor, ātus sum, āri (depon.)** ვამხნევებ, ვაქებებ  
**ad-imō, ēmī, ēmptum, ēre** ჩამოვართმევ, ვართმევ  
**aditus, ūs m** შესასვლელი  
**ad-iuvō, iūvī, iūtum, āre** ვეხმარები



ad-mittō, mīsi, missum, ėre ვიღებ,  
შემოეუშვებ  
admīrābilis, e (adi.) გასაკვირი,  
გასაოცარი  
ad-moneō, uī, itum, ėre ვახსენებ,  
ვაფრთხილებ, ვუთითებ,  
ვურჩევ  
ad-optō, āvi, ātum, āre ვიშეალებ  
ad-sum, adfuī, adesse ვესმარები,  
მონაწილეობას ვიღებ, ვესწ-  
რები  
adulēscēns, entis (adi.) ახალგაზრდა  
(puer-სა და iuvenis-ს შორის)  
adulēscēntulus, a, um ძალიან  
ახალგაზრდა, ყმაწვილი  
ad-veniō, vēnī, ventum, ėre მოვდივარ  
adversārius, ī m მოწინააღმდეგე,  
მტერი  
adversus (+acc.) წინააღმდეგ  
aedificium, ī n შენობა  
aedificō, āvi, ātum, āre ვაშენებ,  
აღეშართავ, ვაგებ  
aedilis, is m ედილი (თავდაპირ-  
ველად იყო 2 aediles plebei,  
პოლიციელები, რომლებიც  
სამოგადოებრივ შენობებზე  
ზრუნავდნენ და აწყობდნენ  
პლებსისათვის თამაშებს; 336  
წლიდან ედილები პატრიცი-  
ებიდანაც გაჩნდნენ, რომლე-  
ბიც დიდ სანახაობებს აწყობ-  
დნენ და ზრუნავდნენ პატრი-  
ციების გაძრებზე)  
Aeduī, ōrum m ელუები, კელტური  
გომები  
Aeētēs, ae m აიეტი, კოლხეთის  
(აიას) ლეგენდარული მეფე.

მედეას მამა, ოქროს საწმისი  
სის მფლობელი  
aegrōtus, a, um ავადმყოფი  
Aenēās, ae m ენეასი, ანქიზესისა  
და ვენუსის შვილი, დარდა-  
ნელების ლეგენდარული  
მეფე; ტროის დანგრევის შემ-  
დეგ ჩავიდა იტალიაში და  
ცოლად შეირთო მეფე ლატი-  
ნუსის ქალიშვილი ლავინია  
aēneus, a, um ბრინჯაოსი, სპი-  
ლენძის  
aequus, a, um მშვიდი, აუღელვე-  
ბელი, მომთმენი, ერთნაირი  
āēr, āeris m (acc. a და em, abl. e, gen. pl.  
um, abl. pl. ibus) (ბერძ.) პაერი  
aera, ae f ერა, წელთაღრიცხვა  
Aesōpus, ī m ეზოპე, ცნობილი  
ბერძენი იგავ-არაკების  
მწერალი ძვ. წ. VI ს-ისა  
aestās, ātis f ზაფხული  
aetās, ātis f ცხოვრება, დრო,  
ასაკი  
aeternus, a, um მარადიული,  
უკვდავი  
affectus, ūs m მღვკომარეობა, გუ-  
ნება, განწყობილება, აფექტი  
Africa, ae f აფრიკა, რომის  
პროვინცია  
agēns, entis m რევიზორი, სამკებ-  
რო აგენტი  
ager, grī m სახნავი მიწა, მიწა-  
ლო, მიწის ნაკვეთი  
ag-gredior, gressus sum, gredi  
(depon.) მივდივარ, თავს  
ვესხმი  
aggressio, ōnis f თავდასხმა



agitatio, ōnis f მოძრაობაში მოყვანა, მოძრაობა

agitator, ōris m მეეტლე, მესრე

agitō, āvi, ātum, āre ვაგდებ, ვაგზავნი, ვამოძრავებ

agō, ēgī, actum, ēre ვაკეთებ, ვთამაშობ (სცენაზე), წარმოვადგენ

agrestis, e (adi.) გაუნათლებელი, უხეში

agricola, ae m გლეხი

āla, ae f ფრინველის ფრთები

Alba Longa, ae f ლაციუმის უძველესი ქალაქი რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით

albus, a, um თეთრი

ālea, ae f (გადატ. მნ.) წილი

Alexander, drī m ალექსანდრე = Paris, idis m პარისი, პრია-მოსისა და ჰეკუბას ძე; მოიტაცა მშვენიერი ელენე, მენელაოსის ცოლი, რის გამოც დაიწყო ტროის ომი

Alexander Magnus, drī m ალექსანდრე დიდი (მაკედონელი), მაკედონიის იმპერიის დამაარსებელი (ძვ. წ. 356-323 წწ.)

aliēnus, a, um უცხო, სხვისი

aliō (adv.) (მიუთითებს მიმართულებას) სხვა ადგილას, სადმე სხვაგან

aliquandō (adv.) ერთხელ, ოდესღაც

aliquantum (adv.) საკმაროდ (მანძილი)

ali-quis, aliqua, aliquid (pron. indef.) ვინმე, რამე

alius, alia, aliud (adi.) სხვა, დანარჩენი; alii ... alii ერთნი ... მეორენი, ზოგი ... ზოგი

Allia, ae f მდ. ალია, გიბერისის მარცხენა შენაკადი რომის ჩრდილოეთით, ადგილი, სადაც რომაელები დამარცხდნენ გალებთან ბრძოლაში ძვ. წ. 390 წ.

alligō, āvī, ātum, āre ვამაგრებ, ბორკილებს ვადებ, ვბორკავ, ვაბამ

alō, aluī, altum, ēre ვკვებავ, ვზრდი

Alpēs, ium f ალპები

alter, era, erum (adi.) სხვა, მეორე (ორიდან)

alternatio, ōnis f მონაცვლეობა, ცვლილება; იურიდიული: ალტერნატივა

altum, ī n ცა, სიმაღლე

altus, a, um მაღალი

amābilis, e (adi.) საყვარელი, სიყვარულით აღსავსე

ambitio, ōnis f პატივმოყვარეობა

ambulō, āvī, ātum, āre ვსეირნობ, დავედივარ

amen (subst. indecl.) ამინ

amīca, ae f მეგობარი ქალი

amīcitia, ae f მეგობრობა

amīcus, ī m მეგობარი

amita, ae f მამიდა

ā-mittō, mīsi, missum, ēre ვკარგავ

amō, āvī, ātum, āre მიყვარს

amoenitās, ātis f კარგი მდებარეობა, მიმზიდველობა, სილამაზე

amor, ōris m სიყვარული





amplitudo, inis f სიდიდე, მნიშვნე-  
ლობა, სიგანე, დიდი ზომები  
amplus, a, um დიდი, უზარმაზარი,  
ფართო, განიერი  
Amulius, i m ამულიუსი, ნუმი-  
ტორის ძმა, ალბა ლონგას  
მეფე  
ancilla, ae f მოსამსახურე ქალი,  
მონა ქალი  
anguis, is m, f გველი  
angustus, a, um ვიწრო  
animadvertō, tī, sum, ēre ვამჩნევ,  
ყურადღებას ვაქცევ  
animal, ālis n ცხოველი  
animus, i m სული  
annō, āvī, ātum, āre მიეცურავ,  
ცურვით ვუახლოვდება  
annus, i m წელი, წელიწადის დრო  
annuus, a, um ყოველწლიური,  
ერთი წლით  
ānser, eris m, f ბაგი  
ante (+acc.) წინ, -მდე  
antiquus, a, um ძველი  
ānulus, i m ბეჭედი  
anus, ūs f მოხუცი ქალი  
Apellēs, is m აპელესი (ძვ. წ. IV  
ს.), ცნობილი ბერძენი  
მზაგვარი ალექსანდრე  
მაკედონელის კარზე  
aperiō, ruī, rtum, īre ვაღებ  
Apollō, inis m აპოლონი, იუპი-  
ტერისა და ლატონას შვილი,  
სინათლის, პოეზიის, მედიცი-  
ნის, მისნობის ღმერთი  
apostolus, i m მოციქული  
ap-pāreō, uī, itum, ēre ვჩნდება

ap-pellō, āvī, ātum, āre ვარქმევ,  
ვეწოდებ  
Appius, i Claudius, i m აპიუს  
კლაუდიუსი  
ap-plaudō, plausī, plausum, ēre  
ვურგყამ, ტაშს ვუკრავ  
applausus, ūs m (applaudo) ტაში,  
დარგყმა, აპლოდისმენტები  
ap-portō, āvī, ātum, āre თან მო-  
მაქვს, მომაქვს  
ap-propinquō, āvī, ātum, āre უუახ-  
ლოვდება  
Aprilis, is m აპრილი  
aptus, a, um გამოსადეგი, მიზან-  
შეწონილი  
apud (+acc.) -თან, ახლოს  
aqua, ae f წყალი  
aquila, ae f არწივი; ბრინჯაოს ან  
ვერცხლის არწივის გამოსა-  
ხლება  
Aquitānī, ōrum m აკვიტანელები,  
(იბერიული) მოსახლეობა  
Aquitānia-სი, სამხრეთ-დასავ-  
ლეთ გალიაში  
arātor, ōris m მხენელი, ვლები  
arbiter, trī m დამკვირვებელი,  
მოწმე, შუამავალი, მსაჯი,  
არბიტრი  
arbitrium, i n ნება, ძალაუფლება;  
ad arbitrium suum თავისი  
შეხედულებისდა მიხედვით  
arbor, oris f ხე  
arceō, uī, -, ēre ვიცავ, ვივერიებ  
Archimēdēs, is m არქიმედე,  
სირაკუზიდან, ვეკლიდეს  
მოწაფე, ცნობილი მათემა-

ტიკოსი და ფიზიკოსი (ძვ. წ. 287-212 წწ.)  
 arcus, ūs m თალი, არკა, გრიუმ-  
 ფალური არკა, ცისარტყელა  
 ardeō, arsī, arsum, ēre ვიწვი  
 arduus, a, um ძნელი, მძიმე  
 arēna (harēna), ae f ქვიშა, არენა  
 (საბრძოლო ადგილი ამფი-  
 თეატრში)  
 argenteus, a, um ვერცხლის  
 Argō, ūs f არგო, არგონავტების  
 გემი  
 Argonauta, ae m არგონავტი, ხო-  
 მალდ "არგოს" შემღვაური  
 argūmentum, ī n საბუთი, არგუ-  
 მენტი  
 Ariadna, ae f არიადნა, მინოსის  
 ქალიშვილი, რომელიც თესე-  
 ესმა ცოლად შეირთო, მოგვი-  
 ანებით კი კუნძულ ნაქსოსზე  
 მიაგოვა; შემდგომში ბაკ-  
 ქუსის ცოლი  
 ariēs, etis m ვერძი  
 Aristippus, ī m არისტიპე, ფილო-  
 სოფოსი კირენიდან, კირენის  
 სკოლის (პედონიზმის) ფუძე-  
 მდებელი (დაახლ. ძვ. წ. 434-  
 360 წწ.)  
 Aristotelēs, is m არისტოტელე,  
 ბერძენი ფილოსოფოსი, პლა-  
 ტონის მოწაფე, ალექსანდრე  
 მაკედონელის მასწავლებელი  
 arma, ōrum n (pl. tantum) საბრძო-  
 ლო იარაღი (უმეტესად თავ-  
 დაცვის: ფარი, მუშარაღი,  
 ჯავშანი)  
 armātus, a, um შეიარაღებული

arō, āvī, ātum, āre ვხნავ, ვამუშავებ  
 ar-ripiō, ripuī, reptum, ėre (ხელს)  
 ვტაცებ  
 ars, artis f ხელობა, ხელოვნება,  
 საქმიანობა  
 artifex, ficis m, f ხელოვანი, შე-  
 მქმნელი, შემოქმედი  
 arx, cis f ციხე, ციხე-სიმაგრე,  
 ბორცვი, მწვერვალი  
 a-scendō, scendi, scēsum, ėre ავ-  
 დივარ, ავალწევ  
 asinus, ī m ვირი, (გადატ. მნ.) სულელი  
 asper, era, erum ეკლიანი, მწარე,  
 ძნელი  
 as-portō, āvī, ātum, āre მიმაქვს,  
 მიმყავს  
 as-sentātor, ōris m მლიქვნელი,  
 პირფერი  
 as-sequor, secūtus sum, sequī  
 (depon.) ვლებულობ, ვაღწევ  
 assimilātio, ōnis f დამსგავსება,  
 მსგავსება  
 astrum, ī n (ბერძ.) ვარსკვლავი  
 at (ci.) მაგრამ, თუმცა, პირიქით  
 Athamās, antis m ათამასი, ეოლუ-  
 სის შვილი, ნეფელესა და კად-  
 მუსის ასულის, ინოს მეუღლე,  
 ფრიქსოსისა და პელეს მამა  
 Athēnae, ārum f ათენი, ატიკის  
 მთავარი ქალაქი  
 Athēniēnsis, is m ათენელი  
 atque (ci.) და, -ც  
 ātrium, ī n აგრიუმი, გადახურუ-  
 ლი მისაღები დარბაზი რომა-  
 ულ სახლში, დარბაზი  
 ātrōciter (adv.) უღმობლად,  
 დაუნდობლად



attentus, a, um დაძაბული, ყურადღებიანი  
 Attica, ae f ატიკა, ელადის ნაწილი. რომლის მთავარი ქალაქი იყო ათენი  
 at-tingō, tīgī, tāctum, ēre ვწვდები, ვეხები, ვაღწევ  
 auctōritās, ātis f გაულენა, ავტორიტეტი  
 audāx, ācis (adi.) მამაცი  
 audēns, entis (adi.) მამაცი, უშიშარი, გაბედული  
 audiō, īvī (iī), Itum, īre ვუსმენ, მესმის  
 auditōrium, ī n აუდიტორია  
 aufugiō, fūgī, -, ēre ვიპარები, გავრბივარ  
 augeō, xī, ctum, ēre ვამრავლებ, ვაღიძვებ  
 Augustus, ī m ავგუსტუსი, ოქტავიანუსის cognomen-ი; ეს წოდება შემდგომში გაურცელდა ყველა იმპერატორზე  
 aula, ae f სამეფო სასახლე

## B

Bacchus, ī m ბაკუსი, იუპიტერი-სა და სემელეს შვილი, რომელიც დედამ ნაადრევად შვა და შემდეგ ხელმეორედ იშვა მამის თებოდან  
 baculum, ī n ჯოხი  
 barba, ae f წვერი  
 barbarus, ī m უცხოელი, ბარბაროსი  
 bāsium, ī n კოცნა  
 beātus, a, um ბედნიერი, ნეტარი

aureus, a, um ოქროს  
 auris, is f ყური  
 aurōra, ae f ცისკარი  
 aurum, ī n ოქრო  
 aut (ci.) ან; aut ... aut ან ... ან  
 autem (ci.) მაგრამ, ხოლო, მეორეს მხრივ  
 autumnus, ī m შემოდგომა  
 auxilium, ī n დახმარება  
 avāritia, ae f სიძუნწე, სიხარბე  
 avārus, ī m ძუნწი, ხარბი  
 aveō, -, -, ēre ჯანმრთელად ვარ; ave! გამარჯობა! მშვიდობით!  
 aviditās, ātis f სიხარბე  
 avidus, a, um ხარბი, გაუმაძღარი  
 avis, is f ჩიტი  
 āvolō, āvī, ātum, āre მივეფრინავ  
 avunculus, ī m ბიძა (დედის მხრიდან)  
 avus, ī m პაპა, დიდი პაპა; წინაპარი

Belgae, ārum m ბელგები, კელტურ-გერმანიკული ტომები ჩრდილოეთ გალიაში  
 bellō, āvī, ātum, āre ვიბრძვი, ვომობ  
 bellum gero ომს ვაწარმოებ, ვიბრძვი  
 bene (adv.) კარგად; bene me habeo (bene se habere) კარგად ვარ (კარგად ყოფნა)

beneficium. ī n კეთილი საქმე,  
წყალობა  
bēstia. ae f ცხოველი  
Biās, antis m ბიასი პრიენდან,  
ერთ-ერთი შვიდ ბერძენ  
ბრძენთაგანი  
bibō, bibī, -, ēre ვსვამ  
bis (adv.) ორჯერ  
blandus, a, um შემპარავი, მლიქ-  
ვნელური, პირფერული  
Boeōtia, ae f მხარე საბერძნეთში.  
მისი მთავარი ქალაქი იყო თებე  
bonum, ī n ქონება  
bonus, a, um კარგი, კეთილი  
bōs, bovis m. f ხარი, ძროხა  
bracchium, ī n (ბერძ.) მკლავი,  
ხელი (იდაყვიდან მტევნამდე)

C

C. (Gaius) Iulius Caesar იულიუს  
კეისარი (ძვ. წ. 100-44 წწ.),  
პოლიტიკოსი, მხედართ-  
მთავარი, ორაგორი, მწერა-  
ლი და ისტორიკოსი, რომე-  
ლიც აღწერდა თავის ლაშქ-  
რობებს  
cadō, cecidī, casūrus, ēre ვეცემი,  
ვვარდები, ვდაბლდები,  
ვცოტავდები, ვსუსტდები,  
ვიღუპები  
caecus, a, um ბრმა  
caelestēs, ium m (pl.) ღმერთები  
caelum, ī n ცა  
Caesar, aris m კეისარი (ტიტული,  
რომელიც ოქტავიანუსის  
დროიდან ენიჭებოდა რომის

Brennus, ī m ბრენუსი, გალების  
წინამძღოლი, რომელიც  
შეიჭრა იტალიაში ძვ. წ. 390  
ან 387 წ. და დაამარცხა  
რომაელები მდ. ალიასთან  
brevis, e (adi.) მოკლე  
breviter (adv.) მოკლედ  
brevī (abl. brevis-დან adv.-ის  
მნიშვნელობით) მალე, სწრა-  
ფად, ჩქარა, მოკლე ხნის  
განმავლობაში  
Buranus, a, um ბურების, ბურუ-  
ლი; burana – nom. sg. n (ბუ-  
რები (Buri) – აღმოსავლეთ-  
გერმანული ტომი)  
bursa, ae f საფულე

იმპერატორებსა და მათ  
შთამომავლებს)  
calamus, ī m (ბერძ.) ლერწამი,  
ლერწმის ლერო, კალამი  
calceus, ī m ფეხსაცმელი  
Calliopē, ēs და Calliopēa, ae f  
(ბერძ. “მშვენიერხმიანი”) კა-  
ლიოპე, ეპიკური პოემიის  
მუზა, ორფეუსის დედა  
calor, ōris m სითბო, სიცხე  
Calpurnia, ae f კალპურნია,  
იულიუს კეისრის ცოლი  
campus, ī m მიწდორი, ბრძოლის  
ველი  
canis, is m, f ძაღლი  
canistrum, ī n (ბერძ.) კალათა,  
წნული

canō, cecinī, cantātum, ēre ვმღე-  
რი, ვუკრავ  
canticum, ī n სიმღერა  
cantō, āvī, ātum, āre ვმღერი  
capiō, cēpī, captum, ēre ვიღებ,  
ვიჭერ  
Capitōlium, ī n კაპიტოლიუმი,  
კაპიტოლიუმის ბორცვის  
ყველაზე მაღალი წერტილი  
რომში, ფორუმის დასავლეთ-  
ით, სადაც იდგა იუპიტერის,  
იუნოსა და მინერვას  
გაძრები  
Capitōlinus, a, um კაპიტოლი-  
უმის, კაპიტოლიელი  
captivus, ī m გყვე  
captus, a, um (p.p.) დაპყრო-  
ბილი capiō, cēpī, captum, ēre-  
დან ვიპყრობ  
caput, itis n თავი  
careō, uī, (iturus), ēre არ მაქვს,  
თავისუფალი ვარ  
cāritās, ātis f პატივისცემა, პატი-  
ვი, სიყვარული  
carmen, inis n სიმღერა, ლექსი  
carpō, psī, ptum, ēre ვიჭერ,  
შევირგებ  
Carthāginiēnsis, is m კართა-  
გენელი  
Carthāgo, ginis f კართაგენი, ქა-  
ლაქი აფრიკის ჩრდ. სანაპი-  
როზე (დღეს გუნისი), გადმო-  
ცემით დაარსებული დაახლ.  
ძვ. წ. 800 წ., რომელიც რომა-  
ელებმა დაანგრეს ძვ. წ. 146 წ.  
cārus, a, um ძვირფასი, საყვა-  
რელი

casa, ae f სახლი  
cāseus, ī m ყველი  
castellum, ī n ციხე-სიმაგრე  
Castor, oris m კასტორი, გინდა-  
რევსისა და ლედას შვილი,  
პოლუქსის, ელენესა და კლი-  
ტემნესტრას ძმა, "დიოსკუ-  
რი", ცხენების მომთვინიე-  
რებელი და მეველე; მის  
საპატივებულად იყო აგე-  
ბული გაძარი რომის ფორუ-  
მის სამხრეთ ნაწილში,  
Basilica Iulia-სა და ვესტას  
გაძარს შორის  
castra, ōrum n (pl.) სამხედრო  
ბანაკი  
castrum, ī n გამაგრება, პაგარა  
ციხე-სიმაგრე  
cāsū (adv.) შემთხვევით  
catēna, ae f ბორკილი, ჯაჭვი  
Catilīna, ae m კატლინა, L. Ser-  
gius Catilīna, დაიბ. დაახლ.  
ძვ. წ. 108 წ., შეთქმულების  
ორგანიზატორი, რომელიც  
გამოააშკარავა კონსულმა  
ციცერონმა ძვ. წ. 63 წ.  
Catō, ōnis m კატონი, Marcus  
Porcius Cato, კონსული ძვ. წ.  
195 წ., კართაგენის დაუძი-  
ნებელი მგერი  
Catullus, ī m კატულუსი, Gaius  
Valerius Catullus, რომაელი  
პოეტი, დაიბ. დაახლ. ძვ. წ.  
87 წ. ვერონაში, გარდ.  
დაახლ. ძვ. წ. 54 წ. რომში  
Caucasus, ī m კავკასია

causa, ae f მიზეზი; abl. causā გამო; qua de causa ამის გამო, ამ მიზეზით  
 cautē (adv.) ფრთხილად, ეშმაკურად  
 cavēd. cāvī, cautum, ēre ვუფრთხილდები  
 caverna, ae f გამოქვაბული  
 cavō. āvī, ātum, āre ვხერუტ, ამოვუღურავ  
 cēdō. cessī, cessum, ēre მივდივარ, უარს ვაშობ  
 celesber, bris, bre ცნობილი, სახელოვანი  
 celer, eris, ere ჩქარი  
 celeriter (adv.) ჩქარა, სწრაფად  
 Celtae, ārum m კელტები (თავდაპირველად ყველა კელტური ტომის სახელწოდება)  
 cēna, ae f სადილი; საჭმელი  
 cēnō. āvī, ātum, āre ვსადილობ  
 cēnsēd, suī, sum, ēre ვთვლი, მგონია, მიმაჩნია  
 cēnsor, ōris m ცენზორი, ძველი რომის ერთ-ერთი მაგისტრადი, რომელიც თვალყურს ადევნებდა გადასახადების აკრეფასა და მოსახლეობის მწეობის დაყვას; მკაცრი კრიტიკოსი, მორალისტგი  
 cēnsūra, ae f ცენზორის თანამდებობა, მკაცრი მსჯელობა, კრიტიკა  
 centuria, ae f ცენტურია, რომელიც შედგებოდა თავდაპირველად 100, შემდეგ კი 50 კაციდან

cēra, ae f ცეილი  
 Cerēs, eris f კერესი, საგურნუხისა და რეას ასული, იუპიტერის და, პროზერპინას დედა, მინდერების, მიწათმოქმედების ქალღმერთი  
 certē (adv.) ნამდვილად, უეჭველად  
 certō, āvī, ātum, āre ვიბრძვი, ვჩხუბობ  
 certus, a, um განსაზღვრული, დადგენილი, უეჭველი  
 cervus, ī m ირემი  
 cēteri, cēterae, cētera (pl.) დანარჩენები, სხვები  
 cēterum (adv.) სხვათა შორის, მაგრამ, მაინც  
 charta, ae f (ბერძ.) ქალაღი, წიგნი, პაპირუსი  
 Charybdis, is f ქარიბდა, მებღეურებისთვის საშიში ზღვის შორევი მესინასთან, იგალიასა და სიცილიას შორის (სკილას მოპირდაპირე მხარეს)  
 chorus, ī m (ბერძ.) გუნდი, ქორო  
 Christus, ī m ქრისტე  
 cibus, ī m საჭმელი, საკვები  
 cicātrix, icis f ნაწიბური, ნაიარევი, ნაჭრილობევი  
 cicōnia, ae f წერო  
 cingō, cinxī, cinctum, ēre გარს შემოვარტყამ  
 circiter (adv.) დაახლოებით  
 circulus, ī m წრე  
 circum (+acc.) გარშემო  
 circum-dō, dedī, datum, āre გარს შემოვარტყამ



circus, ī m წრე, ცირკი; Circus Maximus ცირკუს მაქსიმუსი  
 cithara, ae f (ბერძ.) კითარა (ოთხსიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი)  
